

L. Khidashely

**Old Georgian Cosmetology and
300 Unique Recipes**

Tbilisi

1999

დ. ხიფაშელი

**კველი ქართული
კოსმეტოლოგია
და
300 უნიკალური რეცეპტი**

**თბილისი
1999 წ.**

რედაქტორი:

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი რამაზ შენგელია**

რეცენზენტები:

თსსუ სოციალური ფარმაციისა და ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის კათედრის გამგე, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სამედიცინო-სოციალური აკადემიის აკადემიკოსი – ვაჟა ერიაშვილი.

ექიბთა დიპლომის შემდგომი განათლების სახელმწოფო სამედიცინო აკადემიის კანისა და ვენ. სნეულებათა კათედრის დოცენტი, საქ. სამხედრო სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი – გივი სარალიძე.

თსსუ წამალთა ტექნოლოგიის კათედრის გამგე, დოცენტი – ჯემალ მონიავა.

რედაქტორის წინასიტყვაობა

წინამდებარე მონოგრაფია თავისთავად უნიკალურია. ქართულ ტრადიციულ კოსმეტოლოგიაზე, ჩვენი მონაცემებით, არსად არაფერი დაბეჭდილა. ქალბატონი ლეილა ხიდაშელი მრავალი წელია ამ საკითხზე მუშაობს და გარდა წმინდა მეცნიერული ინტერესებისა, მან პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა ქართული კოსმეტოლოგიის გასამდიდრებლად.

ვფიქრობთ, ძალზე საინტერესოა ქალბატონ ლეილას მიერ მოწოდებული, თბილისის გოგირდოვან წყლებზე დაფუძნებული ნელსაცხებელი და იმედი გვაქვს ამ დარგის სპეციალისტები გამოგვეხმაურებიან.

დღეს, ტოტალური ქიმიზაციის ეპოქაში უადრესად მნიშვნელოვანია ის მიმართულება, რომელსაც ქ-ნი ლეილა ხიდაშელი ადგას: ბუნებრივი, საუკუნეებს გამოტარებული და თაობების მიერ აპრობირებული კოსმეტიკური და პარფიუმერული, ხშირად კი, სამკურნალო საშუალებები დაუბრუნოს ადამიანებს.

ამ მიმართულებას ალტერნატივა არ გააჩნია და დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოწოდება ქიმიური პრეპარატების ფრთხილი გამოყენების შესახებ. საქართველოს

შესაფერისი ბუნებრივი რესურსების მხრივ, ალბათ, ბადალი არ გააჩნია მსოფლიოში და ჩვენც ვალდებული ვართ ჭკვიანურად და მაქსიმალური სარგებლით გამოვიყენოთ ეს სიმდიდრე.

პროფესორი რამაზ შენგელია

ავტორისაგან

ჩვენს მიერ შეგროვილი მასალა 30 წლის გულდასმითი მუშაობის შედეგია. და თუ ნაწილობრივ მაინც მივალწიეთ დასახულ მიზანს, ამით მცირე წვლილს შევიტანთ თანამედროვე კოსმეტოლოგიის განვითარების საქმეში.

ნაშრომში გავითვალისწინეთ ყველა ის შენიშვნა, რომელიც რეცენზენტების მიერ იყო წარმოდგენილი.

ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია მსოფლიო კოსმეტოლოგიის ნიმუშები. მეორე ნაწილში მოცემულია კარაბადინებიდან ამოკრეფილი რეცეპტები დედნის ენით. ხოლო მესამე ნაწილში – ლექსიკონში ძირითადად მოცემულია ქართულ-ლათინური განმარტებანი. იშვიათად, როცა ეს აუცილებლობას წარმოადგენდა, მოვიშველიეთ რუსული სახელწოდებანი. ნაშრომის ბოლოს დავურთეთ სამკურნალო მცენარეთა ქართულ-ლათინური ლექსიკონი გამარტივებული სახით.

გაადვილებების მიზნით, შეძლებისდაგვარად, დავამრგვალეთ წონის ერთეულები.

ვფიქრობთ, ნაშრომი უნაკლო არ იქნება, ამიტომ ავტორი დიდი მადლიერებით მიიღებს ყოველგვარ შენიშვნებს.

აქვე გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მადლობა გადავუხადოთ პროფესორ რ. შენგელიას საქმიანი

შენიშვნებისა და თანადგომისათვის; რეცენზენტებს: პროფ. ვ. ერიაშვილს, დოც. გ. სარალიძეს და დოც. ჯ. მონიავას გაწეული უანგარო შრომისათვის. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს – ლია სამყურაშვილს, რომელმაც ძალზედ საინტერესო ლიტერატურა მოგვაწოდა. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის უფ. მეც. თანამშრომელს მ. ჯანელიძეს – ფრიად სასარგებლო რჩევებისათვის და პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიას“ ვიცე პრეზიდენტს, დავით სილაგავას იმ ხელშეწყობისათვის, რომელიც მან გაგვიწია ნელსაცხებლის ექსპერიმენტულ-კლინიკური გამოცდის დროს.

Preface

The ancient medical and medicinal means contained the natural ingredients only. Mostly had been used the materials of herbal, animal and mineral origin. Modern medicine and cosmetology began to use artificial and chemical means, that was the reason of looking through the old medical manuscripts. It is necessary to study, them deeply, scientifically, to choose a rational one among them, and to use in nowadays. That's why we intended to study the cosmetic questions in Georgian medical manuscripts. The objects of our studying are the cosmetic means existed in the X-XVI cc Georgian medical manuscripts. On this purpose we studied the X c. "Utsoro Caradini" of Kananeli, the XIII c. "The Medical book" of Khojakopili, The XV c. Caradini "The Medical book" of Zaza Panaskerteli-Tsitsishvili, the XVI c. "Iadigar Daudi" of David Bagrationi and we want to add the visual manuscript of chemistry history that, by itself contains lots of parphiueric paragraphs and also cosmetic means. Their contents are given as well as their technology. That is "The Book About Mixing Oils and Making Chemistry" by the king Vakhtang VI (XVIII c.)

We have collected 300 cosmetic means from the sources mentioned above, which serve to making people beautiful.

Using the old sources and also local resources we cre-

ated a new Georgian cream for dry, sensitive face skin, that has been examined at the Moscow Scientific-Practical Unity _ “Cosmetology” and has got the positive appreciation.

On basis mentioned above we can say that cosmetology in Georgia has its roots in old times and has been developed slowly, during thousand years, first empirically and later all these got scientific character.

History does not stay as a history all by itself. If we study the cosmetic means in manuscripts, mentioned above, more deeply, we shall be able to get a lot of new cosmetic means, which, on the basis of their experimental-clinical studying, may be inculcated in modern cosmetology.

L. Khidasheli

1999 year.

Tbilisi

მსოფლიო კოსმეტოლოგიის
ისტორიიდან



„არ არსებობენ ულამაზო ქალები — მოგვითხრობს ძველი სიბრძნე — არიან ქალები, რომელთაც არ უნდათ იყვნენ ლამაზნი“ /42/.

„ჩემი კაპიტალი ყოველთვის იყო სილამაზე, და მე მინდა მოვეხმარო სხვა ქალებს ამ ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნებაში“, — წერს კლაუდია კარდინალე თავის წიგნში „კაპიტალი“

უხსოვარი დროიდან ილამაზებდნენ ქალები სახესა და სხეულს.

კოსმეტოლოგია მორთვა-მოკაზმვის ხელოვნების შემსწავლელი მეცნიერებაა. კოსმეტოლოგიის ჩანასახებს ძველი აღთქმის საღვთო ისტორიამდე მიეყვართ.

„კაენის ერთმა ჩამომავალთაგანმა, ლამექმა, ჰრველმა შეირთო ორი ცოლი, ადა და სელლა. ადასაგან ეყოლა მას ძე — იობელი, რომელმანც გამოიგონა მუსიკალური საკრავები, სელლასაგან ეყოლა ძე თობელი, რომელმანც ჰრველმა შემოიღო მჭედლობა, და ასული. — ნოემა, რომელმაც ჰრველად შემოიღო ქალთა მორთულობა და ხელსაქნარი“ — ვკითხულობთ დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის „ძველი აღთქმის საღვთო ისტორიაში“ /22/.

ხალხმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რა არის „პური ჩვენი არსობისა“, მაგრამ იცოდა კანის დარბილება, ტანისა და თმის შეღებვა, კეთილშობილი სურნელებებით ჰკურება, იმდენად კეთილშობილისა, რომ შემდგომში ეს სურნელებები რელიგიურ რიტუალებში გამოიყენებოდა.

ჩვენამდე მოადწია უძველესი დროის სამედიცინო თხზულებებმა: მსოფლიოში პირველი რეცეპტურული კრებული, შედგენილი შუმერთა სახელმწიფოში 5500 წლის წინ, გამოჩენილი ექიმის ლუ-ლუს მიერ. ეს უნიკალური ნაშრომი, რომელიც მომცრო ზომის თიხის ფირფიტებზე იყო შესრულებული, გაშიფრულ იქნა მხოლოდ 1956 წელს. რეცეპტებში გამოიყენებოდა მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის საშუალებანი /28/.

კოსმეტიკისა და კოსმეტიკურ საშუალებათა აკენად დღემდე თვლიან ეგვიპტეს, სადაც კოსმეტიკა ცნობილი იყო 5 000 წლის წინათ. ჩვენამდე მოღწეულია ეგვიპტის დედოფლის ნეფერტიტის გამოსახულება. სახე ლამაზად არის შეფერადებული, წარბები მოვლილი და წაგრძელებული ფორმის, ტუჩები ლამაზად მოხატული. იმ დროინდელი პირამიდების აღმოჩენები მეტყველებენ, რომ უკვე არსებობდა ქალის სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალება /43/. უძველეს სამარხებში ნაპოვნია ჭურჭელი ნელსაცხებლებისა და სურნელოვანი ნივთიერებებისათვის, აგრეთვე თმის მოსაცილებელი და გასაყოფი ხელსაწყოები. გრიმი და სახის მოხატვა

ეგვიპტეში ჯერ კიდევ 4500 წლის წინ იყო ცნობილი. ებერსისა და ჰერსტის პაპირუსები (3700წ) მოიცავს 800-მდე სხვადასხვა, სამკურნალო საშუალების რეცეპტს და მათ ელემენტარულ ტექნოლოგიას. ამ თხზულებებში, ანატომიური მონაცემების გარდა, მოყვანილია კოსმეტიკური საშუალებების რეცეპტურა, რომელიც თან ერთვის სხვადასხვა დაავადების განხილვას /37/.

ჩვენამდე მოღწია, აგრეთვე, ლეგენდარული იმპერატორის შენ-ნუნის (4800წ) ღროის ჩინურ მედიცინაში აღწერილმა „კანონმა ფესვებსა და ბალახებზე“ /28/.

კოსმეტიკა განვითარებული იყო აგრეთვე ბევრ სხვა ქვეყანაშიც. კერძოდ, სპარსეთში, არაბეთში, სამხრეთ ამერიკაში, ე. ი. ძირითადად იმ ქვეყნებში, სადაც ის ბუნებრივი აუცილებლობით იყო გამოწვეული, რათა დაერბილებინათ და დაეცვათ კანი მზის მცხუნვარე სხივებისაგან.

კაცობრიობის განვითარების ისტორიულ ეტაპებზე თანდათანობით ვითარდებოდა ადამიანის მოთხოვნილება, რომ ყოფილიყო ლამაზი, ელეგანტური, გამორჩეული თავისი გარეგნობით. თანდათანობით დაგროვდა გამოცდილება თავის მოვლისა და გამოჩნდა ფუნდამენტური სამედიცინო შრომები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

„მედიცინის მამამთავრად“ წოდებული ძველი ბერძენი ექიმი, ჰიპოკრატე (ქრ.შ.-მდე V-IVს.), თავის შრომებში

ყურადღებას ამახვილებს კოსმექტიკურ დეფექტებზე და მათ მკურნალობაზე. მოგვიანებით კი მისი მოსწავლე და მიმდევარი დიოკლე წერს სოლიდურ შრომას კოსმექტიკაზე, ოთხ ტომად, სადაც განხილულია თმების მოვლა და შეღებვა, სახის კანის, თვალების, ცხვირის, კბილების, ხელების მოვლა და სხვა. ნაშრომში მან შემოგვთავაზა ზმრავალრიცხოვანი კოსმექტიკური პრეპარატი, ჰიგიენური აბაზანები და მასაჟი /37/.

ძნელი აღარ არის იმის წარმოდგენა, რომ ძველ რომში ქალებს სახესა და სხეულს სპეციალური მონები ულამაზებდნენ, რომლებიც „კოსმექტებად“ იწოდებოდნენ.

ძველი ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი, კლეოპატრა (ქრ. შ-მდე 46 წ.), რომელიც ცნობილი იყო თავისი სილამაზით, უმაღლეს დონეზე ფლობდა კოსმექტიკის ხელოვნებას. მას დაუწერია ტრაქტატი კოსმექტიკაზე (რომელსაც ძალზე ზომიერად იყენებდა). სამწუხაროდ, ეს თხზულება ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხანძარმა შთანთქა /14/.

კლეოპატრას დილა აბაზანით იწყებოდა. იგი ადრიანად შეცურდებოდა ბინდდაკრულ წყალში, რომლის ზელაჰრზეც ლოტოსის ყვავილები და ვარდის ფურცლები დაფარუბებდნენ. რაკი საპონი არ არსებობდა, ხმარობდა სოდის ბიკარბონატს, ნაცარსა და თიხას. კანის სინაზისათვის მხეველები სხეულს ჯერ სახედრის რძისა და თაფლის ნარევიტ უზელდნენ, შემდეგ კი აკაციის

სურნელოვანი ზეთით. ანდა, ერთ ლიტრ ცხელ რძეში გახსნიდა ერთ ჭიქა თაფლს, ნარევეს დაამატებდა ორ სუფრის კოვზ ნუშის, ვარდის, ზეთუნის ან რომელიმე სხვა მცენარეულ ზეთს. ნარევი ემატებოდა წყლის აბაზანას. ასეთი აბაზანის შემდეგ კანი ხლებოდა ნაზი და კრიალა/40/.

„როდესაც მის ტურფა სახეს ნაოჭები დაემუქრა, გამოიყენა ვიტამინებით მდიდარი გარგარის კრემი. აბუსალათინის ზეთი და ქვეწარმავლის ცხიმი მის თმას საუცხოო ბზინვარებას აძლევდა. სიშავის შესარბილებლად ინას ხმარობდა, კანის გასათეთრებლად — რძისა და ლოტოსის მალამოს, შესაფერადებლად — ასკლის ყვავილებსა და ალებასტრის ფხვნილის ნაზავს. ქუთუთოებს დაფხვნილი სპილენძის კრისტალის სურშით იმწვანებდა, ზედ შავ ხაზს გადაისვამდა. არაბულ თუ ინდურ სუნამოს იაკურებდა, მშვენიერ ტანსაცმელში გამოეწყობოდა და უძვირფასესი სამკაულით მოირთვებოდა. მისი მომნუსხავი, ხავერდოვანი მზერა აჯადოებდა მნახველს /14/.

გთავაზობთ კლემპატრასეულ ერთ-ერთ ნელსაცხებელს:

- ალოეს ფხვნილი — 5 გრ.
- გამოხდილი წყალი — 40 მლ.
- ვარდის წყალი — 20 მლ.
- თაფლი — 10 გრ.

ახალი გადამდნარი ღორის ქონი — 100 გრ

ალოეს ფხენილს ფრთხილად ხსნიან წყალში, უმატებენ ვარდის წყალს და თაფლს. ნარევეს დგამენ წყლის აბაზანაზე და თანდათანობით უმატებენ ღორის ქონს. ძალიან არ უნდა გადახურდეს. აციებენ. მზა ნელსაცხებელი, ალოეს მსუბუქი არომატით, გადააქვთ მინის ქილებში და ინახავენ სიგრილეში. თხელ ფენას დაიტანენ კისერზე და სახის კანზე, ღლეში ერთხელ /30/ შუა აზიის დიდი მოაზროვნე, სწავლული-ენციკლოპედისტი, აბუ ალი იბნ სინა — ავიცენა, თავის ხუთტომიან ნაშრომში — „საექიმო ცოდნის კანონი“ — აგვიწერს სამოცამდე სხვადასხვაგვარ კოსმეტიკურ საშუალებას და მათი ხმარების წესებს. გთავაზობთ რამოდენიმეს:

„პირის ღრუში სასიამოვნო სუნის მისაცემად, დაღეჭეთ ალოე ან იმგვიბეთ მისი ნახარში.

...ალოესაგან ხშირად ამზადებენ პუდრს ტანზე წასასმელად, სასიამოვნო სუნის მისაცემად.

...ველის კურდღლის სისხლი აცილებს ჭოროფლს.

...ველის კურდღლის თავის ნაცარი სიმელოტის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა. განსაკუთრებით ეფექტურია „ზღვის კურდღელი“

...კურდღლის ფაშვი მთლიანად, მთელი მისი შიგნეულობით უნდა დაწვას ტაფაზე. ფქვილადქცეულ ნაცარს ხმარებისას შეურიეთ ვარდის ზეთი. საუკეთესო საშუალებაა თავზე თმის ამოსაყვანად.

...დამწვარი კვერცხის გული, დაფქვილი და შერეული თაფლთან, აცილებს ჭორფლს და შავ ლაქებს.

...საფათის კვერცხი საუკეთესო საშუალებაა თმის შესადებად. შესამოწმებლად კვერცხში შეყავთ შალის ძაფი და ტოვებენ შიგ. იგივეს ამბობენ ყარყატის კვერცხზეც.

დანდურით იზელენ მეჭეჭებს და იგი მათ აცილებს არა მისი ძირითადი, არამედ მეორეხარისხოვანი თვისებებით.

ბროწეულის ყვავილი კარგია ღძილებიდან სისხლისდენის ღრო." /27/.

მეცნიერული თვალსაზრისით ძალზედ საინტერესოა XI-XIV სს ბიზანტიის სამედიცინო ტრაქტატი. იგი ინახებოდა ფლორენცო მედიჩის ბიბლიოთეკაში, რომელიც წყალდიდობის ღროს განადგურდა. გადარჩა მკროფირები, რომლებიც მანამდე გადაიღეს და გაშიფრეს მოსკოველმა სპეციალისტებმა მედიცინის ისტორიკოსების თხოვნით /32/. ტრაქტატის თანახმად ბიზანტიის დედოფალი ზოია (ევპრაქსია) ამზადებდა კეთილსურნელებებს რელიგიური რიტუალებისა და კოსმეტიკისათვის. მის საფანეში მუდამ იხარშებოდა სხვადასხვა ბალახი და სურნელი. ამ ცოდნის წყალობით დედოფალმა ზოიამ ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნა თავისი სილამაზე. მას 70 წლის ასაკშიც კი არ ჰქონდა არცერთი ნაოჭი და ყველას აოცებდა თავისი სილამაზით

ტრაქტატში მოცემულია მალამოს რეცეპტები სახის

მოსავლელად, ნაოჭებისათვის, აგრეთვე თმის საღებავები, როგორც შავი, ისე ღია ფერის, ზეთები თმის ზრდისათვის, ცვენის და სიქაჩლოს საწინააღმდეგო, როგორც თავზე, ისე წვერში, თმის მოსაცილებელი საშუალებები და სხვა. მოცემულია მათი მომზადების წესები. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

თმის ცვენისას წაისვით ძალამო: „ნედლი მირტი და ნედლი ჭილის ფურცლები თითო ლიტრი (327გრ) დაჭყლიტე და დაასხი ხუთი ლიტრი წყალი და ხარშე ნელ ცეცხლზე, ვიდრე არ განახევრდება. ფოთლები დაწურე და გადაყარე, ამ წყალს დაუმატე ერთი ლიტრი ვარდის ზეთი და იმდენი აღუდე ნელ ცეცხლზე, ვიდრე წყალი არ აორთქლდება და დარჩება ზეთი. მას შეუურიე ლადანი და კალგანი — თითო უნცია (27,3 გრ) და ამ ნარევით კარგად შეიზილე თმის ძირები.“

„ნაოჭებისთვის:

კოსტოსი — 0,5 უნცია

სამყე — 0,25 უნცია

ნესვის კანი, გამხმარი — 0,25 უნცია

ყოველივე კარგად დაფშევი (დასრისე) და გახსენი ძმარში და წაისვი სახეზე, მეორე დღეს ჩამოიბანე პირი ბარდის ან ოსპის ფქვილით.“

თმის საღებავი — შავი

„წაისვი ანემონის წვენი და მესამე დღეს ჩამოიბანე თბილი წყლით.“

„ქერტლის მოსაცილებლად, შუშა (მინა) დაფქვი ისე,

როგორც მტვერი, დაამატე ჭარხლის წვენი და კარგად დაიბანე ამით თავი.“

თმის საღებავი — ყვითელი:

„აიღე დაქუცმაცებული ადუღებული ღვინის ნალექი, მას შეურიე ფიჭვის გორჩების ფისი — ნალექის ნახევარი. ყოველივე გახსენი ვარდის ზეთში და წაისვი თმაზე. მესამე დღეს ჩამოაბანე აბანოში“ /31/.

ანა იაგლენა*, რომელიც განთქმული იყო სილამაზით მთელს ევროპაში, ნაოჭებისათვის ხმარობდა ნაყენს, რომლითაც განკურნა მეფე ლუდოვიკო XIV რევმატიული დაავადებებისაგან და რომელსაც კოსმეტიკური დანიშნულება ჰქონდა. გთავაზობთ ამ ნაყენის შემადგენლობას და მომზადების წესებს:

ლავანდის ყვავილები გამხმარი — 50 გრ

რო ზმარინის ფოთლები გამხმარი — 100 გრ

დავასხათ სპირტი ისე, რომ მცენარე დაიფაროს. ორი კვირის განმავლობაში დაედგათ ბნელ ადგილას, შემდეგ გადაეწუროს, გაეაზაოთ გაციებული, ანადუღარი წყლით (1:1). ჩაეასხათ მუქი ფერის ბოთლში, მჭიდროდ თავდახურული სინათლეს მოვარიდოს.

გაიწმინდეთ სახე დღეში ერთხელ. სპობს ნაოჭებს, ალამაზებს სახის კანს.

რევმატიზმისთვის წაისვით დღეში ორჯერ მტკივან ადგილებზე.

* წყარო დაუზუსტებელია

ლულოვიკო XIV-მ შემოტანა ევროპაში სუნამო, რათა მდაბიოთა და ჭუჭყიანთა სუნით არ გაღიზიანებულყო. ამ დროოდან შემოდის პულრი და ცხვირსახოციც /42/.

მელეა – კოსმეტოლოგიის სათავმებთან



უკანასკნელ წლებში არაერთი გამოკვლევა გამოქვეყნდა, რომლებშიც გაშუქებულია მედიცინის სხვადასხვა დარგის განვითარების ისტორია საქართველოში. ზოგიერთი მათგანი გაკვრით შეეხო კოსმეტოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებსაც, მაგრამ მათი სისტემური და ყოველმხრივი შესწავლა არსებული წყაროების გამოყენებით, ჯერ კიდევ ქართული სამედიცინო ისტორიოგრაფიის ამოცანას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ კოსმეტიკისა და კოსმეტიკური საშუალებების გამოყენების შესახებ საინტერესო ცნობებია არეკლილი ლიტერატურულ თხზულებებში, არასამედიცინო წერილობით წყაროებში, სამკურნალო წიგნებში, არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულ მასალებში.

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგად აღმოჩენილია ქვის ხანის ადამიანის რამოდენიმე სადგომი. ამ სადგომებში

მოპოვებული საგნები თავის ხასიათით და დანიშნულებით გვაფიქრებინებს, რომ ისინი ქვის ხანის ადამიანს კოსმეტოკური მიზნით უნდა გამოეყენებინა. გ. ნიორაძე წერს, რომ ქვის ხანის ადამიანი ცხოველის „ტვინს ისვამდა ტანზე და იღობდა (ირბილებდა) კანს, იშუშებდა წყლულს... ტვინი ქონთან ერთად, იხმარებოდა მაღამოდ და კანის დასარბილებელ საშუალებად... მინერალური საღებავები, რომლებიც ბლომად აღმოჩნდა საკაჟიაში, მიგვივითებებს როგორც კანის შეღებვაზე, ისე ფერწერული მიზნებისთვის მათ გამოყენებაზე. ტატუირების საშუალებით ტანის „გალამაზებას“ ნაწილობრივ დამუშავებული მიკროლითებიც მოწმობს“ / 10/. კანის შეღებვა და ტატუირება აღსანიშნავია იმდენად, რამდენადაც ეს იყო ქვის ხანის ადამიანის მიერ ისეთი ორგანული და მინერალური საღებავების მიღება, რომელიც, ჩვენი აზრით, ხასიათდებოდა გარკვეული ფერით, მდგრადობით და, რაც მთავარია, არ იწვევდა კანის გაღიზიანებას.

ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ კოსმეტოლოგიის ჩანასახებს საქართველოს ტერიტორიაზე ვხვდებით ჯერ კიდევ უძველეს დროში. მაშინ, როდესაც ადამიანი ქვისაგან დამზადებული იარაღით ხოცავდა ნადირს და ამით ორჩენდა თავს.

უძველესი ხალხების მითოსი მრავლად შეიცავს სხვადასხვა ეპოქის ხალხთა ფანტაზიის ნაყოფს, მაგრამ დღესდღეობით ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ის გარემოება,

რომ მითებში ბევრი საყურადღებო ისტორიული ცნობა იმალება. „თითოეული მითი შეიცავს სინამდვილის ელემენტებს, წარსულის რუდიმენტებსა და მომავლის განვითარების მარტვალს, ასე რომ ყოველი მითი უცილობლად წარმოადგენს განსაზღვრულ ისტორიულ კომპლექსს“ /34/.

კოლხურ-იბერიული მედიცინის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს უძველესი ქართული ეპოსი „ამირანიანი“, რომელიც III-IV ათასწლეულს განეკუთვნება. „ამირანიანი“ ყველაზე აღრინდელი ქართული წყაროა, რომელშიც მაგიურ-რელიგიური რიტუალების ნაცვლად მოცემულია მკურნალობის თუ საექიმო საქმიანობის რაციონალური მეთოდები და მანიპულაციები. ეპოსში გვხვდება აგრეთვე საკითხები კოსმეტოლოგიის შესახებ. როდესაც ამირანი გველეშაპის მუცლიდან თავს დაიხსნის, მას წვერ-ულვაში გაცვენილი აქვს. ვაჟკაცი სასოწარკვეთილებაში ჩაფარდება, მაგრამ ბადრი ანუგეშებს, „წვერ-ულვაშზე ნუ იჯაფრებ, იგრი-ბატონთან მივიდეთ და ის გაგიკეთებსო. იგრი-ბატონი ჯადოსნურ წყალს ფლობს, რომელსაც სამკურნალო თვისება აქვს“ ამირანი ისარგებლებს იგრი-ბატონის სამკურნალო წყლით და წვერ-ულვაში ამოუფა /23/.

ეპოსის ამ ნაწილს გვინდა ხაზი გავუსვავთ, როგორც იდეას გაცვენილი თმების ამოყვანის შესახებ. საქართველო მართლაც მდიდარია სამკურნალო მინერალური წყლებით, რაც ზემოაღნიშნულ ფაქტს სინამდვილესთან უფრო მეტად აახლოებს.

ბერძნული და რომაული პოეტური შემოქმედების

სახელოვანი წარმოდგენლების უკვდავ ქმნილებებში უდიდესი ადგილი უჭირავს თქმულებებს არგონავტებზე. ხოლო ამ თხზულებების ძირითადი მოტივი ისევ და ისევ გახლდათ კოლხი — მედეა, „ბრძენი აქიმი — მკურნალი, ფლორა-ფაუნის საოცარი მესაიდუმლე“ /16/. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მედეას განსწავლულობა კოსმეტოლოგიაში.

XIV-XIII საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე კოლხთა მეფის ქალიშვილი — მედეა სამკურნალო მცენარეებისაგან წამლებს ამზადებდა. „ამწვანებულ ჭალაკში“ „გრძნეული მედეა“ „ჰეკატეს მეშვეობით“ აგროვებდა სამკურნალო ბალახებს, ამზადებდა წამლებს, მალამოებს, ნელსაცხებლებს.

1977 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბერძნულ-ლათინურმა ბიბლიოთეკამ გამოსცა უცნობი ბერძენი მწერლის „ორფიკული არგონავტიკა“. ეს თხზულება, რომლის შექმნის დროს ქრ. შ-დან III-IV საუკუნეებში ვარაუდობენ, ანტიკური ეპოქის ერთ-ერთი უკანასკნელი ძეგლთაგანია და ძველი კოლხეთის ისტორიის თვალსაზრისით მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს. აქ წარმოდგენილი ბოტანიკური ნომენკლატურიდან იგრძნობა, რომ „ორფიკული არგონავტიკის“ ავტორი ბუნების კარგი მცოდნე იყო. ამ ნაშრომში წარმოდგენილია მედეას ბადის მცენარეთა ყველაზე დიდი რაოდენობა. ზოგიერთი მცენარე დღემდე ხარობს საქართველოში: დაფნა, პიტნა, თრიონი /ლერწამი/, მან-ღრაგორა, კარდამონი და სხვა. პოემაში ვკითხულობთ: მეფე აიეტმა „სურნელოვანი თალამოსიდან ქალიშვილები გამოიხმო“, ან კიდევ „გამოცდილმა მედეამ, რომელსაც

სურნელოვანი ტაძრიდან ყუთი მოჰქონდა, მრავალი წამალი მომიტანა“ /11/ იგივე აზრია მოცემული აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკაში“:

„სურნელოვანი მისი სენაკის
ან თლამონის წინ რომ ეძინათ“ /15/.

გამოთქმები: „სურნელოვანი თლამონი“, „სურნელოვანი ტაძარი“ „სურნელოვანი სენაკი ან თლამონი“ მიგვითითებს უთუოდ იმაზე, რომ მედია იმდენად კარგად ფლობდა სურნელოვანი ზეთების შეზავება-დამზადებას, რომ მისი საძინებელი ოთახი და თვით ტაძარი, სადაც იგი იმყოფებოდა, „სურნელოვნად იწოდებოდა“ აქვე გვინდა მოვიყვანოთ ერთი საყურადღებო ცნობა. მაროკოს დედაქალაქ მარაკეში დგას მინარეთი, რომლის კედლები მუშკის სუნს გამოსცემს. 60 მეტრზე მეტი სიმაღლის კოშკი აიგო 1125 წელს მაშინდელი სულთანის ბრძანებით, რომელმაც ისურვა როგორმე უკვდავეყო თავისი გამარჯვება ესპანელებთან ბრძოლაში და ალაჰისათვის ამის გამო მადლობა გადაეხადა. ცემენტში, რომლითაც მინარეთის ქვები ერთმანეთს ედუღაბებოდა, შეურიეს თითქმის 960 ტონარა ძვირფასი ნელსაცხები. მისი სუნი ახლაც იგრძნობა /18/. 600 წლის წინ თაფრიზში (ირანი) აგებულ იქნა თავისი ხასიათით ასევე გამორჩეული მეჩეთი. მისი აგებისას სამშენებლო ხსნარში უმატებდნენ მუსკუსს, რის გამოც შენობას დღემდე აქვს სასიამოვნო სურნელება, ამოტომ უწოდებენ მას „სურნელოვან“ მეჩეთს /37/. თუ

მივიღებთ მხედველობაში ამ გარემოებას, თავისუფლად შეიძლება ვიმსჯელოთ მედეას ღროს აგებული „სურნელოვანი“ ტაძრისა და „სურნელოვანი თალამოსის“ რეალურობაზე. მიუხედავად იმისა, თუ რა საამშენებლო მასალას იყენებდნენ იმ ღროს. ხის მასალა შეიძლებოდა გაქლენთილიყო სურნელოვანი ზეთებით, ხოლო საამშენებლო ხსნარში (თავრიზის მაგალითით) შეიძლებოდა მუსკუსის მსგავსი მღვრადი სურნელოვანი ნივთიერების დამატება.

კოლხეთში ოქროს საწმისისათვის ჩამოსული არგონავტები განცვიფრებულნი არიან, როდესაც იხილავენ შუა ქალაქში გამოძინარე ოთხ წყაროს:

„ერთი მათგანი რძის წყარო იყო,
მეორე ღვინის, ხოლო მესამე
სურნელოვანი ზეთისა გახლდათ,
მეოთხე წყაროს წყალი ანკარა“ /15/.

ფაქტია, ამით აპოლონიოს როდოსელი კოლხეთის სამეფოში რძის, ღვინის, ზეთისა და ანკარა წყაროების სიმრავლეზე მიგვანიშნებს (თუ უფრო რთულ რაიმეს არ გულისხმობს). მაშინ გასაკვირიც აღარ არის, რომ მედეამ კარგად იცოდა სახის კანისა და სხეულის მოვლა, კანის დარბილება:

„შემდეგ ლოყები ნამტრალევი
ჩამოიბანა და დაიმშვენა,
ნელსურნელოვან ნექტრის მალამო
მარჯვედ წაისვა სახეზე, ტანზე“ /15/.

ხოლო საჭიროების შემთხვევაში პირიქით, სახის დანაოჯება, თმების გათეთრება, სახის დაბერება: „მედემ არტემიდეს ამოღარული ქანდაკება გააკეთა და შიგ ყოველგვარი თვისების წამალი ჩამალა, მერე საკუთარი თმები რაღაცა საშუალებებით გაიჭაღარავა, ხოლო სახე და სხეული ისე ძლიერ დაინაოჯა, რომ მის დამნახველთ ეგონებოდათ, მთლად ბებრუცუნა ვინმეაო“, ვკითხულობთ დიოდორე სიცილიელის „ისტორიულ ბიბლიოთეკაში“

/23/.


ზემოთ აღნიშნული ფაქტების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მედეა თანაბარი სიძლიერით ფლობდა როგორც პარფიუმერიას, ისე კოსმეტიკას. მაგრამ განსაკუთრებით ძლიერია დეკორატიული კოსმეტიკაში. იგი გვევლინება, როგორც დეკორატიული კოსმეტიკის ფუძემდებელი, გრიმებისა და საღებავების საშუალებით მოხუცების გამაახალგაზრდავებელი, თმების შეღებვის პირველი გამომგონებელი: „მედემ პირველმა იპოვა ისეთი ყვავილი, რომელსაც შეეძლო თეთრი თმების გაშავება და ისე აკეთებდა, რომ მოხუცები ჭაღარის ნაცვლად შავი თმების მქონენი ჩანდნენ“, — ამბობს პალეფატე II ნაშრომში „დაუჯერებელთა შესახებ“. „კოლხმა მედემ, აიეტის ასულმა, გამოიგონა თმების შეღებვა“ — (კლიმენტი ალექსანდრიელი „სტრომატა“ 1, 16) /23/, ხოლო ევლოკია თავის ნაშრომში „იონია“, რაც ქართულად იების კრებულს ნიშნავს, საკმაოდ

დამაჯერებლად აგვიწერს მედეას, როგორც წამალთმკეთებელს, რომელიც მოხუცებს აახალგაზრდავებდა, „ჭალარა მოხუცებს შავი თმების მქონედ აქცევდა“, რომ „ცხელი აბაზანებიც მედეამ გამოიგონა“ და საკუთარი დასკვნაც გამოაქვს: „რა თქმა უნდა, ცხელი აბაზანების წყალობით ადამიანები უფრო მსუბუქნი და ჯანსაღნი ხდებოდნენ“ /23/.

აქ სამედიცინო და კერძოდ, კოსმეტოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით ჩვენთვის მნიშვნელოვანია თვით იდეა გაახალგაზრდავებისა.

მოცემული მასალა ცხადია, საკმარისი არ არის III—II ათასწლეულის საქართველოში კოსმეტოლოგიის განვითარების სრული სურათის დასახატავად, მაგრამ მაინც საკმარის საფუძველს გვაძლევს, თამამად ვიმსჯელოთ კოსმეტოლოგიის განვითარების მაღალი დონის არსებობის შესახებ აღნიშნულ პერიოდში.

კოსმეტოლოგია უზა
საუკუნეების ქართულ
დამწერლობით კვლევები



ქველი დროის სამკურნალწამლო საშუალებანი ბუნებრივ ინგრედიენტებს შეიცავდნენ. ძირითადად გამოიყენებოდა მცენარეული, ცხოველური და მანერალური წარმოშობის ნედლეული. ამიტომ ჩვენ მაზნად დავისახეთ შეგვესწავლა კოსმეტოლოგიის საკითხები ქართულ სამედიცინო ხელნაწერ ძეგლებში. ჩვენი შესწავლის ობიექტია X-XVI საუკუნეების ქართულ სამედიცინო ძეგლებში არსებული კოსმეტიკური სამკურნალწამლო საშუალებანი. ამ მიზნით შევისწავლეთ: X საუკუნის ქანანელის „უსწორო კარაბადინი“, XIII საუკუნის ხოჯაყოფილის „წიგნი სააქმოი“, XV საუკუნის ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, XVI საუკუნის დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდი“ და ამ სამედიცინო ხელნაწერებს გვინდა დავუმატოთ ქიმიის ისტორიის თვალსაჩინო ძეგლი, რომელიც მრავლად შეიცავს როგორც პარფიუმერის, ისე

კოსმექტიკურ საშუალებათა პარაგრაფებს. აქ მოცემულია როგორც მათი შემადგენლობა, ისე ტექნოლოგია. ეს გახლავთ მეფე ვახტანგ VI „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ /XVIII ს/.

ზემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან ამოვკრიფეთ სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებანი, რომელნიც ადამიანის გალამაზებას ემსახურებიან.

ძველი დროის ავტორები კოსმექტიკური ნაკლის წარმოშობას ჰუმორალური პათოლოგიის თეორიის საფუძველზე ხსნიან, რომელიც დაავადების განვითარებას ორგანიზმში არსებული ოთხი სითხის — სისხლის, ლორწოს, ყვითელი და შავი ნაღველის წონასწორობის დარღვევას უკავშირებს. ამ ნაშრომებში მოცემულია მრავალი რაციონალური და საყურადღებო რჩევა-დარიგება, აღწერილია სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რომლის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ის მრავალი საუკუნის უდიდეს გამოცდილებას უნდა ემყარებოდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლებში კოსმეტოლოგია ცალკე თავად გამოყოფილი არ არის. კოსმექტიკური ნაკლის აღმომთხზველი და პროფილაქტიკური საშუალებები გაბნეულია სხვადასხვა დაავადებების აღწერასა და მკურნალობასთან. ზოგიერთი დღევანდელი თვალსაზრისითაც აქტუალურია და შეესაბამება თანამედროვე კოსმეტოლოგიის მოთხოვნილებებს.

კოსმეტოლოგიის ისტორია მჭიდრო კავშირშია

პარტიუმერიის ისტორიასთან, ამიტომ ჩვენ მათ განვიხილავთ როგორც ერთ მთლიან, განუყოფელ ნაწილს. (თუმცა, დღეს პარტიუმერია დამოუკიდებელი დისციპლინაა და ამ მოძღვრების შემსწავლელ მეცნიერებას ეწოდება — ოდოროლოგია). სურნელოვანი ზეთები ოდითგანვე გამოიყენებოდა როგორც სამკურნალო საშუალებანი. „ახლად ნაავადნყოფარი კაცი სურნელოვან რამეებს უნდა უსუნებდეს“, ვკითხულობთ „იადიგარ დაუდში“

ხოლო ვახტანგ VI ამბობს: „კეისრის ზეთის ხასიათი ეს არის რომელიც სულს მისცემს თუ ტანისამოსს, თუ სახლს, თუ ქვეშაგებს, თუ ქალს, თუ პირს, თუ ხელს, თუ ტვინისათვის, თუ ჭკუისათვის, თუ ჟამისათვის.“

განვიხილოთ თითოეულ ძეგლში მოცემული კოსმეტიკური საშუალებები.

უსწორო კარაბადინი /20/

კოსმეტიკური თვალსაზრისით „უსწორო კარაბადინში“ საინტერესოა რამდენიმე კარი, სადაც მოცემულია პირის ღრუს ჰიგიენისა და კბილების გასათეთრებელი, კანის, ფრჩხილების, ტერფის სამკურნალო, ოფლიანობის და თმათა გასამაგრებელი, გასაცვენი თუ შესაღები საშუალებანი. აღნიშნულ საშუალებათა გაცნობა გვარწმუნებს, რომ ისინი მრავალი საუკუნის უდიდეს გამოცდილებას უნდა ემყარებოდნენ.

ამ მდიდარი მასალიდან გამოვეყავით 64 კოსმექტიკური საშუალება.

განვიხილოთ კარი „აბანოს ბანისა“. ავტორი დაწვრილებით გვიხსნის აბანოში შესვლა-გამოსვლის წესებს და გვაფრთხილებს: „რა აბანოს იბანო წყნარად შედი და გამოდი, ნუ ჩქარად შეხვალ და გამოხვალ“ ამის შემდეგ გვაძლევს რჩევა-დარჩებებს, თუ მსუქანმა ან გამხდარმა კაცმა როგორ იბანოს, რომ „თუ თავი ან ტანი გინდოდეს რომე დაიბანო, ხატმისა წვენითა დაიბანოს და საპონით ნუ დაიბანს, თვარა სიხმეს მოუმატებს, ფერს გაუყვითლებს... ბაზრაცაყატუნითა თუ დაიბანოს, თმასა დაამაგრებს, ტანსა გააგრილებს, თვალის სინათლეს მოუმატებს და ქარტლსა გასწმენდს“

ცალკე კარშია წარმოდგენილი სახის კანის ფერის შესანახუნებელი, ქარისა და სიცივისაგან დამცველი საშუალებანი: წყალში გალესილი მცენარის ფისი, ან კიდევ კვერცხის ცილაში გალესილი პურის გული საფენების სახით.

ნაყვავილარის მოსაცილებლად ავტორი გვირჩევს რთულ სამკურნალო საშუალებას, რომლის შემადგენლობაში შედის როგორც მცენარეული და ცხოველური, ასევე მინერალური წარმოშობის ნივთიერებები.

ცალკე კარი აქვს დათმობილი პირის ღრუს ჰიგიენას, კბილების გასათეთრებელ, გასამაგრებელ და სხვა საშუალებებს.

წიგნში ფართოდ არის განხილული ოფლიანობის საწინააღმდეგო საშუალებანი.

სამკურნალწამლო საშუალებების გარდა ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს კვების რეჟიმს და დიეტეტიკის საკითხებს. მისი აზრით, არასწორი კვება ამა თუ იმ დაავადებათა საწინდარია. „რაცა ფერი საჭმელი მწოვე არის და მწარე ყოველი მხურვალე და ხმელი არის და მისი ჭამა სისხლსა დასწევას და თმასა დააყრევინებს და ტანსა დაამჭლობს“

„უსწორო კარაბადინში“ განსაკუთრებით დიდი ადგილია აქვს დათმობილი თმათა და წვერთა მოვლასა და მკურნალობასა. ამ კარში მოცემულია თმის მოსაფლელი და დასაგრძელებელი; ქერტლის საწინააღმდეგო საშუალებები. საინტერესოა აგრეთვე თმის მოსაცილებელი საშუალებები.

ავტორს მოჰყავს II საუკუნის ცნობილი რომაელი ექიმის, ბუნებისმეტყველისა და ფილოსოფოსის, გალენის — „ჯალინოზ აქიმის“ აზრი, რომ არის ათი დაავადება, რომელნიც მემკვიდრეობით გადაეცემათ და მათ მკურნალობას „არ ეშველება“. „მაგათგან ერთია უყამოდ თმის გათეთრება. მაგრამ იქვე ჯალინოზ ამას მოგახსენებს, რომე სენისა გვარი ორფერია, ერთი ესე რომ გვარისგან წაეკიდების... მეორე ისე რომე ანასდათ დაემართების“ როგორც ჩანს, ავტორი სავსებით ეთანხმება და იზიარებს გალენის ამ მოსაზრებას და გვაძლევს პროფილაქტიკურ საშუალებებს, რომელთა

ხმარებით საერთოდ ავიცილებთ თმის გათეთრებას. ასე, მაგალითად, „თუ კაცმან გაზრდილი ალილა მუდამ იხმაროს, მისთა დღეშიგან არ გათეთრდეს“ უკვე გათეთრებული თმისათვის გეთავაზობს როგორც შავ, ისე წითელ საღებავებს.

ყველა ზემოთაღწერილი საშუალება ელოდება შესწავლასა და მიზანმიმართულ გამოყენებას.

წიგნი სააქიმოი /26/

ხოჯაყოფილის ნაშრომში კოსმეტოლოგიური საკითხები შედარებით ძუნწადაა მოცემული, მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. 84 კოსმეტიკური საშუალებიდან, ნახევარზე მეტი დათმობილი აქვს თმათა, წვერთა და წამწამთა მოვლასა და მის პროფილაქტიკას. ქერტლის სამკურნალოდ მოცემულია 11 სხვადასხვა საშუალება, რომელსაც გვაწვდის ექვსი ექიმი. ეს ექიმები ხშირ შემთხვევაში გვიხსნიან ამათუიმ დაავადებათა მიმდინარეობას და მის გამომწვევ მიზეზებს. ქერტლის შესახებ „ისაკ იტყვის: ესე უფროისი მლაიშსა ბალღმისა სიმექით იქნების, ანუ ზაფრისა მორეგნისაგან, ანუ ჰავათა ბუხართა და ორთქლთაგან, ანუ დამწუარისა გარევისაგან, რომელ თავსა გამოუხდეს და ესე გამოაჩინოს. ნიშანი რაიცა ბალღმისა სიმრავლისაგან იყოს იგი არს რომელ ქარტლი და თავისა ტყავი თეთრად მოაჩვენებდეს, და რაიცა სველისაგან იყოს ნიშანი, იგი არს რომელ საბოისა

და ტყავი შავად მოაჩვენებდეს“

აღსანიშნავია, რომ თმის შესაღები არც ერთი საშუალება არ არის მოცემული. ალბათ, სწორედ ამიტომ არის წიგნში ასეთი სახის რჩევა-დარიგებები: „თმისა გათეთრებისა კურნებაჲ დასაწყისსა მისსა იგი არს, რომელ ყოველსა საჭამდსა გრილსა და ნედლსა ერიდებოდეს ვითა მაწონი და სძე და თევზი და ზროხის ხორცი და რაიცა ამათ ჰგევანდეს ... და მამლარი რაი იყოს არწყიოს და ღვინოსა ნუ სუამს, რომელ სიმთვრალე თმასა აღრე გაათეთრებს“ ან კიდევ „ვარდის წყალსა და ქაფურსა ნუ იხმარებს, რომელ თმასა აღრე გაათეთრებს“

პირის ღრუში არასასიამოვნო სუნი და ღრძილებიდან სისხლის დენა, „ღია მკვავისა ჭამისაგან იქნების, და მკვავისა ბალღმისაგანცა იქნების, რომელ სტომაქისა თავისა შეიყაროს. და სისხლისა დენისა ვითარებაჲ სისხლისა მორვევისაგან იქნების ხორცთაცა“

ჭორჭლის შესახებ „მასოისა ძე იტყვის: ესე მანკი ტყავთა გარეთ გამოჩნდების, ვითარებაჲ მისი ჰავისა სიმეტისაგან იქნების რომელ ტანსა შიგან იყოს და მაშინ ბუნებისა ძალმან ყოველსა ტყავთა ქვეშეთ მოუძალებს, ამით ტყავი ტანისა არა ჰგავს ბუნებისა ტყავსა და ესე მანკი ფიცხელთა სნებათაგან გამოჩნდების“

ნაშრომში მოცემულია, აგრეთვე, კოსმეტიკური საშუალებები მეჭეჭისა და ოფლიანობის შემთხვევაში.

ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის
სამკურნალო წიგნი — კარაბადინი /7/

სამკურნალო წამლო საშუალებანი, რომელიც დაკავშირებულია კოსმეტიკური ნაკლის აღმოფხვრასა და მის პროფილაქტიკასთან, „სამკურნალო წიგნი“ უხვად არის მოცემული. ამ მხრივ, საინტერესოა: სახის კანის, ჰირის ღრუს, ბაგეთა, თრჩხილთა, თმათა, წვერთა და წამწამთა მოსავლელი და სამკურნალო, კბილების გასათეთრებელი, ტერფის დახეთქვისა და ოფლიანობის საწინააღმდეგო, თმის შესაღები და სხვა საშუალებანი.

მთელი კარი აქვს დათმობილი აბანოს ხასიათის განხილვას (უნდა აღვნიშნოთ, რომ კარი „აბანოს ბანისა“ და ზოგიერთი სხვა საშუალებანი სიტყვა-სიტყვით არის გადმოტანილი „უსწორო კარაბადინიდან“, ამიტომ ვრცლად მათ შესახებ აღარ ვიმსჯელებთ). ჰიგიენურ კოსმეტიკურ საშუალებებს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე თმის დასაბანი საშუალებები: „კუერცხისა თეთრი“, „ბაფრუკი“, „ავშნარისა წყალი“ და სხვა

ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, როგორც ფრიად განათლებული ექიმი, აღწერს რა სახის კანის მოსავლელ საშუალებებს, უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ სახის კანზე გამოხატული ცვლილებები, ადამიანის ორგანიზმში მომხდარი პათოლოგიის, მათ შორის შინაგან ორგანოთა დაავადებების გარეგანი გამოვლინებაა. „ხატი კაცისა არს ადგილი თხელი შერეული ტანსა თანა, და იგი არს, რომელ კაცსა ტანსა შინა გამოჩნდების, ხატსა ზედა უფრო

გამოჩნდების“. ეს შეხედულება გახდა, ალბათ, საფუძველი იმისა, რომ ზაზა ფანასკერტელი სახის კანის მოსაველელად გეთავაზობს როგორც შინაგან, ასევე სახეზე წასასმელ საშუალებებს. „ჭორფლისა და გონჯის“ ღროს იგი გეთავაზობს რთული შედგენილობის საშუალებას, რომელიც უნდა შევზილოთ წყლით, გავაკეთოთ კვერები, და გავახმოთ ჩრდილში. „ოდეს გინდოდეს, დაგალე და გაადგინე წყლითა და სცხე ჭორფლსა ღამით და ღილას მოჰბანე“. როგორც ვხედავთ, მოცემული საშუალება კეთდება კვერების სახით, რითაც თავიდან ავიცილებთ მის მალფუჭებას. საჭიროების შემთხვევაში კვერებს წყლით უბრუნდებათ პირვანდელი მდგომარეობა და ისე იხმარება. აქვე განვიხილავთ შიგნით მისაღებ საშუალებას. „ჰკურნე ჭორფლი დედათა მარცულითა მასტაქითა და საბრისა, შეასუი მისგან ორი მიტყალი ნელტფილითა წყლითა და შეასუი იარაჯი ფიკრასა და მარცული თესლთა ჟამ-ჟამ“

საინტერესოა კბილების გასათეთრებელი და პირის ღრუდან არასასიამოვნო სუნის მოსაცილებელი საშუალებები. ვიდრე წარმოგვიდგენდეს ე. წ. „წამალს“, ავტორი გვარბობს, რომ თუ ტკბილეული ან ნიორი ჭამოს, „წინასწარ პირი ძმრითა და გულაბითა გამოირეცხიდეს და ჩხირითა გამოირკნიდეს“, და „მუსუაგითა კბილსა გამოკაზმიდეს“ ამის შემდეგ უნდა მიიღოს წამალი. წიგნში მოცემულია სხვადასხვა რჩევა-დარიგებანი: ოფლიანობის ღროს, ტერფის გახეთქვისას და ფრჩხილის

წავარდნისას.

„სამკურნალო წიგნში“ ფართოდაა წარმოდგენილი თმათა, წვერთა და წამწამთა მოვლა და მკურნალობა. აქ ეხვედებით როგორც თმის ზრდის, ასევე თმის ცვენის საწინააღმდეგი საშუალებებს, „ქერტლისა და სრულისათვის“, წამწამთა ცვენისა და „თვალთა თმისათვის“, „მძოვირისა“ და სხვა.

დეკორატიული კოსმეტიკა „სამკურნალო წიგნში“ ძირითადად წარმოდგენილია თმის საღებავებით, „რომელნი დააშუენებენ თმასა, დასწმენდნენ და გააშავებენ“ მოცემულია როგორც შავი, ისე წითელი საღებავები. ასე წარმოგვიდგება კოსმეტოლოგია „სამკურნალო წიგნში“

დავით ბაგრატიონის
„იადიგარ დაუდი“ /2/

„იადიგარ დაუდი“ ამოვეკრიფეთ 79 კოსმეტიკური საშუალება. მათ შორის: პირის ღრუსათვის, კანის, მუწუკებისა და მეჭეჭის, ფრჩხილების, თმათა, წვერთა და წამწამთა და სხვა.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ კანის დაავადებების ღროს გამოყენებული ბუნებრივი სამკურნალწამლო საშუალება: „გოგირდოვანი წყალი კარგად რგებს მუნსა, ქეცსა, ციებასა, სიმსივნესა და

დაკუტობასა“

ნაშრომიდან მოგვეყავს რამოდენიმე რჩევა-დარიგება:
„ახლად ნაავადმყოფთარი კაცი სურნელოვან რამეებს უნდა
უსუნებდეს: ამბარსა, მუშკსა, ლადანასა, ღაღიასა და ამათ
მსგავს სურნელოვან მცენარეებს. მაგალითად: ვარდსა,
იასა, ზამბახსა, ზაფრანასა, რეჰანსა, იასამანსა, უდსა,
სანდალსა, ვაშლსა და კომშსა“

„გადაჭარბებული სქესობრივი ცხოვრება კაცსა
კარგად არ მოუხდება, ... კაცსა დაამჭლევეს და გაახმობს,
ძალას წაართმევს, წარბსა და წამწამთა გააყრევიებს“

„რეთი აქიმან თქვა: ერთსა კაცსა ფრჩხილო წამხდარი
და გაშავებული ჰქონდავო, და მე სააქიმოდ და საწამლედ
მომიყვანესო, მერე ერთი დედაკაცი მოვიდაო და იმან
თქვაო, ამისი ადვილი წამალი მე ვიციო. მოიტანა ათი
ღირჰამი ინა და წყალშიგა დააღობო და ასრე უთხრა, თუ ესე
სვიო, და იმ კაცმან შიშითა ის ინა კი ვერა სვაო, არამც
მაწყინოსო, და ამა ათის ღირჰამის ინის წყალი სვაო, და
ფრჩხილები უწინდელისაგან უკეთესი შეექნაო, ჩემის
თვალთ ვნახეო“

„იადიგარ დაუდში“ მოცემულია კოსმექტიკური
თვალსაზრისით საინტერესო მაჯუნები, რთული
შემადგენლობის წამლები და სხვადასხვაგვარი ზეთები:
ასე, მაგალითად, „მაჯუნი სულთან ბაიაზით — კაცსა
პირდაღმან ავსა სულსა გაუგდებს, თმასა და წვერსა გვიან
გაუთეთრებს და ესე მაჯუნი ამა საქმეზედა მწოვედ
დაცდილი არის. აწე ამა მაჯუნის შექმნა ასრე უნდა:

მოიტანე მიხაკი, დარიჩინი, ზაფრანა, დანამასტაქი, ზირა, ინდოური ნიგეზის გული, ხახვის, ბოლოკის, სტაფილოს, ენისუნისა, ყარა ჩორაქ ოთისა და უზანლუღის თესლები. ესე წამლები და თესლები ყველა სწორ-სწორი ქნან, დანაყე, გაცერ და რაცა წონითა სრულად ესე წამლები იყოს, სამი იმა წამლების წონა თაფლი მოადუღეთ, ქათუ მოჰხადე და წყნარად ადუღე, რა ქამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს სრულად ესე წამლები შიგ ჩაყარე და კარგად ამოზილე და მაჯუნი იქნების. ორმოცსა ღღესა ქერშიგა ჩადგი, მას უკან თვითო კაკლის ოდენი უნდა ჭამონ და არგებს“

„ხანთალის ზეთის ხასიათი.

ვინცა ესე ზეთი თავსა და წვერ-ულვაშზედა შეიცხოს ყოვლის თმის ცვიენა უშუელოს და თმა გაამაგროს. ამა ზეთის გამოხდა ასრე უნდა: მოიტანე

ხანთალის თესლი — ოთხი რათალი — 520 ღირჰამი, დანაყე.

შირლიღინის ზეთი — ერთი რათალი

ნიგუზის ზეთი — ერთი რათალი

წიფლის ზეთი — ერთი რათალი — 130 ღირჰამი

კარგად ამოჭყლიტონ და მანამდისი ადუღონ, რომე ზეთი მოსქელდეს და თესლის ძალი და ხასიათი ყველა ერბოშიგა გამოვიდეს, მერმე გაწურონ და მინაშიგა ჩაასხან და იხმარონ, ზეთი იქნების“

ვარღის ზეთი — „ვინცა ესე ვარღის ერბო ცვიის წყლითა გააყენოს და ცოტა ძმარი გაუროს და მუნზედა

შეიცხოს, მუნსა და ქეცსა ორსავე უშველოს, და ყოვლისა მხურვალის სენისათვის კაია“

აქვე მოცემულია იისა და ლულუფურის ზეთი, მარსინის ზეთი და სხვა, რომლებიც გამოიყენება თმათა, წვერ-ულვაშთა და წარბ-წამწამთა ცვენის ღრღს.

როგორც ვხედავთ, „იადიგარ დაული“ მდიდარია საინტერესო კოსმეტიკური საშუალებებით.

„წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“
/6/

ჩვენ არ შეგუდგებით ჩამოვთვალოთ ის დიდი დამსახურება, რაც ვახტანგ VI გაუკეთა მშობლიურ ქვეყანას. ჩვენი მიზანია ზემოთაღნიშნული ნაშრომიდან ამოგვკრიფოთ პარფიუმერია-კოსმეტიკისთვის განკუთვნილი პარაგრაფები და შევისწავლოთ ისინი.

ხელნაწერის ერთადერთი სრული ტექსტი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ამ ხელნაწერიდან პროფ. მ. შენგელიას 1963 წელს ნაშრომში — „ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან“, გამოქვეყნებული აქვს სამედიცინო ხასიათის 35 პარაგრაფი. მათ შორის კოსმეტიკური ხასიათის არის — 15. მოგვიანებით, 1984 წელს, გამოდის რ. ჩაგუნავას ნაშრომი — „ვახტანგ ბაგრატიონი და მისი ნაშრომი ქიმიაში“ (რუსულ ენაზე). ავტორს გამოყოფილი აქვს პარფიუმერიაში გამოყენებული 15 პარაგრაფი და კოსმეტიკაში გამოყენებული 5 პარაგრაფი.

ჩვენს მიერ, 1981 წელს გამოსული ვახტანგ VI სრული ნაშრომიდან „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა

ქმნის“, გამოყოფილია სულ 27 პარაგრაფი. მათ შორის 14 პარაგრაფი ეთერზეთების მიღებისა და პარფიუმერული ხასიათისაა, ხოლო 13 პარაგრაფი წარმოადგენს კოსმეტიკურ საშუალებას: მუწუკისა და წყლულის, ტანის გასათეთრებელი, კბილებისა და ღრძილებისათვის, შავად თმის საღებავი, წარბთ საღებავი და სიქაჩლის.

ვახტანგ VI-ს „ქიმიაში“ მოცემული პარაგრაფების შესწავლას ძალზედ ღიძი მნიშვნელობა აქვს როგორც მედიცინის, ისე ქიმიის ისტორიის თვალსაზრისითაც. აქ მოცემული ტექნილოგიებიდან ზოგიერთის პრინციპი დღემდე აქტუალურია და გამოიყენება ქიმიურ მრეწველობაში.

წინამდებარე ოთხი კარაბადინის შესწავლას ვახტანგ VI-ს „ქიმიასთან“ ერთად უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლია პარფიუმერისა და კოსმეტოლოგიის ისტორიისათვის. აქ არის მრავალი თვალმარგალიტი, რომელიც შემდგომ შესწავლასა და გამოკვლევას მოითხოვს.

ამ მიზნით გულდასმით შევისწავლეთ წინამდებარე ხუთ ძეგლში მოცემული კოსმეტიკურ საშუალებათა თითოეული ინგრედიენტი თანამედროვე ნომენკლატურების შესაბამისად, შევადგინეთ და ნაშრომის ბოლოს დაფურთეთ კოსმეტიკურ საშუალებათა კომპონენტების ლექსიკონი, რისთვისაც ძირითადად გამოვიყენეთ ძეგლებში არსებული ლექსიკონები და მრავალი სხვა ნაშრომი და ლექსიკონი, რაზედაც კი ხელი მიგვიწვდებოდა.

გზა ახალი საშუალებების შექმენისაკენ



ამ ძეგლების შესწავლა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა. სხვა მრავალ საინტერესო საკითხებს შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო „იალიგარ დაუღში“ მოცემულმა გოგორდოვანი წყლისა და ვარდის ზეთის თვისებებმა და მათმა დახასიათებამ: „ცივი წყარო როდესაც ან გოგორდის; ან სხვა რამე მხურვალ ქანს გამოივლის, მხოლოდ მაშინ გათბება. ასეთი წყალი კარგად რგებს მუნსა, ქექსა, ციებასა, სიმსივნესა და დაკუტობასა“ აქ ახსნილია როგორც გოგორდოვანი წყლის წარმოშობა, ისე მისი გამოყენება სამკურნალო მიზნებისათვის.

„ვინცა ესე ვარდის ერბო ცივი წყლითა გააყენოს და ცოტა ძმარი გაუროს და მუნზედა შეიცხოს, მუნსა და ქექსა ორსავე უშეელოს“, აქ ვარდის ზეთი და ძმარი გვევლინება მუნისა და ქექის სამკურნალო საშუალებად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი დედაქალაქის — თბილისის დაარსებას საფუძველი დაუდო აქ არსებულმა, ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილმა, ცხელმა გოგორდოვანმა წყლებმა. თბილისის ისტორია ხომ განუყრელად არის დაკავშირებული გოგორდოვანი წყლების ისტორიასთან. მოგვეყავს რამდენიმე ჩანაწერი თბილისის გოგორდოვან აბანოებზე:

— „დაბადებიდან არ შევხვედრე არც რუსეთში, არც თურქეთში თბილისის აბანოებზე უფრო დიდებულ რამეს“ — ასე ახასიათებს ალექსანდრე პუშკინი ჩვენს გოგორღოვან აბანოებს /4/.

— ფრანგი მიგ ზაური ჟან შარლენი (1670წ.) ხაზს უსვამს რა მინერალური წყლების სამკურნალო მნიშვნელობას, ამბობს: „აბანოების წყალი გოგორღიანია და ძლიერ ცხელი, კარგად მყოფების გარდა აქ ბანაობენ აგრეთვე სნეულებიც, სამკურნალოდ“ /4/.

— საინტერესოა გერმანელი მოგ ზაური ქალის, ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის (1811წ.) ცნობაც: „თბილისის აბანოები საუცხოვოა, ცხელი წყალი გადმოსჩქეფს კლდიდან აუზებში. წყალი შეიცავს დიდი რაოდენობით გოგორღს და ძალზე სამკურნალოა რევმატიზმის, ნეკრესის ქარის, სრისვილისა და ჭრილობის მოსარჩენად“ /4/.

ზემოთმოყვანილი მასალის შესწავლამ, განსაკუთრებით გოგორღოვანი წყლის დახასიათებამ, გვიკარნახა — გამოგვეყენებინა იგი თანამედროვე კოსმეტოლოგიაში. კერძოდ, შეგვექმნა სრულიად ახალი ნელსაცხებელი და მისი ძირითადი კომპონენტი ყოფილიყო საქვეყნოდ ცნობილი თბილისის გოგორღოვანი წყალი.

1968 წელს იღეა საქმედ ვაქციეთ. ძველი

კოსმეტიკური საშუალებების გულმოდგინედ შესწავლის საფუძველზე შევქმენით სრულიად ახალი, თანამედროვე, ქართული, ემულსიური ნელსაცხებელი. (ამ მიზნისათვის შევარჩიეთ თბილისი №4 თერმული ბურღილი და გამოვიკვლიეთ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. სტანდარტიზაციისა და ნორმირების საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიერ ჰირველად შემუშავდა ტექნიკური პირობები, კოსმეტიკური მიზნებისათვის გამოყენებული „თბილისი 4-თ“ მინერალური წყლისა).

1970 და 1990 წლებში ნელსაცხებელმა ორჯერ გაიარა გამოცდა მოსკოვის სამეცნიერო-პრაქტიკულ გაერთიანება „კოსმეტოლოგიაში“

ნელსაცხებელი, ცხიმოვანი საფუძვლის გარდა, შეიცავს მინერალურ წყალს, სურნელოვან, ამავე დროს, კანისათვის უძველესი ღროიდან სამკურნალო საშუალებას — ვარდის ზეთს. წარმოგიდგენთ ამონაწერს ზემოხსენებული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მორფოლოგიური, ექსპერიმენტული და კლინიკური გამოკვლევების შედეგად მიღებული დასკვნიდან:

„პრეპარატს არ ახასიათებს გამაღიზიანებელი და აღერგიული მოქმედება, უარყოფითად არ მოქმედებს ღვიძლის მორფოლოგიაზე. კანის მორფოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ნელსაცხებელი ასტიმულირებს

კანის სტრუქტურებს, რაც გამოიხატება ეპიდერმისის გასქელებაში, განსაკუთრებით, ეპიდერმისის ქვეშა ღერმის ფიბრობლასტების პროლიფერაციაში, გამოყოფს რა გლიკოზამინოგლიკანს, აქლიერებს ფიბრილოგენებს. ასტიმულირებს, აგრეთვე, ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციას, რაც გამოიხატება მათი ზომისა და რაოდენობის ზრდაში.

ნელსაცხებლის მოქმედების შედეგად ექსპერიმენტული ცხოველების კანში ხსნადი ლიპიდების შემადგენლობა გაიზარდა კონტროლში 382,8 -14,3 მკ %, ხოლო საცდელ ჯგუფში 1280,458 მკ %.

ნელსაცხებელს აქვს ანთებისსაწინააღმდეგო თვისებები. ანთების ჩაქრობის პროცენტი შეადგენს 1 საათის შემდეგ 23%, 2 საათის შემდეგ — 47,5 %, 3 საათის შემდეგ — 66,7%.

კლინიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ნელსაცხებელს აქვს სასიამოვნო კონსისტენცია, კარგად იწოვება კანის მიერ, არბილებს მას, აღჭურვილია ანთების საწინააღმდეგო თვისებებით.

ნელსაცხებლის მოქმედების შედეგად ჯამური ლიპიდების რაოდენობა, საწყის რაოდენობასთან შედარებით, კანის ჩამონარეცხში მატულობს 28%-ით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების გათვალისწინებით ნელსაცხებელი ჩვენს მიერ

რეკომენდირებულია მშრალი, მგრძნობიარე სახის კანისათვის“

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კოსმეტოლოგიას საქართველოში უძველესი ღრობიდან აქვს დასაბამი და ვითარდებოდა ნელ-ნელა ათასწლეულების მანძილზე, თავიდან ემპირიულად, თანდათან კი ყოველივე ამან მეცნიერული ხასიათი მიიღო.

ისტორია არ რჩება მხოლოდ ისტორიად. თუ ღრმად შევისწავლით კოსმეტიკურ საშუალებებს ზემოხსენებულ ძეგლებში, შეიძლება მივიღოთ მრავალი ახალი კოსმეტიკური საშუალება, რომელიც ექსპერიმენტულ-კლინიკური გამოკვლევების საფუძველზე პრაქტიკულად დაინერგება თანამედროვე კოსმეტოლოგიაში.

நெடுமலை

უსწორო კარაბადინი

ნიშანი მარცხლისა ერგების სიმყრალესა პირისა. და ვის საუბრობაშიგან გამოჰყუებოდეს (შიგნით) მყრალი სული გასწმინდეს ესე სტომაქსა ნებითა ღთისათა. აიღე:

საბრის კუტრი – მუტყალი და ნახევარი
ანისონი – ერთი ღრამი
ნიახურის თესლი – ერთი ღრამი
ნანხუა – ერთი ღრამი
ხალილაგი შავი – ერთი ღრამი
მარილი ჰინდი – ერთი ღრამი
კარამფული – ერთი ღრამი
სუმბული – ერთი ღრამი
მუკლი – კერატის წონა

შეკრიბენ ესე წამლები დანაყე, გაცერ და თურინჯისა ქერქისა წყლითა შეზილე და ან პიტნისა წყლითა მარცულად დაქენ და ჩრდილში გაახმე. შესმა მისგან წონა ორის ღრამისა და მასუკანის ვარდის წყალი შესვას გამტკებარი. ერგების ესე წამალი დამპლობასა ნოტიასა რომელი შეეჭნების სტომაქსა შინა. დაუამებს სულსა პირისასა ნებითა ღთისათა.



ნიშანი მარცხლისა ჩადებითა პირსა შიგან. ერგების მოფოლხკებულებასა დძილთასა, რომლისაგან გამოვიდოდეს სისხლი, ნიადაგ ტკივილსა კბილთასა და საცოხნეთასა და გამოიღებს სინოტიესა პირისაგან და დაუამებს სულსა პირისასა და ერგების კბილთა

შეძრულთა, ნებითა ღ'თისათა. აიღე:

კარამფულისა გურკა

აყარყარა

გუნდა მწვანე

ბასბასა

ქაბაბა

ბროწეულის ქერქი

ყოველი ამათვანი სწორი წონა დანაყე და გაცერ და ყურძნის რუბითა შეზილე და მარცულად ქენით, გაახმეთ და როდესაც გინდოდეს მისგან ჩაიღვეით პირსა შიგან თუითო მარცული და ერთი მეორისა შედეგად. და პირსა რა ლორწო მოექცეოდეს, წანერწყვიდეს უამჟამად. სარგებლისა არის ნებითა ღ'თისათა.

†

ყურსი მუშკისა არგებს სტომაქსა და კბილის ძირს დაამაგრებს და ხშირად რომე პირსა პერული დავარდების არგებს და პირსა რომე ავი სული ამოსდიოდეს მასაც არგებს და კაცის გულსა გაანათლებს და თესლსა მოუმატებს და შფოთად რომე იყოს მასაც უშველის. დაიჭირე:

მუშკი – ერთი დანგი

უდი ჰინდი – ორი დანგი

ყარანფული

ალიქირუმი

დარიჩინი

თურინჯის ქერქი

ქაბაბა

ჯავზაბოვა

ყაყულა

თუითოსაგან ნახევარ დრამი. ეს ჯუმლად დანაყე და

ვარდის წყლით ნახევარ დრამისა წონა დააგორგაღე და
საღამოს თეთრის შაქრით აჭამე.

†

თუ ბაგე გაუსქდეს დაიჭირე:

დანაყილი გუნდა

ნიშასტაგი

უმარული

ქათირა

ესე ერთისა სწორი ქენ და ჯუშულად დანაყე და
მოიღე ქათმისა ქონი, ვარდისა ზეთი, წმიდა ცვილი და
ცოტა ერბო, ამითა ესე ყუელა, მალამად ქენ და ზედა
დასდებდეს და კუერცხისა ხეჭვებსა შიგნით რომე სხუა
თხელი აფსკი არის და აკრავს, ესე იმა გახეთქილზედა
დაიკრას, და ქაფურისა მალამაცა კარგი არის, და
ყოველთა ღამეთა ჯულაბსა სწმიდეს ბაზრაცუნითა.

†

ბატის ქონი, ხბოსა ქონი და ქათმისა ქონი ერთად
დაზილე და ტლელ შემოსდე.

†

გუნდა დანაყე და ძრმითა დაზილე და ტლელ
შემოსდე, მარგე არის და საჭმელად მოხარშული
ჭაკუტნელი, თორხლო კუერცხი და ასპანახი ქერისა
წყლითა შექნილი აჭამეთ.

†

თუ კბილისა ძირი გასქდეს, მისი წამალი: უწინა
ხელი გაუხსნას და მერმე კოტოში მოკიდოს კისერსა.

ოსპი და სამყი პირშიგა იმგუბე და გამოასხემდი და
კიდევ იმგუბებდეს.

†

თუ ღრძილნი ქაოდენ თუთუბა ძრმითა მოზილე და

სამჯერ, ოთხჯერ ზედა დასდევ და უშველის ღოთითა.

†

წამალი, რომე კბილები გაათეთროს და სული გამოიღოს. დაიჭირე:

ზღუისა ქაფი – სამი მუტყალი
ჩინურისა ნატეხი – სამი მუტყალი
ანდრანული მარილი – სამი მუტყალი
დამწუარი ქერი – ორი მუტყალი
სუდი დამწუარი – ორი მუტყალი
სუმბული – ორი მუტყალი
გაზმაზუ – ორი მუტყალი
აბულასი – ორი მუტყალი
შაბი იამანი დამწუარი და ძრმითა დამბალი –

ორი მუტყალი

აყირყარა – ხუთი მუტყალი

სანდალი – ორი მუტყალი

ფუფულკი – ორი მუტყალი

ეს ყუელაი ერთად დანაყე და ამითა კბილისა ძირსა დაიზელდეს. ტყემალი მოხარშული და უხარშავიცა, ატამი და ნესუი რომე უზმა ჭამდეს მარგე არის.

†

პირისა ფერისა შენახვისა.

თუ გინდოდეს, რომე პირის სახე მართლად შეინახო, რომე ქარმან, სიცივემან და მზემან არ აწყინოს, აიღე კვერცხის ცილა და თეთრი პურის გული გაურივე და პირსა შესცხე მარგე არის.

†

თუ სამყი არაბი წყლით გალესო და შესცხო ისიც მარგე არის.

†

თუ პირზედა ნაყვაილები აჩნდეს, ანუ ქვინთრუში,

ანუ სხვა წითელი რამე აჩნდეს, წამალი მისი, აიღე:

სოსნის ძირი

ყუსტი

მურდასანგი

ირმის რქა ღამწუარი

ბორა

ვაშაყი

ყველა დანაყე და გოსაფრისა ყუითლისა წვენითა შეზილე და შემოსდევ და რაც ჩნდეს ყველა წაილოს.

†

სხვა წამალი გამოცდილი, აიღე ყუსტი, დარიჩინი დანაყე და გოსაფრისა ყუითლისა წვენითა შეასოვლე და შემოსდევ, ნიშნები ყველა წაილოს.

†

რომე თმა მშვიდობითა შეინახოს. აიღე:

წითელი ყაყაჩო – ოთხი წილი

აქლილმულუქი – ერთი წილი

ლეღვის ფურცელი – ერთი წილი

ლადანა – სამი წილი

ფარისიაოშანი – სამი წილი

ესე წამლები დანაყე და მასტაქისა ზეთითა შეზილე და შესცხე, თმითა ძირსა დაამაგრებს და მართლად შეინახავს.

†

სხვა წამალი, რომე თმა გააგრძელოს:

ჭაკუნტლისა ფურცლისა, აყიროს ფურცლისა და ხატმის ფურცლისა ნადუღარითა წვენითა იბანდეს, ერთობ მარგე არის.

†

სოსნის ზეთი, იის ზეთი, მურტნის ზეთი და შამანდალის ნადუღარი ერთობ მარგე არის.



დამწურის სელის შირბახტითა შეცხება ერთობ მარგე არის.



თმისა, წვერისა და წარბისა ცვინფასა ნიშანი ორი მიტყალი იარაჯფეყრა და ერთი დანგი საყმუნია გაურიოს და შესვას მარგე არის. და ტლედ თავსა ფარფიონი და მავიზაჯი მარგე არის.



თუ ზაფრისაგან იყოს: აიღე ათი ღრამი შირხიშტი, ათი ღრამი თარანგუბინი თბილითა წყლითა გამოწურე და აღილას შარბათშიგან გაურივე. თუ წამლის აღებას დაჩვეული იყოს, ორი დანგი შამანდალი, ერთი დანგი საყმუნია გაურივე და შეასვი წამლის აღებითა წესითა და ის ალაგი მჩურითა შეუსვი, რომე გაწითლდეს, მერმე ის ხამი დაწვი და ხახვის წვენითა ზედა შემოსდეგ.



თუ სევდისაგან იყოს: აფთიმონისა მათბუხი შეუწყებით ამა წესითა: აფთიმონი აიღე ოთხი ღრამი და ანგინოზისა წვენშიგა დაალბე ერთსა დღესა და ღამესა, მერმე მოადულე მანამდი, ვირემ სამოცდაათ ღრამად მოიყაროს, მერმე შაქრითა დაატკბე, ერთი დანგი საყამუნია გაურივე და შეასვი წამლის წესითა და იარაჯფეყრაც გაურივე და ტლე მარგულია კარგად შესცხო და ფარფიონიც მარგე არის, რომე შემოსცხო და საჭმელად მომსუქნო შეუწყევით.



თუ ბალღმისაგან იყოს, აიღე:

იარაჯ ფეყრა — ორი მიტყალი
შამიანდალი — ორი დანგი
თურბითი — ერთი ღრამი
გაურივე და შეასვი წამლის წესითა. აიღე:
ბორა ერმანი — ორი წილი
ნიშადური — ერთი წილი

ორივე დაწვი და დანაყე და ძრმითა გაურივე და შესცხებდი. პირველად ისი ადგილი ხამითა მჩურითა შეუსვი, რომე გაწითლდეს. საჭმელი მსუქანი შეუწყევით. ხორცისა და ღვინისაგან იფარეზოს და ყოველთა მესამეთა დღეთა თავი მოიპარსოს, და პირს ასრე იბანდეს რომე თავსა წყალი არ დაისხას, თვარა ზიანი არის.

†

სხვა სენი არის, რომე თმასა წვერსა წილივით მოეკიდების.

წამალი მისი, აბიყუყია აალებინე. მერმე წამალსა ხაიზრა ჰქვიან ის წყლით მოადულე და მითა თმა და წვერი დაბანე.

†

თუ არ ეშველოს: ზირა ქირმანი და გოგირდი დანაყე და ქუნჯითისა ზეთითა გაურივე და თმაზედ შესცხოს.

†

სხვა სენი, რომე თმასა და წვერსა შიგან ქაეილი შეექნას. წამალი მისი: პირველად აბიყუყია აალებინე, მერმე ყიფალი გაუხსენ და ყოველთა დღეთა ძრმითა და ვარდის წყლითა ღარღარას აქნევიანებდი და მუდამ წვერსა და თმასა იბანდეს ჭაკუნტლისა წვენითა, ხატმის ფურცლისა წვენითა და აქლილმალუქის წვენითა.

†

თუ სუბუქი ქერტლი იყოს: თმისა ძირსა, ამას
სუბუქად წამლითა ეშველების:

ვარდის ზეთითა
იისა ზეთითა
ხატმის ლაბითა
ბაზრაყატუნის ლაბითა
ჭაკუნტლისა ნადულარითა
მისისა ფურცლისა წვენი
ულბოსა ნადულარი
ნესვისა თესლისა ნადულარი
მუხუდოს ფქვილი
თურმუზისა ფქვილი

ხატმითა და ძრმითა ერთობ მარგე არის.

†

თუ უფრო ავი იყოს და მლიერი და წყლული, უწინ
გასახსნელი წამალი უნდა მისცე და მერმე რბილი
ლაბები და ზეთები შესცხეთ მომატებულთა წამლებითა,
როგორაცა ბორათა და ზროხისა ნალულითა და
შამანდლითა და მისი წვენი და თხლე და მლოგი და
ხახისძირა და ეს ყველა მარგე არის.

†

სხვა წამალი მარგე, აიღე:
ღვინის თხლე – ერთი ბალბადური ლიტრა
საპონი – ერთი უკია
ბორა – ოთხი ღრამი

ყველა დანაყე და ერთად შეზილე და თავსა შემოსდევე
თმას ქვეშე და ერთსა ჟამსა ედვას, მერმე მუხუდოსა და
ჭაკუნტლის ნადულარითა აბანე, და თუ იყოს, მერმე
მურტისა ზეთითა შეზილე.

†

თუ თმის თავი ორად გაიწიოს, ის სიხმისაგან

იქნების. წამალი მისი ხატმისა თესლისა ლაბა და
ტირიფის ფურცლისა წვენი მარგე არის.

†

სხვა წამალი რომე თმა დააყენოს, აიღე:

კირი წყალმიუმხუდარი

ზირნიხი – სწორი

საბრი

ცერეცო

ერთის წონა წყლითა ჩადევ და ერწამ დადევ და
მერმე შემოსდევ და მერმე მობანე. თუ ხორცისა
დაწვისაგან გეშინოდეს, პირველად ვარდის ზეთი შესცხვე
და მერმე ის წამალი. მასუკნით ცივის წყლით დაიბანოს.

†

რომე გინდოდეს, რომე თმა აღარ ამოვიდეს,
სადაც გინდოდეს, თმა დაგლიჯე ჩქიფითა და ბანგის
წვენი და აფიონი ძრმით შემოსდევ და თმა აღარ
ამოვიდეს.

†

სხუა, გამხმარი მხულიკი დანაყე და ბაზრაყატუნისა
ლოაბი შემოსდევ და ლენცოფის მარცვალი დანაყე და
შემოსდევ, თმა აღარ ამოვა.

†

თუ თმის დაგრძელება გინდოდეს, აიღე:

ულბოსა ფქვილი

ლენცოფას თესლი

კირი

გუნდა

მურდასანგი

დანაყე და შეზილე და თმის ძირსა შემოსდევ ერთსა
დღესა და ღამესა, და დაეგრძელოს თმა.

თუ კიდევ გინდოდეს, რომე თმა გრუზობისაგან
გამართოს, აიღე:

ნელთბილი შირბატის ბორა სარსმეშიგა გაურივე და
მით დაიბანე და უშველის.

✠

თუ თმას წვერი გაუხმეს, წინა გასახსნელი
წამალი მიეც, მერმე ყიფალი გაუხსენ, წამალი მისი,
აიღე:

ბროწეულის ქერქი
მურდასანგი
ზარდაჩობი
ზარევანდი გრძელი
ინა — თვითო დრამი

დანაყე და ვარდის ზეთითა და ძრმითა შეზიღე და
შემოსდე, მერმე კვერცხითა და თბილის წყლით დაბანე
და სელის ლაბა და ხატმის ლაბა და ბაზრაყატუნისა
ლაბითა დაბანოს თმა, წვერისა მარგე არის.

✠

რომე კაცი გვიან გათეთრდეს, თუ კაცმან
გაზრდილი ალილა ქაბული ყოვალთა დილასა ჭამოს,
მისთა დღეშიგან არ გათეთრდეს.

✠

ნიშანი მარგე მაჯუნისა, აიღე:

შავი ალილა — ერთი წილი
ამილა — ერთი წილი
ბალაზურისა თაფლი — ნახევარ წილი

ზროხისა ერბოთა დაასოვლე და თაფლითა შეზიღე,
მარგე არის.

✠

თმისა შეღებვა: გუნდა მწვანე უხურეტელი, რაც
გინდოდეს დასცხე, ზეთი, ჩაყარე ტაფათა, დაწვი, ასრე

რომე ცეცხლი არ მოედვას, ასრე დაწვი, რომე შიგ
ზეთი არ ღარჩეს, მერმე გაახმე, კარგად დანაყე და
გაცერ და შეინახე, რა მოგინდეს – აილე მისგან ათი
დრამი და დრამი ხუთ ხუთი დანგი ქენ, ოთხი დრამი
და ან სამი დრამი ლახოსტაკი და დრამნახევარი შაბი
და დრამნახევარი მარილი და ორი დრამი ყარანფული,
ეს ყველა დანაყე და გაცერ და გაურივე ერთმანერთსა
და თბილი წყლითა შეზილე, გააფუვე და მერმე გაქენ
თბილითა წყლითა და შესცხვე, ორჯერ შეღებავს და
თმასა გააშავებს ბრძანებითა ღთისათა.

✠

სხვა უმცროსი საღებავი, აილე გუნდა დამწვარი და
გაცრილი ვითა ზემორ დაგვიწერია, ისრე ოცდაათი და
ლახოსტაკი სამი დრამი

ნიგუზის ქერქი გამხმარი, დანაყილი, გაცრილი
– ხუთი დრამი

მარილი ანდრანი – ორი დრამი

ნიშადური – ორი დრამი

დანაყილი და გაცრილი და ნედლის ნიგუზის ქერქისა
წვენითა შეზილე, ანუ მურტისა წვენითა, ანუ თუთუბოსა
წვენითა, მერმე დასდგა რომე გაფუედეს და მერმე გაქრა
თბილით წყლითა და თბილად შესცხვე, ორჯელ
ზედიზედ შეღებავს ღთითა. მერმე დილეულად აბანოს
დაიბანოს და იცხე ზეთი ქინძისა ანუ ზირკისა.

✠

სხვა ნიშანი საღებავისა, რომე შეღებავს თმასა
წითლად, ბრძანებითა ღთისათა, აილე :

ხატმი კარგი ახალი – ორი წილი

ინა ახალი – ერთი წილი

შეურივე ერთად და დასცრენ და თუთუბოს წვენითა
შეზილენ და გააფუვე და შეღებოს ერგების.



რომე კაცსა გარეთა მუწუკები, ანუ სხვა მდიერი
რამე გამოესხას.

ლეღვი დანაყე და ცოტა ქერის ფქვილი და
ბაზარყატუნისა ლობი დაიჭირე და ესე ლეღვი შიგ
გაურივე და შემოსღევ ზედა, თუ გახეთქოს კარგია.



თუ ვერ გახეთქოს, ზემო წამალს გაურივე:

ტრედის ხუნდის სკინტლი

შრეში

ვაშაყი — ცოტა (დაადნევ)

ესე წამლები ზემორე წამლებში გაურივე და
შემოსღევ.



თუ ამან არ გახეთქოს მაზარიონი დანაყე და შრეში
გაურივე და შემოსღევ და გახეთქს.



თუ არ გამოწმინდოს მითა, ჩიბიზაგ, მათრახის ტარსა
რომე შეიქმან გრაკი იმას ჰქვიან, დანაყე და თეთრსა
მალამაშიგან გაურივე, გაამრთელებს ღთითა.



თუ გუიანად გამრთელდეს ანძრუთი დანაყე, ძმარშიგა
გაურივე და შემოსღევ.



ღლია რომ უყარდეს, აიღე მურდასანგი, ვარდის
წყალშიგა გაურივე და შესცხე ღლიაშიგა, უწინ ებანოს
აბანოსა და მერმე შესცხე.



სხუა, აიღე ასლისუსი და მისი ფოთოლი წყალშიგა
მოადუღე და ისი წყალი თეთრსა მიწისა ჭურჭელშიგა
ჩაასხი, მერმე ისი მოდუღებული ფურცელი შიგა

გაურივე მურღასანგშიგა, ზედ შესცხე.



თუ ამან არ უშუელუს, აიღე სუმბული, სოდი, თეთრი შაბი დანაყე სწორ სწორი და წყლით შესცხე.



ტანი რომე აყროლდეს, მისი წამალი ნიახური იცხოს და მისი წვენი ჩანთქას, ანუ ყურსი უფული ჭამოს.



თუ ტანი ფსლისა სიმყრალისაგან აყროლდეს ესევე ქნას. სხვა, აიღე: სალიხა, უფული დანაყე, და შაქრითა მიეც, რომე ჭამოს.



თუ არც ამან უშველოს, აიღე ყარანფული, სუმბული, ხულინჯანი თვითოსაგან სამ სამი მიტყალი, ბუტმისა გული, თორმეტი მიტყალი ერთად დანაყე და შაქრით ჯულაბი შექენ და მიეც ერთსა კვირასა რომე ჭამოს და კვერცხისაგან იფარეზოს.



თუ ფრჩხილი გაუსქდეს, მათბუხი აფთიმონი შეუწყევით, საჭმელი ყველაწმომსუქნო, ტკბილი აჭამეთ, ურთხელის გომიზი შემოსდევით რომ ფრჩხილი ყველა გაარბილოს.



სხვა, აიღე: ბიის გული დანაყე, გაცერ, ერთმანერთსა გაურივე, კარგი არის.



თუ ფრჩხილი წავარდეს რისგანმე მიზეზითა, აიღე: ინა, სელის ზეთი გაურივე და შემოსდევ, ერთობ კარგს ფრჩხილს გამოიყვანს.



თუ ტერფი გაუსქდეს, პირველად ალილისა

მათბუხი შეუწყევით, მასუკანით ერთსა კვირესა ხილთა
წყალთა ასმევდით, მუდამ ამას ხელითა იხელდეს. აიღე
იის ზეთი, ზროხის წვივის ჭლიკის ტვინი, ბატის ქონი,
ტირიფის ფურცელი დანაყე და ამაშიგ გაურივე და
ინავით ფერხზედ შესცხე.

†

მუდმად, ჭაკუნტლის ფურცელი წყლითა მოადუღე
და კვერცხის ცილა გაურივე, მალამოდ შექენ, შემოსდევ.

†

ფერხი როშე დაოფლოიანდეს მისი წამალი, აიღე:
მური წყლითა მოადუღე და ფერხი შიგ ჩაუყავ.

†

ფერხი მუდამ თბილსა ზროხისა სისხლშიგა ჩაუყავ,
დუმაცა დანაყე და შიგ გაურივე წვივსა და ფერხზედ
შემოსდევ.

†

თეთრი მალამა, მლიერის, დამწვრისა,
დამდურულისა, დაკოდილისა, ყველას, ყვალას
უშველის, მალედ ხორცს ამოზრდის, აიღე:

უმარილო — ათი დრამი

ანძრუთი — სამი დრამი

მურდასანგი — ერთი დრამი

დანაყე, გაცერ, მოიღე:

თეთრი ცვილი — შვიდი დრამი

ქათმის ქონი — შვიდი დრამი

ბერძელი ზეთი ანუ

შირბახტის ზეთი

და ეს ყველა ერთპირად დაადნევ, ავანშიგა ჩაასხი და
წამლები ზედ დააყარე და გაქენ კარგად სანაყელითა.
შეინახე და რა მოგინდეს ზედ დასდევ, მარგე არის
ლ'თითა.



თეთრი მალამა, რომე უშველის ყოველსა ფერსა
ახალსა წყლულსა და მღიერსა, აიღე:

უმარილო — სამი დრამი

ანძრუთი — სამი დრამი

შაბი — სამი დრამი

ცვილი — სამი დრამი

რაც ზეთი მოუნდეს ბერძული და ზრობის: ჭედვის
ტვინი ყველა ერთმანერთშიგა შეადუდე და მალამად
იხმარე და რა მოგინდეს, მარგე არის ღთითა.



ქაფურის მალამასა ხასიათი ბაგე რომ გაუსქდეს,
უკანა კარი ეწოდეს მასაც არგებს, მღიერი და მჯდომი
გამოვიდეს მასაც არგებს, თუ ხლმითა ანუ ისრითა
დაკოდილი იყოს მას დასდეას, ან პატრუკითა შედვას
მას არგებს, აიღე:

მურდასანგი — ერთი მიტყალი

უმარილო — ერთი მიტყალი

სპეტა — ორი მიტყალი

ესენი დანაყე, გაცერ და თეთრი ცვილი და ზეთი
გააღნე, უკმოდგი, რაჟამს გაცივდეს ეს დანაყილი და
გაცრილი წამლები შიგ გაურივე, მერმე ერთისა
კვერცხის ცილა გაურივე, ასრე რომე არ შეიწვას, მერმე
ცოტა ქაფური გაურივე, კარგად დაზილეთ რომე
გასწორდეს, შეინახე და რა მოგინდეს იხმარე, მარგე
არის ღთითა.



წიგნი სააქიმოი

საბოსაი რომელსა ჰქვიან ქარტლი

იოჰანა იტყვის: თავი მუხუდისა და ბაკლასა და
ბაღბაისა წყლითა დაიბანოს, ქინძისა წყალსა თავსა

იცხებდეს.



მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ეგრე ხამს, რომე როფისისაი იარაითა მუცელი დაიღბოს, და თუ მანკი ძველი იყოს ქუნჯითისა ზეთი მელის ყურძნისა წყლითა შასუას. და თუ ძველი არ იყოს თავი მოიპარსოს და ღამით თავსა ნელი ერბოი იცხოს და დღისით ნელითა წყლითა დაიბანოს, ბუნარიანთა საჭამადსა ერიდებოდეს ვითა ნიორი და ხახვი მიწყით ვარდის ზეთი და ძმარი თავსა სცხოს და ნელითა წყლითა ჰბანდეს ერგების.



მასარჯოთა იტყვის: თუთუბითა და ისრიმითა და მჟავითა შექნილსა ჭამდეს, და თავი შემგებრითა ჭაკუნტლისა წყლითა იბანოს, ანუ ტირიფისა ფურცლისა წყლითა.



სიქანგუბინითა ღარღარა ქნას და თავი ნელლისა ქინძისა და ბალბაისა წყლითა დაიბანოს, და თუ ნელლი ბაკლა დანაყოს და თავსა შემოსდვას, მაშინ აბანოს ნელითა წყლითა და ბალბითა ჰბანდეს.



ისაკ იტყვის: გაზრდილი ზანჯაბილი ნანხუაჰსა გაურიოს და უზმამან ჭამოს, რომელ სინედლე სტომაქიდაღმა გამოწმიდოს. და თუ ძველი გულანგუბინი და მასტაქი და ცოტაი პილპილი დანაყილი იხმაროს კარგი არს. და სოსნისა და ნარგისისა ზეთსა თავსა იცხებდეს, და თუ სელისა და უღბის წყლითა თავი დაიბანოს უმჯობესი არს. და მჟავესა ერიდებოდეს და მუხუდისა წვენსა და ყალიასა ჭამდეს.



თებით ყურაის ძე იტყვის: აუთიმონისა
ფუხთაი ჭამოს, საჭამადთა მხურვალთა და ნელლთა
ჭამდეს, და მჟავეთა ერიდებოდეს.

†

ნილოფარისა ძირი ხორფარასთისა წყლითა
შეაგბოლის და მიწყით თავსა იმით იბანდეს.

†

მუხუდისა ფქვილი – სამი ღრამი
ულბოი – ერთი ღრამი
ბაურუკი – ერთი ღრამი
თეთრი ჭიქაი – ერთი ღრამი

ყველაი დანაყოს და შეზილოს წყლითა, და თავსა
დასდებდეს კარგი არს.

†

მისიაი იტყვის: ყოყიასა ჰაბი და ღიდსა იარასაი
ჰაბსა თანა ჭამოს და მერმე სიქანგუბინითა ღარღარა
ქნას. ანუ სპანძელისა წყლითა და აყირყარჰათა, და
თავსა მუხუდოს წყლითა და თურმისის წყლითა და
ულბაისა ლუაბითა კარგად დაიბანოს.

†

ნედლისა ქუნჯიდისა წყალი ცხარსა ძმარსა გაურიოს
და თავი მით დაიბანოს.

†

ზროხისა ნავლელი და ბაურუკი თვითოსაგან ამისისა
წონი მიწასა გაურიოს და თავსა სცხოს და მერმე
ბალბაითა დაიბანოს ერგების.

†

თმისა დახდისა და ბელატობისაი

ბაყრატი იტყვის: რაიცა უსაჭამადობით ქნილ
იყოს. მისი კურნებაი იგი არს, კარგი საჭამადი

მიუმატონ და აბანოს ძილითა გამოუსვენონ, და წითელსა ღვინოსა სმიდეს, და მორდისა ზეთი და ლადანასი თავსა შესცხოს.



რაიცა ჰავად ყოფობისაგან წაეკიდებოდეს მისი კურნებაი იგი არს, ნატიფსა საჭამადსა აჭმეუდენ, ვითა ერთისა წლისა ცხერისა ხორცი და ნედლი ხილი და ეგეთი საჭამადი რომელ ტანსა გააძლიერებდეს. და გამოსუენებით ყოფითა რომელ არას აჭირვობდენ, და აბანოს ღია მივიდოდეს და თავსა მქისესა ჩვარსა მოისმიდეს, და ფარისიაოშანი და ბაბუნაჯი ერბოითა შეგბოლოს და თავსა იცხებდეს.



რუფას იტყვის: კურნებაი მისი იგი არს, რომელ სამსა დღესა ამლაჯი წყალსა შიგან დააღბოს და მისოდენი ერბოი და ესდენი შეაგბოს რომელ წყალი წავიდეს და ერბოი დარჩეს და მერმე თავსა იცხოს.



თუ ხისა ფურცელი მას თანა შეაგბოს და ცოტაი სპანძელი გაურიოს და თმასა მით იბანდეს, თმასა გააგრძელებს თმასა შავისა ჰალილითა იბანდეს და ჭაკუნტლის ფურცლისა წყლითა და მუხუდოს წყლითა და ზროხის ნავლითა კარგი არს, და ძირსა გაამაგრებს თმისასა.



იოჰანა იტყვის: მურდისა ახლისა ფურცლისა წყალსა სცხებდეს, და უკანის აბანოს მივიდეს და თავი მითვე დაიბანოს.



თუ ბანგისა ქერქისა დამბლისა ზეთის ხილისა ზეთითა გაგალოს და თმასა იცხებდეს თმასა გააშავებს.



თუ ლადანი და სპანძელისა თესლი ერბოსა გაურიოს და თავსა იცხებდეს თავს შეინახავს და თუ იგი კაცი გრილბუნებაი იყოს ჭნარდენისა ზეთი გაურიოს და თავსა იცხებდეს ერგების შეწევნითა ღთისათა



ბაყრატი იტყვის: რაიცა ტყავთა სიმქისით იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ნიადაგ თავსა ბაბუნაისა ზეთსა იცხებდეს.

აბანოს მივიდოდეს და წამლითა ალთაღბისასა თავსა და თმათა იცხებდეს, და ესე შემოსადებელი ტლე ქნას ვითარებაი მისი: აზად დრაზთისა ფურცელი ერთი კერძი, საკმელი თეთრი – ერთი კერძი, ორივე ერთგან ვარდისა ზეთითა კარგად აეანსა სანაყელსაშიგან დაგალოს და აბანოს თავსა იცხებდეს, ღია კარგია.



თუ მწარე ნუში და სომხური შიპი და ზღვისა პერული დამწუარი, ვარდისა ზეთით შეზილოს და თავსა იცხებდეს კარგი არს.



მისი კურნებაი რომელ სისუსთისაგან იყოს იგი არს რომელ მორდის ზეთსა იცხებდეს თავსა.

თუ სამისა დრამისა წონი ყაყიაი ნახევარსა უკიასა ღვინოსა შინა გაგალოს და ნახევარი უკიაი მორდისა ზეთი შიგან გაპრიოს და თავსა შემოსდვას, კარგი არს.



აბუჯარაი იტყვის: თუ ას არის მარცვალი და ლადანი და აფსანთინი ერთმანეთისა ოდენი ერთგან დანაყილი ტილოსა მწუარსა შემოაკრას, და ქუნჯიდისა ზეთსა ახალსა შიგან შეაგბოლოს, და მიწყით თავსა

იცხებდეს თმამ აღარ დახდების.



მურდისა ზეთი — ოთხი უკიაი
ლაღანი გაგლილი — ერთი უკიაი
ორივე ერთგან გაპრიოს და თავსა სცხებდეს კარგი
არს.



დევეჯანის იტყვის: სარვისა ნიგოზი — ერთი
უკიაი,
აფსანთინი წმიდად გაგლილი — ორი დრამი
ტილოსა მწუარსა შიგან გამოჰკრას, და ხუთსა
დღესა ვარდისა ზეთს შიგან მიუშუას, და მერმე თავსა
შეუნახავს, და ქარტლსა გარდაულებს, და თმამ აღარ
დახდების.



ბაერუკი სომხური მოიღოს და მისითა წყლითა
თავსა ბანდეს ერგების.



თმისა გაპობაი და გათეთრებაი

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: იგი არს
რომელ ხმელთა საჭამადთა ერიდებოდეს, და მიწით
ისა ზეთსა იცხებდეს, და ნელითა წყლითა იბანდეს.



თუ წყალი და ერბოი ერთგან გარიოს და თმათა მით
იზელდეს, და აბანოს მივიდოდეს და ნელითა წყლითა
თავსა იბანდეს, ერგების.



ბაზრაყატუნითა და ლუაბითა იბანდეს და თუ
ქუნჯიდისა ფურცლისა წყლითა დაიბანდეს თავსა,
ერგების.



მასარჯლოა იტყვის: საჭამადსა და ღვინოსა და აბანოსა მოუმატოს, და მიწყით თავსა ცხიბიანათ. დაიჭირვიდეს იისა ზეთითა და ნილოფრისა ზეთითა და აბანოს დია მივიდოდეს, და ლუაბითა და ბაზრაცატუნითა და ბალბაითა თავსა იბანდეს კარგი არს.



მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: თმისა გაგრძელებისა კურნებაი, რაი წუერი და თმაი და წარბი თხელად იყვნენ ყისუმისა ნაცარი ზეთისხილისა ძუელისა ზეოსა შიგან შეზილოს და შესცხოს, ერგების.



ეგეთსა საჭამადსა ჭამდეს, რომელ ტანსა გაახურებდეს და დაჰამიშთისა გულსა ძმრითა გლიდეს და ტანსა იცხებდეს, თმასა გამოზრდის.



ყოველთაგან დაგლილი სონიჯი უნჯობესია, რომელ მომრადანსა გაურიოს და თავსა მიწყით შესცხებდეს, დია ერგების და ადრე ზრდის თმათ.



თუ ლადანისა ზეთი შესცხოს კარგი არს და თმათა გამოიყვანს, და საჭამადთა ჰავთა და უღნობთა ერიდებოდეს ვითა ზროხისა ხორცსა, და სძესა და მაწუნსა და მუხულის წუენსა და ზირაბაჯსა ჭამდეს.



კურნება თმისა გათეთრებისაი

ჯაღინოზ იტყვის: ყოველსა საჭამადსა გრილსა და ნელსა ერიდებოდეს ვითა მაწონი და სძე და თევზი და ზროხის ხორცი და რაიცა ამათ ჰგვანდეს.

და ყალიასა და მოტანჯანსა და ზირაბაჯსა და მწუარსა ბირიანსა. და მუხუდოს წვენსა ჭამდეს. და მაძლარი რაი იყოს არწყოის, და ლუინოსა ნუ სუამს რომელ სიმთვრალე თმასა ადრე გაუთეთრებს, და ცივსა წყალსა დია იბანებოდეს. .



მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ამა მანკსა არა ერგების მისგან უფრო რომელ, რაი დღე ხუთისა დრამი საწონსა ტარეფულსა ჭამდეს უზმათ, და ბირიანსა მწუარსა და კალიასა ჭამდეს, და სიმთვრალესა და აეთა სულთა ვითა ზარნიხისასა, წუნწუბისასა, გოგირდისასა ერიდებოდეს, და მლაშესა საჭამადსა ერიდებოდეს. და აბანოს ნუ წავალს და დიაცსა თანა ნუ დაწუების, და მიწყით ბალადურისა გუარიშნსა იხმარებდეს. მეტად ზამთრის და ზაფხულის უმცროისა ჭამდეს და ვარდის წყალსა და ქაფურსა ნუ იხმარებს, რომელ თმასა ადრე გაათეთრებს.



რაიცა გრილი იყოს სურნელთაგან ეგრევე, და თმისა წაღებასა ესრე იტყვის ვითა პირველ თმაი დაგლიჯოს და ადგილი მისი ძმრითა, და ასფიოშითა მრავალჯერ ზელოს, ანუ ბანბითა და იფიონითა და ძმრითა და თუ თაფლი და მიანსურდი ერთგან გარიოს და შესცხოს თმასა ძირისაგან წაუღებს.

თაფლი და მიანსურდი ერთგან გარიოს და შესცხოს თმასა ძირისაგან წაუღებს.



ქთილისა ფქვილი და ბაკილაისა ფქვილი და ქარსნი და სომხური ბაერუკი რაი შესცხოს თმაი არ გამოვალს.



კურნებაი წამწამთა დახდისაი

მადანთი იტყვის: რაი წითელი იყოს და ქავოდეს ყიფალი გაიხსნეს და ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს რომელ ტანი მანკისაგან გაწმდეს, და მუჟავეთა და ფიცხელთა და მლაშეთა ერიდებოდეს, და ნარსაქი ბროწეულის ცმელითა დანაყოს და შემგბარსა ღვინოსა და ცოტათა ვარდის ზეთითა გაგალოს, და თვალთა შემოსდვას, და აბანოსა იხმარებდეს და კურნებაი მისი რაიცა არ ქაოდეს და წითლად არ იყოს იგი არს.

†

ხუთისა დრამისა წონი ხურმის გურკისა ნაცარი, და ფაჩარი და ლაჟვარდი თვითონისაგან სამისა დრამისა წონი ყველაი დანაყილი წამწამთა შემოაყაროს, ერგების.

ოჰანთა იტყვის: ზანჯაბილისა გვარიშნი ჭამოს და ყოყიანისა ჰაბითა მუცელი დაიღბოს და პირველსა კურნებასა გასახსნელსა წამალსა იხმარებდეს.

†

სორმაი, რომელსა ჰქვიან თვალთა საულავი და სომხური ქვაი წმიდად დანაყოს და მიწყით თვალსა ჩაიყრიდეს, რომელ რაიცა სინედლისაგან იყოს ყოველსა ერგების.

†

გაგლილი ლაჟვარდი თვალთა ჩაიყაროს კარგი არის.

†

ისაკ იტყვის: მილი ხახვისა წყალსა შიგან ჩაყოს და წამწამთა მოუსუას, და რაიცა დააღთალაბსა კურნებაი უნდა იგიცა იხმაროს, და ალაქის ნაწურილი და ჰამო ფაჩარი და ბალასნისა გურკაი ყველაი ერთად გაგალოს და მანკისა ადგილსა შემოსცხოს. და უზმაი გულანგუბინსა ჭამდეს, და საჭამადსა რაიცა შიგან

სიხმელე იყოს ნუ ჰჭამს. და მუხუდის წვეწვანა ჭამდეს ერგების შეწვევნითა ღმრთისათა.



სიმყრალე და სიშავე და სისხლისა დენაი ღრძილისგან

ფოლოს იტყვის: კურნებაი კბილთა სიმყრალისა და ჟანგიანობისა იგი არს, რომელ კარკატოისა ცოხნიდეს და ნიგვზისა გულსა, ანუ თხილისა რაიცა იყოს, ანუ ნუშისა ზეთი შესცხოს კარგი არს, და ნუში ქერქ ახდილი და ცვილი ცოხნოს.



შემწუარსა ყუავილს და კუერცხისა ყვითელი შემგბარი ამათთანასა რომელსაცა ცოხნიდეს კარგი არს.



თუ ნელი ერბოი პირსა შიგან დაიჭიროს და ცვილსა ცოხნიდეს კარგი არის.



თუ მიშმიშისა გული დანაყილი მარილითა და ძმრითა გაგალოს და კბილთა შემოსდვას ჟანგსა და სიმყრალესა წაუღებს, და შეჭმულობასა ერგების.



ისაკ იტყვის: რაიცა მჟავისა ბალღამისაგან იყოს იგი არს, რომელ სტომაქი მის მანკისაგან გაწმიდოს მით წამლითა, რომელ სტომაქისათვის ვახსენეთ. და მაშინ კარკატოისა და მისსა თესლსა ცოხნიდეს. ანუ კევი კევი და ჩამიჩი.



როფის იტყვის: სისხლისა დენისა კურნებაი იგი არს, რომელ ვარდი წითელი, ხმელი და ჰალილაი, და ბროწეულისა ყვავილი დანაყილი და გაცრილი, და ცოტაი

წითელი და ყვითელი ზარნიხი დანაყილივა, და გაცრილი, ერთგან კულა გაპრიოს, დანაყოს და გაცრას და ღრძილთა შესცხოს, და მაშინ მორდისა წყლითა და ვარდისა წყლითა ღრძილთა და პირთა გამოიბანოდეს და მხურვალთა და თაფლიანთა საჭამადთა ერიდოს.



კურნებაი კბილთა სიშაფისაი

ოოპანა იტყვის: თუ ლემისა თესლი, რომელსა ჰქვიან ბანგი თაფლითა შეზილოს და მსხვილსა ლერწმის გულსა ჩაყაროს და დაწვას. და მაშინ კბილთა შესცხოს სიშაფესა წაულებს.



ზღვის პერული — ხუთი დრამი
გაზმაზვი — ხუთი დრამი
ლერწმისა ნაცარი — ორი დრამი
მარილი — ოთხი უკიაი
ანისონი — ხუთი დრამი

ყველაი დანაყილი და გაცრილი თაფლითა შეზილოს და კბილთა შესცხოს ერგების.



თუ ორი ნაწილი მარილი ერთსა ნაწილსა ბაერუკსა თანა გაპრიოს, დანაყოს და გაცრას, და თაფლითა შეზილოს და ქალაღსა შიგან წაახვიოს და დასწვას, და შესცხოს, კარგი არს.



მადაინი იტყვის: იარაისა და ყოყიანისა ჰაბი ჭამოს, და მაშინ პილპილი და სუდი და ანდრანული მარილი, და ფაჩარი და სარვისა ნიგოზი, ყველა დანაყილი კბილთა შესცხოს.



ესე წამალი მხურვალე ბუნებისათვის კარგი არს, და
კბილთა გაათეთრებს ვითარებაი მისი:

ტაბაშირი — სამი დრამი

ზღვისა პერული — სამი დრამი

მარმარილოსა ქვაი — სამი დრამი

მარგალიტი წვრილი — შვიდი დრამი

დრამინაი დამწუარი — რვა დრამი

ვარდი წითელი — ერთი უკიაი

ქაფური — ერთი დრამი

ყველა დანაყილი კბილთა მაგით გასწმედდეს.

†

ზღვისა პერული — ხუთი დრამი

ყაისუმი — ხუთი დრამი

ძირაი — ერთი დრამი

ალვაი — ერთი დრამი

მარილი ანდრანული — ერთი დრაჰკანი

ქაფური — ნახევარი დრამი

• ყველა დანაყილი და გაცრილი კბილთა შესცხოს და
ერგების.

†

ჭროფლი

როფის იტყვის:

ბოლოკისა თესლი

სპანძელისა თესლი

ჩიტისა სკინტლი

მლოგვი

ლერწმისა ძირი

მწარე ნუში

პილპილი

ბაერუკი

თირმისი

ყუსტი

ყოველი წმიდად დანაყოს ბოლოკისა წყლითა და ბოლოკისა ფურცლისა წყლითა შეზილოს, და აბანოსა შევიდეს და ტანი ანაკვეთითა კარგად დაიბანოს, და მაშინ ესე წამალი შესცხოს.

†

თუ ჭროფლი შავი და ბნელი იყოს ესე წამალი უყოს ერგების, ფაჩარი ნესვისა წყლითა დააღბოს და ცოტაი ზაფრანაი და ქარისნა („ქარსინაი“) ურთოს და შესცხოს ერგების.

†

აბუჯარიჲ იტყვის: რომელ ქუნჯიდაისაგან ზოგი შავი და ძველი იქნების, და მას ძალიანი შემოსადებელი უნდა ვითა სპანძელისა თესლი და ვერცხლისა წყლისა ნაცარი და პილპილი და ბაერუკი.

†

რომელ ვერცა რაი ამა წამალმან უყოს უფიცხესი უნდეს ვითა ყვითელი ზარნიხი ანუ მაზარიონისა ტილე რომელ შესხონ.

†

კურნებაი ქუნჯიდაისი იგი არს, რომელ კიფალი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს აფთიმონისა მატბუხითა, რომელ მანკისა დედაი გაწმინდოს ტანისაგან და მაშინ ბოლოკისა თესლი და მწარე ნუში ქერქმეხდილი ბაკლაისა ფქვილსა თანა ნესვისა თესლსა გაჰრიოს და შესცხოს, კარგი არს.

†

მაღაინი იტყვის: ნესვისა თესლი ქერქმეხდილი ნაწილი ერთი, სპანძელისა თესლი და ყუსტი ჰამოი თვითოსაგან ნაწილისა ნახევარი, ყოველი ქურქუნჯობისა

წყლითა ყვითლითა დააღბოს და ღამით შეიცხოს და
ღლისით აბანოს მივიდეს იბანოს.



თუ მწარე ნუში მუყლსა თანა დანაყოს და შემებრისა
ლელვისა წყალსა თანა გაჰრიოს და შესცხოს, მაშინ რაი
აბანოთ გამოსრულ იყოს და პირი ტფილითა წყლითა
და ანაკვეთითა დაიბანოს.



თუ ამარატაი ზარნიხი ქინძისა წყლითა დააღბოს და
შესცხოს ჭროფლსა და ქუნჯიდაისა წაიღებს.



ლერწმისა ტყავი, თუ უნდა ქერქი — ხუთი
დრამი

ბოლოკისა თესლი — ორი დრამი

ხარბაყი — ორი დრამი

ქუნთუში — ორი დრამი

ყოველი დანაყილი ბოლოკისა წყლითა შეზილოს და
შესცხოს, და ღლისით აბანოს მივიდეს და ანაკვეთისა
წყლითა დაიბანოს, კარგად გასწმედს:



ოფლისა დენაი

თიჰანაი იტყევს: კურნებაი იგი არს, რომელ
ცივითა წყლითა იბანებოდეს და ბანგი წყლითა შეაგბოს
და წყალსა მისსა ტანსა ისხმიდეს, ანუ ჩანჩაქისა
წყალი და სოსნისა ფურცელი, ანუ ყურძნისა ვაზისა
ფურცელი დანაყოს და მორდისა წყლითა დააღბოს და
ტანი მაგით იზელოს.



მიწყით გრილთა ზეთთა იცხებდეს ტანსა ვითა
ვარდის ზეთი და იისა ზეთი და ნილოფარისა ზეთი და
მსგზავსი ამათი.



ეგეთთა რაისმე ჭამდეს რომელ ხილტთა ვითამცა
გასარეველთა გაასქელებდეს, და მიწყით ბეჰესა ზეთსა
იცხებდეს.

ბეჰეს ზეთი: ბეჰე – ნახევარ ლიტრა
ყუავილი მისი – ნახევარ ლიტრა
ვარდი ხმელი – ხუთი უკიაი
წყალი – ხუთი ლიტრაი

ყოველი ნელითა წყლითა მუნამდე შეაგბოს რომელ
სამი ნაწილი მისგნით წავიდეს და მაშინ დაწუროს და
ნახევარი მისი ოდენი ვარდისა ზეთი ჩაუროს და კულა
ცეცხლსა დადგას და შეაგბოს, ეგე რომელ წყალი
ყოველი წავიდეს და ზეთი დარჩეს.



თუ მურდასანგი და გუნდაი დანაყოს და ვაზისა
თავისა წყლითა შეზილოს და შესცხოს კარგი არს.



სომხური მიწაი და მურდასანგი თვითოისა ოდენი,
ვარდისა წყლით და მორდისა წყლითა შეზილოს და
შესცხოს კარგი არს.



კურნება ოფლისა არ გამოცემისა

როფის იტყვის: ცერეცო და აქლილალმალიქი
და ბაბუნაი წყლითა ადულოს და მისითა ნელითა
წყლითა ტანსა იბანებდეს და იზელდეს და ცერეცოისა
ზეთსა მიწყით იცხებდეს, და გრილსა ადგილსა
დაზმიდეს და დაიძინებდეს.



ეგეთთა რამეს ჭამდეს რომელ სინედლესა მოუმატებს
ვითა ქრთილისა წყალი ნუშისა ზეთითა და ჰასოი და

ცხიბიანი ხორცისა შურვაი და ღვინოი წყალრეული.



ნელსა წყალსა და ნილოფარისა და იისა ზეთითა იზელდეს ტანსა.



სომხური ბაერუკი ღარისა ზეთსა გარიოს და მაგითი ტანი კარგად იზელოს.



კილამონი და სონიჯი ანუ ყასაბადირაი დანაყოს და ცერეციონისა ზეთითა შეზილოს და ტანსა შესცხოს და ოფლი გაიცეს.



თუ ოფლი საზომასაგან მეტი გამოეცეს და დააუსუსუროს, კურნებაი მისი იგი არს, რომელსა მორდისა ზეთი ანუ ბეჰესა ზეთი ტანსა შესცხოს და მაშინ სპეტი ტყვიისა და გუნდაი და მორდი და სომხური მიწაი და თეთრი არჯასპი და მურდასანგი ყოველი დანაყოს და გაცრას და გაპრიოს, და ვარდისა წყლითა შეზილოს, და ტანსა იცხოს დია ერგების.



კურნებაი მეჭეჭისაი

არბასიოს იტყვის: თურბითი — ერთი დრამი
ღარიყონი — ოთხი დანგი
ნილდანაი — ნახევარი დრამი
შაჰში ჰანტალი — ორი დანგი

ყოველი დანაყილი და გაცრილი თაფლითა შეზილოს და ცისკრისა ჟამსა იხმაროს, და მაშინ ნელი წყალი სუას ცოტაი და ეგეთთა საჭამადთა რომელ ბალღამთა მოუმატებდეს ერიდებოდეს.



ნედლისა კაპარისა ფურცლითა და ქანჩაქითა კარგად იზელოს. და თუ დანაყილი გუნდაი ძმრითა შეზილოს და შემოსდვას ღია ერგების.

†

მასარჯოთა იტყვის: თუ ცხარითა ძმრითა გარცხას და მაშინ ლერწმისა ფურცლითა კარგად ზელოს, ღია კარგად ერგების და გამრთელდების.

†

სამკურნალო-წიგნი (კარაბადინი)

პირის ღრუსთვის

ნიშანი მარცულისა დაამებს სულსა პირისასა, რომელ გარყუნილიყოს. გააქარეებს სიმყრალესა და ოდეს იქმოდის მას, დილეულსა და დაწოლისა ჟამსა უნდა, თუ ღმერთსა ნებავს. აიღე:

კარანფული

ქაბაბი

კაკულა

უდი აინდი

აკარკარა

სუმბული ტიბი

ჰავთშნი – ამათგანი სწორი წონი

სუქი მუშკისა – ნახევარ წონი

მუშკი – მცირედი

ქაფური – მცირედი

დანაყე, დასცრნე შაქითა და ვარდისა წყლითა შეზილო და პილპილისა ზომად დაჰქმნე და გაახმოს და

პირსა ჩაიგდებდეს, მისგანსა თუითოსა მარცუალსა
შედეგითი შედეგად ჩასნთქმიდეს, რომელ წყალი
მოექცეოდეს პირსა და იქმოდეს დილა მწუხრისა,
კეკლია თუ ღმერთსა უნდეს.

†

ნიშანი მურტისა ერგების თმასა, რომელ დასცუიოდეს
თავისაგან და წუერთაგან და ერგების დედათა, რომელთა
თმისა გაგრძელება უნდოდეს, ერგების ესე.

აილე: ნედლი მურტი – 2 კისტი

მურტისა ფურცელი ხმელი – ათი ლიტრა
დაასხა ზედა ღუინო, რაზომმან დაფაროს და
გასწყდე მას დღესა და მერმე ქოთანსა ჩასდვა და
დაასხა ზედა ღუინო გაზავებული და ჩასხა ზედა სამი
კისტი ზეთი, გარცხილი, ტკბილი და შეუგზნა ქუეშე
ცეცხლი ლბილი სამსა ჟამსა და მოურევდე, ვინემ სცნა,
თუ წარსულა წყალი და დარჩეს ზეთი და მერმე
უკმიოდე ცეცხლისაგან და გასწყდე, ვინემ გაგრილდეს,
წასწურე ზეთი და ჭურჭელსა და იხმარო თმათათუის
და წუერთა და ქარტლი, რომელ შეექმნების თავსა,
ერგების ესე.

†

თმათა გათეთრებისათვის

ნიშანი ზეთისა, რომელთა უჟამოდ თმანი
გაუთეთრდენ, და მოავლენს თმასა მალე და უფრო,
ხოლო რომელი ჰლამოდეს წუერთა გამოსულასა მალე
და დააყენებს თმასა ფშუნისაგან და გაუმაგრებს ძირთა
და ერგების დედათა, რომელთა შეფშუნებოდიან თმანი
და არა გაუზარდებოდიან. ესე ზეთი ერგების ნებიითა
ღმრთისათა.

აილე: ზეთი ტკბილი – 20 უმკია

კოჭუმბრა

მური არაბი

ლადანი — თუითო უმკია

სადაჯი ჰინდი

ლუია

მურტი — წონი ექუს-ექუსისა დრამისა

შროშანისა ძირი

მხისა შეჰკრიბენ ესე წამალნი და დანაყენ
მოხორშრვილად და ქოთანსა ჩასხნე და ჩასხა ზედა
ზეთი წამალთა და ჩასხა ზედა ზუთი ლიტრა წყალი და
აგბო ცეცხლითა ლბილითა, ვირემ ჩავიდეს წყალი და
დარჩეს ზეთი და წასწურო და ჭურჭელსა ჩასდვა და
იხმარო, ვითა ნიშანი მიგუიციებია თავისა დაბანისა
შემდგომად, თუ ღმერთსა უნდეს.

†

ნიშანი საბანელისა, რომლითა დაიბანების თმა ამის
ზეთისა ცხებისა უწინა, რომელ გუიხსენებია ნებითა
ღმერთისათა.

აილე: შამბალითისა ფქიული — ათი დრამი

კუერცხი თეთრი — სამისა

ბავრუკი — დრამი

თაფლი — 10 დრამი

შეჰკრიბნე ესე ყოველი და ჩაურთო თანა ორისა
დრამისა წონი ხატში და დაიბანო მითა თავი კეკელად
და დაიწუროს თავი წყალისაგან და მერმე იცხოს ამათ
ზეთთაგანი, რომე ნიშანი მიგუიციებია.

†

თავისა თმისა კურნება

თავზედა, რომ სურსული იყოს, აილე:

ნუშისა მწარისა ზეთი

მლოგუისა ზეთი — თუითოსაგან ნახევარ

სიჭორავი

ძმარი — ერთი სიჭორავი

აიღე: შიაფი მამითასა

გუნდა — ამათგანი თუითო სამი მიტყალი

ფაილა ზაპრაჯი — მიტყალი ერთი

ძარლუი ყუითელნი

ბაერუკი — თუითოსაგან ნახევარ მიტყალი

დაგალოს ერთგან და შეპრიოს ზეთითა, და შექმნას მარჰამად, და სცხოს თავსა. არს კარგი საჰფასათუის, რომელ იყოს თავსა და მღიერისათვის, და ტილისათუის და ბაყლისათუის, და თუ გინდეს, ურთე ძმარი ზედა, ვირე გათხელდეს, და არს კარგი მელა სნებისათუისცა.



სირსუილისათუის

აიღე: წუნწუბა

კალკატარონი

გომიზი არაბი — თუითო ორი მიტყალი

ნუში მწარე — მიტყალი ერთი

დაგალე და შეზილე ღუინითა და სცხე.



აიღე: სპეტი

მურდასანგი — თუითო ოთხისა წონი

კუერცხისა გული

ვარდისა ზეთი — სამი ასათირი

და დაადნევე ცუილი ზეთითა მით, და დაგალე წამლები, შეზაე მით, ვირე შეიქმნას მაჰრამად, და სცხე თავსა დილა-მწუხრ, და გამრთელდეს, თუ ღმერთსა უნდეს.



აიღე: გუნდა მწუანე, უხურეტელი — ხუთი ღრამი

სიქორავი – ფურთა ფსელი,
ღუინისა ძმარი – თითო სიქორავი
შეკრიბენ ერთად და ქოთანსა ჩაასხი და შეგბოლენ.
და დალბეს გუნდა და მერმე დაგალე, და სცხე საჰფასა,
და იგი გაახმოს და წაიღებს ნებიტა ღმრთისათა.



აიღე: გუნდა მწუანე, უხურეტელი – ათისა
ღრამისა წონი

ნუში მწარე ურჩვეელი – ხუთისა ღრამისა წონი
დაგალე ძმრითა და დაღევ მზესა, ვიდრე აფუკდეს,
და სცხე საჰფასა.



აიღე: გუნდა – სამისა ღრამისა წონი
უძოვარისა თესლი – ორისა წონი
წუმწუბა ყუითელი – ორი მიტყალი
ამარტა წითელი

ზურუმბადი – თუითო ნახევარ ღრამისა წონი
ნიშადური

კეცი თორნისა, ძუელი

ნუში გამორჩეული

შამიჰანდალი

ქონდარი დაწუარი

ძირნი ყუითელნი

სპეტი

მურდასანგი

კაპრისა ძირი და ძარღუინი მისნი

ფურცელი ლელუისა ხმელი

ძარღუი ლერწმისა ხმელი.

ჟანგარი

შაბი იამენი

შიაფი მამითასა

მური

საბრი

ლუბანი — თუითო ნახევარ დრამისა წონი

კატრანი

ფურცელი ზეთისხილისა

ბავრუკი

ზროხისა ნავლედი — ამათგან თუითო

მიტყალი

დაგაღენ ერთად წამლები და გაცარ, და შეზილენ ძმრითა ღუინისათა, რათა შეიქმნას ვითა მაჰრამა, დადეე მზესა ანუ ლადრსა ზედა, ვირე შეერიოს იგი ერთგან. და მერმე სცხე იგი, რამეთუ არს კარგი იგი საჰფასათუის, სრსუილისათუის, და კუირტისათუის, მქავანისათუის, და მღიერისათუის, ქარტლისათუის და თმისათუის ოდეს დაჰხდებოდეს, და მელისა სნებისათუის და კეთრისათუის ოდეს სცხო ზედა, ერგების ესე ამას ყოველსავე ნებითა ღმრთისათა.

†

ჭორფლი, რომე იყოს პირსა

ჰკურნე ჭორფლი დედათა, თუ სჭირდეს მარცულითა მასტაქისათა და საბრისათა. შეასუი მისგან ორი მიტყალი ნელტფილითა წყლითა და შეასუი იარაჯი ფიკრასა და მარცული თესლთაგან. ჟამ-ჟამ შექმნა მარცულისა თესლისთაგან. აიღე:

საბრი

მასტაქი

ნიაზურის თესლი

ანისონის თესლი

კამისა თესლი

ნანახუა

მარილი ინდოური

ალილაგი შავი – თუითოსა დრამისა წონი

საბრი – ყოველთა წამალთა წონი

დანაყენ და შეზილენ ნედლითა თურინჯისა
ფურცლისა მაწურავთა წყლითა, და შექმენ მერცულად
ვითა პილპილი, და ჩრდილსა გაახზე და შეასუი მისგან
ორი მიტყალი, ანუ ერთი, ნელ-ტფილითა წყლითა და
არს მარცუალი ესე ყოველსა ჟამსა სასუმელი.

‡

წამლები საცხებელი პირსა ზედა ჭორფლისათუის.
აილე:

სპანძლისა თესლი – ერთი დრამი

ჰუბაბი კიმპისა – ერთი დრამი

მასრდაქი გარცხილი – ერთი დრამი

ზაფრანი – ნახევარ დრამი

მწლოკუის სკინტლი – ნახევარ დრამი

ჯოჯოხურიის სკინტლი – ნახევარ დრამი

ბაკილასა ფქუილი – ორი დრამი

ჰულბა შემგებარი – ორი დრამი

ქრთილისა ფქუილი – ორი დრამი

ნუშისა ტკბილისა ზეთი – სამი ასათირი

ნარინჯი – ერთი ასტარი

დანაყენ ესე წამალნი და შეზილენ და ამით ზეთითა
დასცხე პირსა ჭორფლსა ზედა.

‡

მოილე ბაკილა დაფქული და გერმა ფქუილი თუითო
ოთხისა წონი, აილე ჰულბა და ქაშქი და შეგბოლე, ვირე
შეხშირდეს მისი წყალი, მერმე მოილე ამის წყლისაგან
და შეზილე მითა წამალი, და შექმენ მისგან კუერები
და ჩრდილსა გაახზე. ოდეს გინდეს, დაგალე მისგან

კუერი ერთი, და ურთე თანა ზაფრანი, შერიე წყლითა და სცხე ჭორფლსა ზედა.



აილე: ავშნანი – ხუთი დრამი
ხრილი – ორისა წონი
იისა გული – ოთხი დრამი
ჯანჯარი – სამისა წონი
ზაფრანი – დრამისა წონი

დაგაღენ და შეზილენ წყლითა, შექმენ კუერები, და ჩრდილსა გაახბე. ოდეს გინდეს, დაგაღე და გაადგინე წყლითა, და სცხე ჭორფლსა ღამით და დილასა მოჰბანე.



წამწამთა, რომელსა თმა დახდეს თხის კორკლი და თაგუისა მოგაღენ, თაფლითა გაადგინენ, წამწამთა სცხე და ნელად იჰყარ თაფლითა.



გუგათა და წამწამთა

ნიშანი საოლავისა შავისა, იხმარების სიმრთელისა ჟამსა, გააძლიერებს გუგასა და ამოუვლენს წამწამთა, დააშუენებს თუალთა და ერგების ყოველთა კაცთა, და იხმარების ყოველსა ჟამსა და უფრო ესე საოლავი დედათათუის არს. აილე:

სურმაგი სპაჰანი – წონი ათისა დრამისა
იისა ზეთითა მოჰხალო კეკელად
ჰავანთა ჩასდვა და ჩაურთო თანა
სპილენძი დამწუარი – წონი დრამისა
მამირანი – წინი ორისა დრამის
ნუში გაქურცნილი, დამწუარი – წონი
ნახევარ დრამისა

ესე დაჰგალნე წმიდად, ჭურჭელსა ჩასდვა და
იოლეედეს.

†

ნიშანი საოლავისა ნედლისა, ერგების მღიერსა,
რომელი შესჭამს წამწამთა და დაჰყრის თმასა. აილე:
ორისა ბროწეულისა ტკბილისა წყალი და
ორისა მჟავისა, გამოწურე და დაწმიდე, და
ჩაასხი

შევშავსა შიგა ჭიჭისასა და ჩაურთე შიგა
ჰულდულდი მაქერი,
ზაფრანი და
კაკბისა ნავლელი და

ქაფური და დაჰკიდო მზესა, რომელ შესქედდეს და
შეიქნას ვითა თაფლი და, თუ ზამთარი იყოს, აადულო
მცირითა ჭურჭლითა. და ზოგნი მკურნალნი ჩაურთევენ
თანა საბრსა, სარგებელისა არს.

†

თვალთა თმისათვის

ნიშანი საოლავისა, ერგების თვალთა, ოდეს
დაგეგლიჯოს მისგან თმა. აილე:

წუნწუბა
კუერცხის გული
ანძრუთი თეთრი
ქუირქუინჩოფისა ძარღვი
მღებვართა ზაფრანი
პილპილი გრძელი
მარილი ანდრანი
მამირანი
სონოჯი
საბრი სკუტრი

აფიონი
სპეტი ტყუივისა
ხალილაგი
ქაფური
ზანჯაფილი სინი
ზღვისა პერული

ამათგან სწორი ნაწილი დაჰკალნე, შეიქმნას ვითა მტუერი, მერმე უოლო მითა, სარგებელისა არს.

ქ

ნიშანი საოლავისა, რომელსა ჰქუიან აქსირი მწუანე, ერგების თმასა გამოსრულსა წამწამთა შიგან, ოდეს გამოჰგლიჯო მანკაშითა, და ფრჩხილისა ადგილსა, ოდეს ამოაგლო თუალისაგან, და თუალთა მობურვილობასა და საბლისა ქარსა. აილო:

სურმაგი სპაჰანი – წონი ორისა დრამისა

შაბი იმენი – წონი დრამისა

ჟანგარა – წონი თორმეტისა დრამისა

დაჰკალო სურმაგი უწინა წყლითა კეკელად, რომელ შეიქმნას ვითა მტუერი, და ჭურჭელსა ჩასდვა, და ოდეს გიხმდეს, აილო საოლავისა წუერითა და დასდვა მას ადგილსა, სადა თმა გამოგეგლიჯოს, ანუ ფრჩხილისა ადგილსა, რომელ გამოგეწუადოს. ჟანგარა ძმრითა გარერცხე, დაგაღე და თანა შეურიე.

ქ

თუ ბაგე გაუსქდეს, ამასცა ბოასირი ჰქუიან. ლელფარისა და იისა ზეთითა ჭიპსა და საჯდომსა იზელდეს, და ხიერი ბადრანგი (ამას ჰქუიან რომე კატარი რაჟამ მოსწყუეიტოს, იმას ხუითქი გამოვა) – იგი ზედა დაიცხოს. დაიჭირე:

გუნდა დანაყილი

ნიშასტაგი

უმარული

ქასირა – ერთმანეთისა სწორი ერთად დანაყე

ქათმის ქონი

ვარდის ზეთი

წმიდა ცუილი

ყუალა ერბოთა მალამად ქენ, დაზილე და ზედა
დასდევე. კუერცხისა თეთრსა, რომე სხვა თხელი კიდევე
ჰკრავს, იგი ზედა დაიკრას, და ყოველსა ღამესა
ჯულაბსა სმიდეს ბაზრაყატუნითა. და მისი საჭმელი
ჭლიჯები მოხარშული და თოხლო კუერცხი იყოს და
ქერისა წყალი ასპანახითა.



მისთუისვე, აილე:

ღორისა ფირტუი, ანუ სხუისა პირუტყუისა, და

ხახუისა ქერქი, ორივე დაწვი, დანაყე,

ქათმისა ქონითა შეზილე და

გახეთქილსა ბაგეზედა შესცხებდი.



კბილები გაათეთროს და სული გამოიოლოს, დაიჭირე:

ზღუის ხუითქი

ჩინურისა ნატეხი

შუხარი

მარილი ანდარუნი – თუითო სამი მიტყალი

ქერი დამწუარი

სუდი დამწუარი

სუმბული

მოცხარი, აბულას

შაფი იამანი დამწუარი და ძმრითა დამბალი

თუითოსაგან ოროლი მიტყალი

აყირყარა – ხუთი მიტყალი

სანდალი – ორი მიტყალი

ფუფუღი – ორი მიტყალი
ერთად დანაყოს და ამითა კბილისა ძირსა იზეღღეს.
ტყემალი მოხარშული და უხარშავი, ატამი და ნესუი
უზმამან ჭამოს და არგებს.



შავი მალამა, რომე ხორცი აკღღეს,
გამოზარდოს,
თუ მღიერმან თმა დაშოს, თმაცა ამოიღოს.

აიღე: ფისი – ერთი წილი
ფიჭუისა გომიზი – ერთი წილი
ცუილი – ერთნახევარი წილი
გაურიე ერთმანერთსა შიგან და აღუღე, ვირე
გასქელღბოდეს, შეინახე და, რა მოგინღეს, დასღევ, ვითა
სწერია ისრი. (ბამბითა ზედა დასღევ ერთხელ დიღასა
და ერთხელ საღამოდ და უშველის).



ანასდა რომე ფრჩხილი წავარღეს

აიღე: ინა და სელის ზეთი გაურივე, და დასღევ,
ერთობ მრთელსა ფრჩხილსა გამოიღებს.



თუ ტერფი გაუსქღეს
პირვეღად აღიღასა მატბუხი შეუწყევ. მას უკნის
ერთსა კუირესა ხიღთა წყალსა ასმიდი და მუღამ
საზეღითა იზეღღეს, აიღე:

ცუილი
იისა ზეთი
ზროხის ჭლიკი
ბატის ქონი
ტირიფის ფურცელი

დანაყე და ამაშიგან გაურიე, და ინავითა ფერხზედა შესცხე.

†

ჭაკუნტლისა ფურციელი წყლით მოადუღე და კუერცხის ცილა გაურიე მალამად შექენ და ზედა შემოსდევ.

†

ფერხი რომე დაუოფლდეს მისი წამალი

აიღე: მური და წყლითა მოადუღე, და ფერხი შიგან ჩაუყავ. და ფერხი მუდამ თფილი ზროხის სისხლშიგან ჩაუყავ, ღუმაცა დანაყე, და წყალშიგან გაურიე და ფერხზედა შემოსდევ.

†

ნიშანი, თავსა რომე წუერი და თმა სცუოდეს

თუ სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს. სადაცა თმა დასცუივდეს ანუ წუერი. იმა ალაგისა ტყავი წითელი იყოს, და პირველად კოტოში მოიკიდოს და მერმე ხელი გაუხსენ იმა მხარსა, სადაცა იყოს. მერმე ესე წამალი მიეც ორჯელ. აიღე:

ყუითელი ალილა, გურკისაგან გამოღებული
ხუთი ღრამი დანაყე და გაცარ.

შაქარი – 15 ღრამი და
მიეც ძილის წინ, და უშველოს.

†

თუ ზაფრისაგან იყოს მისი ნიშანი ესე არს, რომე ისი ალაგი ყუითელი იყოს, სადა თმა გასცუენია. მისი წამალი. აიღე:

ყუითელი ალილა, ბურკისაგან გამოღებული,

დასხილი და დანაყილი

თაბარინდი – თუითოსაგან ოცი დრამი

წითელი ვარდი – ოთხი დრამი

ქინძი ხმელი – სამი დრამი

ხმელი ქლიავი – 15 მარცვალი

უნაბი – 30 მარცვალი

ქვაბშიგან ჩადევ და ზედა ორი ლიტრა წყალი
დაასხი, დაალბე ორსა დღე-ღამესა. აღუღე რომ
ნახევარი ლიტრა დარჩეს, და გაწმიდე. და აიღე:

ხიარი – შამბრი – ათი დრამი

შაქარი – 15 დრამი კარგად გაქენ იმა

წყალშიგან

საყამუნია – ორი დანგი, დანაყილი და
გაცრილი,

შიგა გაურიე და შეასუი, რაგუარაცა წესია.

†

თუ ბალღამისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არს.

სადაცა თმა დასცუივდეს

ისი ალაგი თეთრი იყოს. მისი წამალი

აიღე: სპარი სკუტრი – ხუთი დრამი

შამიანდალი

თურბუთი

ღარიყონი – თუითო სამი დრამი

დანაყე, გაცარ, გაურიე და ქარუის წყლითა გაქენ,
აბები შექენ და ჩრდილსა გაახმე, და მიეც ორი დრამი
და ნახევარი წოლისა ჟამსა თბილითა წყლითა, და
მეთესა დღესა კიდევე მისცემდი.

ყოველსა მჟავისა, წუელისა და ზროხის ზორცისაგან
იფარეზოს და წყლისაგან, და იმა ადგილსა, სადა თმა
დასცუივინია, მოპარსე და კოტოში მოკიდე და კოტოშისა
ადგილი დანაყილითა ნიორითა დაუზილე. და მერმე

აიღე წითელი ბორაკი, დაწე და აიღე მისგან ოცი
დრამი და

ზღუის ქაფი – ათი დრამი

ესე დანაყე და გაცარ, და ბერძულისა?ზეთისა ძირითა
გაურიე. დილეულად და სალამოს ისი ალაგი შემწენ და
უშუელოს ღმრთითა.

ჭ

თუ სეედისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, ისი
ალაგი სადა თმა გასცუიენიდეს, ისი ალაგი ლურჯი
იყოს და მობნელო, მისი წამალი – პირველად ძარლუი
გაუხსენ

და ფრთხილად შეინახე აპოხტისა,
ზროხისა ხორცისა,
ნადირის ხორცისაგან,
ქალმის და
ოსპისაგან.

მერე შექენ ესე მატბუხი და მიეც ოცსა დღეშიგან
ერთხელ. აიღე:

ქაბული ალილა
შავი ალილა
ამლაჭი
ბალლაჭი – კურკისაგან
გამოღებული, თუითო ხუთი

დრამი

აფთიმონი – ოთხი დრამი
ბასვიჯი – სამი დრამი
წითელი ჩამიჩი – 30 დრამი,

სხუილად დანაყილი

ყუელა ქოთანში ჩადევ, ზედა ორი ლიტრა დაასხი
და ერთსა დღესა და ღამესა დააღბე. მერმე ადულე და
გაწმიდე მანამდი, რომე ნახევარი დარჩეს, და აიღე:

ხიაშარი – შამბარი – 10 დრამი

შაქარი – 15 დრამი გაურიე

ლაჟუარდის ქუა გარცხილი –

ერთი დრამი

ინდოური მარილი – ორი დანგი,

დანაყილი და

გაცრილი და ძილისა დროსა შეასუი, სადამდი ეძინოს
კარგად და რა გახსნას, ნულარ დაიძინებს.

†

ამავე სენისათუის – აილე:

კრკო დამწუარი, დანაყე და გაურიე მისა სწორსა,
დათუის ქონშიგან ერთად დანაყე. მერმე ბერძული ზეთი
გაურიე და შემწენ ისი ალაგი, სადა თმა აკლდეს.

†

მისთუსვე – გრძბისა ტყავი დაწუი და

ზეთი გაურიე და ისი ადგილი შემწენ.

†

აილე: კურდღლის თავი, დაწუი, დანაყე და ცოტა

ზროხის ქონი გაურიე და

ძმრითა გაქენ, და ისი ალაგი

თხის ქონითა შემწენ და ზედა

მლოგუი მოაყარე

და ესე წამლები დასდევ და უშუელოს.

†

ნიშანი წამლისა, ერგების სნებასა, რომელსა ქუიან
დალილა, და შეექნების ესე თავსა, და დახდის თმას
თავსა და წუერისა.

კურნებაი მისი: დაჰყუინო თავისა თმა ყოველი
სამართებელითა, და მერმე უჭრა იგი ადგილი, რომელსა
იყოს ესე საღმობა და თმა გარდაულოს თანასთანა
კეკელად, და მერმე ადრისო ხახუი და ნიორი

გაქურცნილი, დაქენ ესე მრავალჯერ დილა-მწუხრი,
მერმე ესე წამალი სცხო და ერგოს ღმრთითა:

აიღე: სადაჯი ჰინდი — წონა დრამისდა

ამლაჯი — ორი წონა

მამზჯი /ზიბიბალა-ჯაბალა/ — 2 დრამი და
ნახევარი

წუნწუბა

კუერცხის გული

სპილენძი დამწუარი — ორ-ორი წონა

სანჯასაფუა

შირები კოშკაკართა — თუითო დრამი

გომიზი ფიჭვისა

მაშხმი

ზარევანდი გრძელი — თუითო დრამი და ნახევარი
შეკრიბენ ესე წამალნი და დანაყენ, დაცრენ და
ძმრითა შეზილენ, და მას ადგილსა სცხო და ერგოს.

†

ნიშანი თავისა საბანელისა, რომელი გასწმედს თავისა
და დაიბანოს ტფილითა წყლითა, ხატმითა და ერგოს.

†

ნიშანი წამლისა ქერტლისა — აიღე:

მჟავისა თურიზჯისა გამოწურვილისა და ჩაურთო
თანა მცირედი ბავრუკი და მით დაიბანო თავი აბანოს
შიგა.

†

წამალნი, რომელნი დასცვენ თმათა და ამოავლენს,
სარგო არს დიდად. აიღე:

ლაღანი ლბილი, კეკელა — 10 დრამი

ამლაჯი

ზიბი ბალჯაბალი — სამ-სამი დრამი

გაადგინე ლაღანი ღუინითა ანუ ხირვასა ზეთითა,

დანაყე სხუანი წამალნი და დასცრნე შარითა, და მურტისა წყლითა შეზილო და ჩაურთო ესე სხვები წამლები, და ჭურჭელსა ჩასდვა. და როდეს გიხმდეს, აილო მისგან წონი სამისა დრამისა და ჰქმნა ესე, ვითა ნიშანი მიგუიციებია. და მერმე სცხო თმათა და ერგოს.



ნიშანი წამლისა, ერგების ქარტლსა

აიღე: ჰულდულქი მაქი – სამი დრამი, გაადგინო ხარისა ნაღლითა, რომელ შეიქმნას თაფლისა მსგავსად დააყუინო თმა და მოსდვა თავსა, ვირემ მწუხრიდგან გათენებამდე იყოს, და დილასა დაიბანოს თავი წყლითა ტფილითა, რომელსა ჩაგერთოს თანა კუერცხისა თეთრი. დაიბანო თავი კეკელად და იცხოს ვარდისა ზეთი, ერგოს დიდად.



აიღე: ნაღველი ხარისა და ჩაურთო
ძმარი ცხარი – ათი დრამი, და ჩაურთო
ბავრუკი – ათი დრამისა წონი.



ნიშანი წამლისა, რომლითა დაიბანების თავი გაწმედისათვის.

აიღე: ხატმი კეკელად დაფქული – 3 დრამი
ბავრუკი სომხური – ნახევარ დრამი
ბაზარკატუნისა ლაბა – 30 დრამი

შეკრიბენ ერთად და ტფილითა წყლითა გათქუიფნე, და დაიბანოს თავი მითა, გასწმედს ბაყლისაგან და ახლად დაიბანოს თავი კუერცხისა თეთრითა, და ბავრუკითა და საპონითა, და დაიბანების ავშნარისა წყლითა, რომლითა სამოსელი ირცხების.



წამალი ფრჩხილისათვის

ფრჩხილი თუ ბრმა გამოვიდეს და წახდასა
ჰლამობდეს, რომელ სხვა ახალი გამოვიდეს ზიბბი
გურკისაგან დაარჩივე

ჯავშირი და მისისავე ხისა რტო დანაყე და ზედა
შესდვა, ბრმა წავიდეს და ახალი გამოვიდეს.



ფრჩხილი თუ თეთრი შეექნას, წითელი ამარტა და
ძივთი ზედა დასდევ და გააქარეებს.



სახელითა ღმრთისათა დაევიწყოთ წერა თმისა სადებავთა

აიღე: გუნდა მწუნე უხურეტელი სცხო

ზეთი და მოხალო ზეთითა ტაფითა და

აიღო მისგან ორმოცდაათი ღრამი დანაყილი და
გაცრილი

მარილი ანდრანი

რსხათჯი — სპილენძი დამწუარი

ინა — თუითო ღრამი

ნიშადური

ხატმი — სამი ღრამი

შერიენ ყოველი კარგად და ჭურჭელსა ჩადევ, და
ოდეს გიხმდეს ლებვა თმისა, აიღე მურტის წყალი და
მით შეზილო ამა წამალთაგან წონი ქათისა ღრამისა და
გასწყედ, რომე გაფუედეს ვითა ცომი, და ოდეს იყოს
დაწოლისა ჟამი, ურთო შიგა წყალი, რომე შეიქნას და
ვითა ღალია თხელი, და გაატფო, ცეცხლითა და მერმე
სცხო თმათა, და დააკრა სადებავსა ზედა ჭაკუნტლისა

ფურცელი ნელლი და გასწყედ დილეულამდის. და მერმე
დაიბანე წყლითა. და ოდეს იყოს სამ ჟამ, შევიდეს
აბანოთა და იცხოს თმათა ზეთი, და გამოვიდეს შავი,
ვითა ჯერ-იყოს, თუ ღმერთსა უნდეს.

†

აიღე: გუნდა მიხალული, ვითა ნიშანი მიგუიცივია –
10 დრამი

არსხათჯი – წონა სამისა დრამისა

ნიგუზის ქერქი გამხმარი – დანაყილი დაცრილი
5 დრამი

მარილი ანდრანი

ნიშადური – ორ-ორი დრამი

გაწმინდენ ყოველნი, დანაყენ და გაცრენ და ნელლისა
ნიგუზისა ქერქისა წყლითა შეზილე, ანუ მურტის
წყლითა – ანუ

აღტორის წყლითა, და გააფუო და მით შელებო
დაწოლისა ჟამსა. დააკრა ზედა ჭაკუნტლისა ფურცელი,
და იყოს ვირე დილეულამდის, და დაიბანოს აბანოს შიგა
და ბანის ზეთი იცხოს ანუ ხირვისა.

†

აიღე: გუნდა მოხალული ზეთითა შევიდი ასთარი
და შაბიამენი – ორი დრამი და ნახევარი, დანაყენ და
მურტის წყლითა – შეზილე და გააფუე, და თმათა
შემოსდევ და დააკარ ზედა ნიგუზის ფურცელი, ანუ
ჭაკუნტლის ფურცელი, დაიბანოს აბანოს და იცხოს
ხირვის ზეთი, და ანუ ვარდის ზეთი, კარგია.

†

თმის სინხმასათვის ესე წამალი

თურმუსისა ფქვილი

სხული ცერცუისა ფქვილი

ქათირა

მუხუდოს ფქუილი

ესე ყველა ერთმანერთნიგან გაურიე და ვარდის
ზეთითა დააღბე და თმაზედა შემოსდევე, ასრე, რომე
ორსა ჟამსა ზედა იყოს, და მერმე ტფილაღ წყლითა
მოიბანე.

†

ტირიფის ფურცლის წვენი

ქუნჯითის ზეთი

შადნის წუენი

ხატმის წუენი

ზღვის პერული — დანაყე და გაყრიე, ყოველივე
ულბოსა წვენშიგან გაურიე და თმაზედან შემოსდევე.

†

მწარისა ნუშისა გული დანაყე და

ქათმისა და

ბატის ქონი

ზროხისა თირკმლისა ქონი და

ნუში დანაყილი შიგან გაურიე, და

ბაზრაცუნისა ლოაბშიგან გაურიე, თმაზედა
შემოსდევე იმავე წესითა, და ტფილითა წყლითა მობანე.

†

იის ზეთი

ნუშის ზეთი

ვარდის ზეთი

მასტაქი

ლადანა, საკმეველი — ორივე დანაყე და

ამა ზეთშიგან გაურიე და იმავე წესითა თმაზედა
შემოსდევე.

მავიზაჯი — დანაყე

გოგირდი

ანზრუთი

მუყლი – ესე სამი დანაყე

ქასირა – დანაყე

მუყლი გაადნევ თბილითა წყლითა. და ესე დანაყილი წამლები შიგან გაურიე, ბაზრაყატუნისა ლოაფშიგა გაურიე და თმაზედა შემოსდევე.

†

ქასირა

სამყი

ბორა (არმანი)

ულბოს ფქუილი

შავის მუხულოს ფქუილი

ნაძუის კევი – ესე ყველა დანაყე, გაცარ და

ხატმის წვენშიგან გაურიე, იმავე წესითა

შემოსდევე, კარგია და გამოცდილი ნებითა ღთისათა.

†

გუნდა დამწუარი ზეთითა – ერთი დრამი

დამწუარი აფსინდი – ერთი დრამი

ლადანა – ორი დრამი

მარილი – ორი დრამი

შარძალჯაბალი – ორი დრამი

თხლე ღუინისა დამწუარი – ერთი დრამი

ხალილაგი მოხალული ზეთითა – ერთი დრამი

კაკია

ულდუღდი

სელის თესლი უქურცნელი

ჯარჯირის თესლი

ნაცარი

ფშატის ფურცელი

აბულარი და

შეიპყარ შავი ყუავი – დაკალ და დაფალ და
ცხენთა მჩორეთა შიგა ანუ

ზროხისა სკორესა – ექუსსა დღესა და მერმე
გამოიღო, დანაყო ყუელა და ჩაურთო წამალთა თანა,
და დამარხო მზად. და ოდეს გიხმდეს, აიღო მის
წამლისაგან წონა ღრამისა ათისა და მურტისა წყლითა
შეზიღო და მცირედითა ღუინითა ძუელითა, სცხო თავსა
მწუხრისა და გასწყდე, ვირე გათენებამდის და დაიბანოს
და ხირვას ზეთი იცხოს და უთქომს, ვის ესე
გამოუცდია, ვითარად: გააშავებს თმათა და დააყენებს
კეკელად. ესე გამოცდილია.

‡

ნიშანი საღებავისა შეღებავს თმათა წითლად
მსზავსად ხასედისასა

ხატმი კეკელა ახალი – ორი ნაწილი
ინა

ზანდაანი

შეურიენ ყოველნი და დასცრენ, და თუთუბასა
წყლითა შეზიღე და გააფუე და სცხო მწუხრი, და
ელოდე გათენებამდის, დაბანო და ხიარისა ზეთი იცხოს,
კეკელა და გამოცდილი ნებითა ღთისათა

‡

სხუა თმის საღებავი

ყაყაჩო – ლიტრა ნახევარი, ნახმარებსა
კოჭობშიგან ჩაყარე

ნიშადური

ლახუსტავი

სინამაქი

აჯასპი

შაბი — ხუთ-ხუთი მიტყალი

ესე ყუელა დანაყილი და გაცრილი შიგან გაურიონ
და კოჭობისა პირსა ჯამი დააწყონ და მოგლისონ და
ორმოცსა დღესა, ღრმად ნეხუშიგან ჩადგან. მას უკნის
იხმარონ, თუითო შეცხება ხუთ-ხუთი მუტყალი.

შეიცხონ დილასა, თბილითა ჭაკუნტლისა წვენითა
დაიბანოს, ესეცა ექუსსა თვესა დადგების.

†

მწუანე გუნდა უხურეტელი — ასი მარცვალი
ზეთისხილის ზეთითა ანუ

ნიგუზის ზეთითა მოხარშე კარგად

ლახუსტაგი

იამნური შაბი — ოროლი ღრამი და ნახევარი
ქათირა

ანდრანული მარილი ანუ აქაური — თუითო
ღრამი

ნავთის კუამლი — შვიდი ღრამი

ესე ყველაკა ერთმანერთიგა გაურიე და თბილითა
წყლითა დააღბე. მერმე თმა დაიბანე თბილითა წყლითა.
მერმე შეიცხე, ერთსა ღამესა ზედან იყოს, მერმე, რა
გათენდეს, თბილითა წყლითა დაიბანე, ორმოსცა დღესა
დადგების.

†

სხუა საღებავი თმისა

ამლაჯი — ხუთი ღრამი

ქათირა — ორი ღრამი

შაბი — ღრამნახევარი

ლახუსტაგი — სამი ღრამი

ნიშადური — ღრამნახევარი

გუნდა — ათი მარცვალი ნავთსა შიგა მოხარშე,

დანაყე ცალკე, მაშინ ყველა ერთპირად დანაყე. მური და ფარისიაოშანი ორივე წყლითა მოაღუღე. ამისა წუნენშიგა ისი წამლები დააღბე ერთსა დღესა და ღამესა. მერმე დილასა ღუნინით თმა დაიბანე, მერმე ესე წამალი შეიცხე ერთსა ღამესა, მერმე ამა ფარისიაოშნისა წუნენითა კიდევე დაიბანე.



ფარისიაოშანი — ორი ღრამი
მური — ორი ღრამი
შაბი — დრამნახევარი
ნიშადური — დრამნახევარი
გუნდა — 15 მარცუალი

გუნდა ფარისიაოშნისა წუნენშიგან დააღბე, მერმე ამოიღე და ზეთშიგან მოხარშე. მერმე დანაყე და იმა წამლებშიგან გაურიე და ოთხსა ჯამსა ღუნინოშიგან დააღბე, და ცოტა ინა გაურიე. თმა თბილითა წყლითა დაიბანე და, რა გაშრეს, შესცხე. ერთსა ჟამსა და ნახევარსა დაეხსენ და თბილითა წყლითა დაიბანე, და ოცდახუთსა დღესა დაიდგმის.



სხუა თმისა საღებავი — თაყრეშუღი

ინა — ათი მიტყალი, დააღბე ღუნინითა კარგად, მერმე წუერი თბილითა წყლითა დაიბანე და, რა გაშრეს მერმე ინა შემოიდვას საღამოს, მერმე დილასა დაიბანოს, მერმე მოიღე:

ვასმი — ათი მუტყალი
ქათირა — ერთი მუტყალი დანაყე და გაცარ,

მერმე თუთუბის წყლითა ან დოთა მოზილონ, მერმე ტაფაშიგან ჩადვან და ცხელსა ნაცარზუდა დადვან, და თავსა დაახურონ, მანამდის, სადამდის გალურჯდეს, მერმე შეიცხოს.

იადიგარ დაუდი

წამალი რომე კბილს დაამაგრებს და
გაათეთრებს და ღვიძლს ამოიყვანს
თეთრი შაბი
სახამებელი
ნიშადური

სამივ სწორ-სწორი ქენ, წმიდად დანაყე და გაცერ,
და კბილის ძირშიგა წაისვი, და დაწოლის დროს
კბილზედა დაიყარე, და დაძრულსა კბილსა უსათუოდ
დაამაგრებს და დაათეთრებს. ეს წამალი უსათიოდ
მართალი არის, ღძილსაცა ამოიყვანს.

†

თუ კაცსა კბილები სტკიოდეს და კბილების
დათეთრება უნდოდეს.

ესე წამალი უყავით და უსათუოდ კბილებს
დაამაგრებს და დაათეთრებს და ღრძილს ამოუყვანს, და
ავსა სულსა გაუგდებს. და აგრეთვე რომე მარტვილსა
ენა და პირი დაუბებრდეს, და ესე წამალი ზედ
მიაყაროთ, ...მრავალჯერ დაცდილი არს.

მაყუალის ნეკერი

პიტნა

დანაყე, ამათი წყალი გამოჰხადე და თვითო ჯამი
ამათი წყალი ქენ და ამავე ჯამითა სავსე დანაყილი
თეთრი შაბი

ქენ და სამივ ერთგან აურივე და მანამდისინ ადუღეთ,
რომე სამის წილისაგან ორი წონა წავიდეს და ერთი.

წონა დარჩეს და ამა წამალსა კბილზედა წაისვემდენ და დაწოლის დროსა კბილზედა დაიყრიდენ.

†

კაი წამალი, რომე კბილსა დაამაგრებს, და დათეთრებს

მარილი კაი — სამი ღირჰამი

ქერი — სამი ღირჰამი

ორივე დანაყე და ექუსსა ღირჰამსა თვალშიგა
გაურიონ და მოადუღონ,

მერმე მოიტანე

ლერწმისა ძირი — სამი ღირჰამი

ირმის რქა — ორი ღირჰამი

სირაქლემას კუერცხის ხეჭუჭი — ორი ღირჰამი

ოქრომჭედლის ბორა — ერთი ღირჰამი

ჩინურისა ნატეხი — ერთი ღირჰამი

ესე წამლები ყუელა დანაყე და წმიდად გაცერ და ყუელა ერთგან აურივეთ, და კბილზედა წაისვას, და კბილზედა დაიყაროს და გათენებამდისი ზედ უნდა ეყაროს, კბილს მწოედ დაამაგრებს და გაათეთრებს.

†

წამალი, რომე ღძილის ტკივილსა, და სისხლის დენას უშველის და კბილს დაამაგრებს

ყირმიზი ვარდის ყუავილი

ბროწეულის ყუავილი

ყირმიზი ჰალილა დანაყილი

(ან ყუითელი ზარნიხი)

ეს წამლები ყუელა დანაყე და გაცერ და ერთგან აურივეთ და კბილის ძირშიგა წაისვან.

†

კაცსა რომე კბილები ენძრეოდეს და ან ღრძილები მოშლოდეს

ბროწეულის ყუავილი – ერთი ღირჰამი
თოფალახი – ერთი ღირჰამი
ლუსმარა ეკალიო – ერთი ღირჰამი
თეთრი შაბი – ნახებარი ღირჰამი
მარილის თვალი – ერთი დანგი

ეს წამლები დანაყე და გაცარ და კბილის ძირშიგა
დააყარე, და კბილები გამოირეცხონ, და კბილსა მწოედ
დაამაგრებს.

ჭ

თუ ღრძილები მოშლოდეს, მოიტანე
ჩინურის ნატეხი
ჭიჭის ნატეხი
მარილის თვალი
აყიყი

ოთხივ სწორი ქენ, დანაყე და მწოედ წმიდად გაცერ
და კბილის ძირშიგა წაისვან, და დაწოლის დროსა
კბილის ძირშიგა დაიყარონ, რაცა კბილისა და ღძილისა
ელათაი და მანკი არის ყუელას გამოიღებს, კბილებს
დაათეთრებს, და წყალჯავარსა მისცემს. მეორესა
დილასა ძმარი და ვარდის წყალი ერთგან გაურიონ და
პირი გამოირეცხონ.

ჭ

მაიდანნი აქიმმან თქუა, მოიტანე:
ბროწეულის ყუავილი
თეთრი შაბი
გუნდა
ყირმიზი ვარდი
თუთუბო
ლუსმარა ეკალი
აყაყია
თაბაშერი ჰინდი

ქაზმაზუ ვითამცა და გრაკის ხის ხილიო
ეს წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ, დანაყე, გაცერ
და ყველა ერთგან აურივე და კბილის ძირშიგა წაისვით,
და დაწოლის დროსა კბილის ძირშიგა დაიყარეთ,
კბილს გაამაგრებს, გაათეთრებს და ღრძილებს
გაამრთელებს.



ენისული — სამი ღირჰამი
ხოლინჯანის თესლი — ერთი ღირჰამი
თოფალახი — ორი ღირჰამი
კურკა გამოღებული ყურძენი — ერთი ღირჰამი
ყირმიზის ვარდი — ერთი ღირჰამი
ყუითელი ყუაელი — ერთი ღირჰამი,
(სანელებელი)
გარეული ტარხუნა (აღყარყარა) — ნახევარი
ღირჰამი

ეს წამლები მიოტანე და ყუელა დანაყე და მოადუღე
და თორმეტსა ღირჰამსა თაფლზედა დააწურონ და
თბილ თბილი ესე წამლები ხშირად პირშიგა იმგვიბონ,
მწოვედ კარგად მოუხდების.



ვისცა კბილების დამაგრება და დათეთრება
უნდოდეს

თაბაშერი ჰინდი — ათი ღირჰამი
ზლუის ქაფი — ათი ღირჰამი
სუმფერა — ათი ღირჰამი
ყირმიზი ვარდი — ათი ღირჰამი
შაბიამანი მოხალული — რვა ღირჰამი
გაუხურეტელი მარგალიტი — შვიდი ღირჰამი
ქაფური — ერთი ღირჰამი

ეს წამლები ყველა დანაყეთ, გაცერით და სრულად

ერთგან აურივეთ და დაწოლის დროს კბილის ძირზედა
დაიყარონ და კბილებზედა წაისვემდენ და ამა
წამლებითა კბილებსაცა გამოირეცხდნენ, კბილებსა
მწოვედ გაამაგრებს და დაათეთრებს, და წყალჯავარსა
მისცემს და ეს წამლებიცა მრავალჯერ დაცდილი არის.

†

ვინცა ხმელი ყურძენი დანაყოს და ძმარშიგა მოხარშოს,
და ნელთბილი ეს ყურძენი და ძმარი კაცმან პირშიგა
იმგვიბოს, კბილებს დაუთეთრებს, და თუ ეს კბილის
ტკივილი სიგრილისაგან იყოს, იმასაცა უშუელის.

†

წამალი, რომე კბილებს დაათეთრებს და
დაამაგრებს და კბილის ძირს ძალას მისცემს

პილპილი

ბროწეულის ყვავილი

ვარდის ხმელი ყუავილი

ქაზმაზუ (გრაკის ხის ხილი)

თუთუბო

გრკოს აფსკა

მარსინის ხილი

სინაის მაქი (ფუთფუთას ხის ფოთოლი)

ესე წამლები ყველა სწორ-სწორი ქენ, და წმიდად
დანაყეთ, და გაცერით და კბილის ძირშიგა წაისვან, და
დაწოლის დროსა კბილის ძირშიგა დაიყარონ, კაია.

†

ვინცა თბილ თბილი ფურის ერბო პირშიგა იმგვიბოს,
კაცსა კბილებსა მწოვედ დაუთეთრებს და კბილებსა
დაამაგრებს, და პირიდაღმა ავსა სულსა გაუგდებს, და
ამა ერბოსა მგვიბებასა უკანა, რომე კაცმა თეთრი ცვილი
ლუჭოს, კბილების დამაგრებისათვის ისიცა მწოვედ კაი
და მარგე არის.

†

ვისცა ღრძილიდაღმა ავი სული ამოსდიოდეს
კაპოეტი ბალახი და ცვილი ერთად დანაყეთ, კევსავითა
ღეჭეთ და ღრძილიდაღმა ავსა სულსა გაუგდებს



შემწვარი ახალი ყუელი და შემწუარი კვერცხის
გული ერთგან აურიონ, კევსავითა ღეჭონ, ავსა სულსაცა
გაუგდებს, და კბილებსაცა დაუთეთრებს.



ვინცა თეთრი შაბი და თაფლი ძმრით მოადულოს, და
ხშირად პირშიგა იმგვიბოს, ღრძილებს გაუმრთელებს და
სისხლს დასწყუეტს და კბილებს დაამაგრებს, და
დაათეთრებს. ძალითა ღთისათა.



თოფალახი მხურვალი და ხმელი არის, კაცმან რომე
ეს თოფალახი კევსავითა ცოხნოს, ან დანაყოს და
ღრძილზედა დაიდვას, ღრძილს უსათიოდ გაუმრთელებს
და ამოიყვანს, კბილს დაამაგრებს და დაუთეთრებს, და
ტკივილს უშველის.



ვისცა კბილები ბაყლიანი და ყვითელი ჰქონდეს,
მოიტანე ზღუის ქაფი და ყვითელსა ბაყლიანს კბილზედა
წაუსვით, ბაყლსა და სიყვითლესა ორსავე აიღებს და
კბილს მწოედ დაათეთრებს.



მუწუკებისათვის

ვისცა მუწუკის გახეთქვა უნდოდეს, მოიტანე
ყვითელი შაბი, დანაყე და მუწუკზედა დააყარე და ერთი
დაყრა ეყოფის, მაშინვე გახეთქს და გამორწყავს.



თუ კაცსა გამოჰყაროს, მოიტანე ასეთის წითლის ფურის ფსელი, რომე სხვაფერი ბეწვი არ ერიოს, და ესე ფურის ფსელი მანამდი აღუღეთ, რომე ორი წილი ჩაიშროს და ერთი წილი დარჩეს, მერმე გამოყრილსა მუწუკზედა დასცხონ და ეშველების.



ვისცა ნამუწუკარი, ან ნაყოვილები აჩნდეს, მოიტანე დათვის ნაღველი, ნამუწუკარსა და ან ნაყუავილებსა ალაგსა დასცხონ და ასრე გარდაიყვანს რომე აღარ აჩნდეს.



ვინცა სარამაშულის ახალი ფოთოლი დანაყოს და მუწუკზედა დაიდვას, მჭამელსა მუწუკსა უშველის.



ვინცა ჯინჯარი დანაყოს და მუწუნზედა დაიდვას, მუწუკი და სიმსივნე ორივე ეშველოს.



ვისცა ტანზედა მუწუკმან დაჰყაროს და ან დიდი მუწუკი გამოუვიდეს, მოიტანე წიწმატი, დანაყე და ზედა დაადე, მაშინვე უშველის და გამორწყავს.



ვინცა ნარგიზის ძირი დანაყოს, და თაფლითა მოზილოს და ან გამწყარალსა, და ან დამპალსა მუწუკზედა დაადვას, ორისათვისევე მწოვედ კარგი არის.



ვისცა ან ქენტრუმან, და ან ამ რიგად სხვამან მსხმომან ტანზედა გამოჰყაროს, ახლის ყუელის წვენნი რომე სვას და ტანზედაცა შეიცხოს, მაშინვე უშველის.



ვინცა გარეული მლოგვი დანაყოს და მუწუკზედა დაიდვას, მუწუკი ეშველოს.

ვინცა ტუხტიისა ან ყუავილი და ან თესლი დანაყოს და მუწუკზედა დაიდვას, მუწუკი ეშველოს, და ძარღვების ტკივილსა უშველოს, და ესევე ტუხტი ბატის ან იხვის ქონითა მალამად ქნას, და ისი სჯობს.

†

ვინცა ზღვის ქაფი ვარდის ერბოთა და ცვილითა აურიოს, და მალამად შექნას, და მუწუკზედა დაიდვას, მუწუკი ეშველოს.

†

თუ ტირიფის ფოთლის წვენი აბანოშიგა კაცმან ტანზედა შეისვას, ქუნთრუში და მოლოქური და რაცა ამ რიგი წურილი მსხმომი არის ყველასა უშველოს.

†

მეჭეჭებისა წამალსა გაამბობს

ვინცა ვარდის ერბოთა მეჭეჭი კარგად დაიზილოს, უსათუოდ მაჭეჭი ამოაგდოს და გააქარვოს.

†

მეჭეჭი მარსინდის ფოთლითა კარგად დაუზილონ, და მერმე მარილი და შაბი ძმრითა მოზილონ და მეჭეჭზედა დაიდვან, უსათიოდ ეშველოს და გააქარვებს.

†

მოიტანე ლურჯი გუნდა და ზარდაჩუა თვითო დირჰამი, ნიშადური და ყანგარა ნახევარ-ნახევარი დირჰამი, და ესევე ოთხივ დანაყონ, გაცრან და ერთად აურიონ, და ვარდის წყლითა მოზილონ, და მეჭეჭზედა დაიდვან, უსათიოდ ეშველის.

†

ჰუნან ჰაქიმმან თქუა:

ჰილი — ორნახევარი დირჰამი

ენისუნი — ორნახევარი დირჰამი

დარიჩინი – ორი ღირჰამი

დარიფილფილი – ორი ღირჰამი

საყმუნია (მაჰმუდა) – ორი ღირჰამი

მარილის თვალი – ორი ღირჰამი

შაქარი – ერთი ღირჰამი

ეს წამლები კარგად დანაყონ და გაცრან და ვისცა უნდეს და ეჭირებოდეს, ამისგან ოთხი ღირჰამი გალესონ და სვან, მეჭეჭისათვის ამისთანა წამალი და თარქიბი არ იქნებისო.

†

ვინცა მწვანის მხულიკის სისხლი მეჭეჭზედა დაიდვას, მეჭეჭი ეშველოს.

†

ვინცა ძველსა მთვარესა, ძველი ყირმიზის აბრეშუმითა მეჭეჭსა მოუჭიროს და გაუშვას, მეჭეჭი გახმეს და ჩამოვარდეს.

†

თუ კაცსა ფრხილები მრუდად ესხას, მოიტანე:

შრემის ბალახი

მარილის თვალი

ძმარი

ძმრის ტლე

ეს ოთხივე კარგად დანაყონ და ფრჩხილზედა დაადვან და შეუხვიონ, და უსათიოდ ფრჩხილსა გაუკეთებს.

†

პირველ რომ კაცსა ფრხილებმან წახდენა დაუწყოს, მოიტანეთ:

ბაზრაცატუნა და ძმარშიგა დაალბეთ და წამხდარსა ფრჩხილზედა დაადევით, ან გუნდა დანაყეთ, გაცერით და

ძმარშიგა დაალბევით და ფრჩხილზედა დაადევით და წაუხვივეთ, და გერჩივნოს ბარძაყათუნას ლოაბი დასდვათ, და გერჩივნოს გუნდის ლოაბი დაადვათ, ასრე უნდა ეს წახვეული თითი ან თოვლშიგა ან ცივს წყალსშიგა ჩაუდვან. და თუ ტკივილი არ ეშველოს, თბილსა და მოცხოს ერბოშიგა ჩაუყონ.



ვინცა ფიჭვის კევი წამხდარსა ფრჩხილზედა დაიდვას და შეიხვიოს, იმა ფრჩხილსა წააგდებს და სხვა კაი ფრჩხილსა ამოუყვანს.



ვინცა თევზის წებო დაჭექკილსა ფრჩხილზედა დაიდვას და შეუხვიონ, მწოვედ კარგად უზამს.



ვინცა ბოის ბალახი დანაყოს და ფრჩხილზედა დაიდვას, ფრჩხილი ამოიყვანოს. ბოი ულბოსა ჰქუიან.



ქაჩლის წამლებს ვიანბობთ

მოიტანე სამი ღრამი ინა, ძიმწარე და ეს ორივ წმიდათ დანაყე, გაცერით და ზეთის ერბოში ამოზილეთ, ამ რიგად ორჯელ სამოსლით თავზედ გარდააკარით, უსათუოდ უშველის.



მოიტანე: ზარდანჩო

მურდასანგი

ბროწეულის ქერქი

სამივ დანაყე, გაცერ და ვარდის წყლით გააყენეთ და სამოსლის ნაჭრით თავზედ გარდააკარით, მაშინვე ქაჩალს უშველის და მოარჩენს.



მოიტანე: თეთრი ცვილი

ვარდის ერბოშიგა გააღწონ, მერმეთ

ქასნის წყლით გააყენონ და

ერთის ჭიქით შეინახონ და როდესაც უნდოდესთ და
მერმეთ თავზედ შესცხონ, ღთის ძალით ეშველებს. ამას
გარდა მუდამ თავზედ გრილს ერბოებს შეიცხებდეს
ხვალმე:

იისა

ლულუფურისა

აყიროსი

ნუშისა

ვარდის ერბო

ესე ყუელა სულ გრილი ზეთები არის.

†

ჯალინოზ აქიმძან თქუა: მოიტანე

თეთრი ცვილი

ვარდის ერბო ერთგან გააღწონ და

ქასნისა

ტირიფისა

იის წყალი გაურიონ, კიდევ მოიტანე

ტუხტი

მოლოქურის ბალახის თესლი

ზღუის ქაფი

დამწვარი ილან მუნჯუხი (წურილი მკლავის საბამი
ღვრინჭილა) ეს წამლები, თუითო ღირჰამი ქენ, და
ერთის კუერცხის ცილაცა გაურივე და ეს წამლებიცა იმ
ცვილსა და ვარდის ერბოშიგა ჩაყარე, მალამად ქენით
და ქაჩალს თავზედა დასდევით, მწოვედ კარგად უზამს.

†

ხახვის წვენითა თაფლი წყალსავითა გააყენოს და
უბალნოსა თავზედა შეიცხოს, უბალნოს თავსა ბალანი

გამოასხამს.

. მოიტანე: საზამთროსა ქერქი

აყირო

ძველი ჰასირი

სამივ სწორ სწორი უნდა ჭნათ, ეს სამივ დასწვათ,
და ამისი ნაცარი აიღოთ, მერმე მოიტანონ:

უანგარა

ინა

მურდასანგი

ვარცხლის წყალი

ადრუჯის ხის დღვილი

ამა წამლებისაგან ყველა სწორ სწორი ჭნან და
კარგად დანაყონ და გაცრან, და ზეთის ერბოთა ასრე
რიგად მოზილონ, რომე მაღამასავეითა შეიქნას და
ორჯელ, სამჯერ სამოსლისა ნაჭკერითა თავზედა
გარდააკრან, და სიქაჩლეს უსათიოდ უშველის ძალითა
ღთისათა.

†

ვინცა ნივრის ქერქი დანაყოს და ზეთისხილის
ზეთშიგა გამოლესოს და თავზედა შეიცხოს, უსათუოდ
გაუძთელოს, და უბალნოს თავზედა თმა გამოასხას.

†

ვინცა ღორის ნავლელი

თაფლი

პილპილი

სამივე ერთგან აურიოს და ქაჩალსა თავზედა
შეიცხოს, ქაჩალსა და უბალნოს თავზედა ბალანი
გამოასხამს, და ესე წამალი ბევრჯელ დაცდილი არის.

†

ვინცა მგლის ტვინი დამძაღებულის ერბოთი
მოზილოს და პირველ თავი დაუფხიკოს და მერმე ესე

ტვინი და ერბო დასცხოს, ქაჩალი უსათუოდ უშველოს
და ბალანი გამოასხას.



ვინცა კუს ბაკანი დაწვას და ნაცარი ძველის ერბოთა
ასურიმოს, და ქაჩალსა თავზედა შეიცხოს, ქაჩალი
უშველოს და თმა გამოასხას, მაგრა ეს ერბო რაც ძველი
არის ისი სჯობს.



აილე: ჰაბი ყუყია

წითლის ხახვის წვენი

ნარგისის წვენი

ერთად აურიონ და საცა თმა და ბალანი
გასცვივოდეს, იქი შეიცხონ. და

იარაჯი ფიყრითა და

აღყარყართა

ორჯელ, სამჯერ პირი გამოირეცხონ, კაი და შემრგო
საჭმელები და მწვადები ჭამონ, მუდმად საკმლის კევი
ლეჭონ.



კაცსა რომე წვერი და თმა გასცვივდეს

ხშირად კაცმან საპონითა და თბილის წყლითა
დაცვივნილი ალაგი დაიბანონ, და დაბანვას უკან
შირლიდინის ზეთი შეისვას. ან თბილს წყალსშიგა
გაურიოს და თავი დაიბანოს ტუხტისა და ბიის გულის
ლოაბითა. ან ფარისიაოშნითა, რომე ბალდური ყარა
ჰქუიან და ჭარხლის წყლითა, და სვინტრის წყლითა.
ბროწეულის ყუავილითა თავი და პირი დაიბანონ, და
გაცვივნილსა ალაგსა შეუსვან.

ყუელა კარგად მოუხდების და თმის ძირსა ასრე
დაუმაგრებს, რომე აღარ გასცვივდეს, და მას უკან
ჰალილას მურაბა აჭამონ, მწოვედ კარგად მოუხდების.



კუერცხის ცილა
 ბანის ერბო
 ვერხვის ხის ხილი
 თხის ქონი
 მოხრაკული ბუზი
 თხილის ხეჭუჭი
 ცოტა ყადუნა

ეს წამლები ყველა კარგად დანაყონ, გაცრან და ტუხტის წყლითა გააყენონ. და ეს წამლები მოხარშონ და ნელ თბილისა ამა წამლებითა თავ პირი და გაცვივნული თმა და წვერი დაიბანონ. ამა ბალახებისა ნახარშითა თავი დაიზილონ და უსათუოდ წვერი და თმა გამოუვა, და კიდევ გაუგრძელდების, და მას უკან აღარც გასცივივს. საჭმელებისაგან მსუქანი, ცხიმიანი და ტკბილი საჭმელები უნდა ჭამონ, ხშირად აბანოშიგა იბანონ და თავზედა ბევრი წყალი დაისხან, და მლაშესა და ცხარსა საჭმელსა ნუ სჭამენ, და შიმშილსა და წყურვილსა უფრთხილდენ.



წურილი და დაცდილი წამლები, რომე ამა წამლებითა თმათა გაცვეენასა ეწამლების

ვინცა დამპალი და აყროლებული ცხვრის წელები ზეთის ერბოთა მოხრაკოს, და თმა გაცვიენილსა ალაგსა შეიცხოს, კიდევ თმა გამოესხას.



ვინცა ჩათლაყუში დაწვას და ერბოთა მოზილოს და თმა გაცვიენილსა ალაგსა შეიცხოს, კიდევ წვერი და თმა გამოესხას.



ვინცა ჭარხლის ფოთოლი მოხარშოს და ამის
წვენითა თავი და პირი დაიბანოს, თმა და წვერი
გამოესხას და თმის ძირი დაუწმიდოს, და თუ წილი
ესხას გააყრევენოს.



ვინცა რეჰანი დანაყოს, და ახლის ერბოთა მოხარშოს
და თავზედა შეიცხოს, თმა გაუგრძელდეს.



აბზინდას ბალახი მხურვალია და ცხარია, ვინცა ესე
აბზინდა დაწვას და ამისი ნაცარი გაცვივნილსა თმაზედა
შეისვას, თმის გამოშვებისათვის მწოვედ კარგი არის.



მოიტანე ყაყაჩოს ყუავილი, დასწვი და ამისი ნაცარი
გაცვივნილსა თმაზედა შეუსვი, მწოვედ კარგია.



ვინცა წიწმატი დაჭეჭკოს და ღვინოში გაურიოს და
შეიცხოს, თმა და წვერი გამოასხას.



გველის ნიორი მხურვალია და ცხარია, ესე გველის
ნიორი გარეთ იქნების და დიდი ძირი აქუს. ვინცა ესე
გველის ნიორი, დანაყოს და თაფლშიგა გაურიოს და
შეიცხოს, თმა და წვერი გამოასხას.



ვინცა კურდღლის სისხლი ძროხის ქონშიგა გაურიოს
და თაფლშიგა წამოადულოს, და ნელ თბილი თმასა და
წვერზედა შეიცხოს, ბეწვი გამოასხას.



ვინცა ხანთალას თავი გაუხურიტოს და კურკა
გამოაყრევენოს, და ზამბახტის ერბოთა აავსოს, და მერმე
ეს გახურეტილი პირი ცომითა დაუჭიროს და

ცეცხლზედა დაადვას, რომე ერთი პირი წამოუდუღდეს,
და გარდმოიღოს, და ესე ერბო თმასა და წვერზედა
შეიცხოს, დიდსა ხანსა თმა და წვერი აღარ
გაუთეთრდეს.

†

ვინცა შირლიღინის ერბო თმასა და წვერზედა
შეისვას, თმა და წვერი დაუგრძელოს.

†

საბრი მხურვალია და ხმელია, ვინცა საბრი დანაყოს
და ღვინითა გააყენოს და წვერსა და თმაზედა შეიცხოს,
თმის გაცვივნას მოარჩენს.

†

ვინცა ან გარეულის ტირიფითა და ან მარსინის
წყლითა, ქლაქურის წყაროს სუმბული მოხარშოს და
თავი და წვერი დაიბანოს, თმის გაცვივნას უშველოს.

†

ვინცა ვირის ქაჩაჩი ძმრით გალესოს და დაყრილსა
ტანზედა წაისვას და ისრე ხმელად მოისვას, მსხმო
უსათიოდ უშველოს.

†

ვინცა ზივთი ქერის ფქვილითა და პილპილითა
მოზილონ და მუწუქზედა დაიდვან, მუწუქი უშველოს.

†

წიგნი ზეთების შაზავებისა და ქიმის ქმნისა

58. გაკეთება ლახოსტაკისა

მოიტანე ოთხი წონა სპილენძი, პტყლად გაწეული.
სამი წონა გოგირდი. სპილენძის მეთერთმეტედი

მურდასანგი. გოგირდი და მურდასანგი ერთად დანაყე. სპილენძი, რა ერთათაც გინდოდეს დასჭერ. ერთი პირი დანაყილი გოგირდი ჩაყარე გამოუმწვარს თიხის ჭურჭელში და ერთი პირი სპილენძი დააწყევ სანამდინ გინდოდეს. პირი დაუჭირე, ქურაში ჩადევ, დაიწვას. გამოიღე, ლახოსტაკი იქნება, იხმარე.



59. . გაკეთება ლახოსტაკისა

მოიტანე ერთი წონა გოგირდი და ამ გოგირდის წონა ზირნიხი, წმინდად დანაყე, მერმე მოიტანე თხლათ და პტყლად გაწეული სპილენძი. ერთს თიხის ჭურჭელში ჯერ ის დანაყილი წამალი დაყარე, მერმე სპოლენძი დასდევ, კიდევ წამალი დააყარე, რა ერთიც გინდოდეს, მერმე პირიც დაუჭირე და გარშემო ტალახი შემოაკარ. აგურის გახურებულს ქურაში შედგი, რა დაიწვას, გამოიღე. ნახე, თუ გაკეთებულყოს, შეინახე, თუ არა და, ისევ მიწა შემოაკარ, ქურაში შედევ. ეს, რომ ხარჯვენ, ის ირის.



60. მეორე გაკეთება ლახოსტაკისა

მოიტანე გოგირდი. წმინდად დანაყე და, რაც ზეთი იყოს, ის ზეთი გათხელებულს სპილენძს ცალს პირზე წაუსვი და ზედ სქლად გოგირდი დააყარე. მერმე პირზე სინგური წმინდად დანაყე და ჯერ ზეთისხილის ზეთი წაუსვი და მერმე ეს დანაყილი სიმგური დააყარე და როგორც ის ლახოსტაკისა გაკეთება დამიწერია, იმავ რიგად ჭურჭელში ჩადგი, ქურაში შედევ. რა დაიწვას, გამოიღე. ამისას ასე იტყვიან, გამდნარს სპილენძში რომ ჩააგდო, ყალბი ოქრო იქნებაო.



97. სურნელი გუნდრუკისა

გუნდრუკის ყვავილი. გუნდრუკი ცოტად დანაყე. ერთს ჯამს, ან ერთს ჭურჭელში ჩაყარე. ქალღლი დაახვიე მოსქო, იმ ჭურჭელს პირზე ჩამოაცვი. ცეცხლი მიეც. რა სული გამოვიდეს, ქალღლი აიღე. ფთით, რაც მოედვას, მოსწმინდე, კიდევ დაფარე, კიდევ მოსწმინდე მანამღი, რომ გუნდრუკი დაიწვას. კაი სული აქვს, სურნელებად კარგია.



133-134¹. ნარინჯისა, თურინჯისა და ლიმონის არაყი და ზეთი

მოიტანე, ან გამხმარი, ან ნელლი, ნარინჯისა გინდა, თუ თურინჯისა, თუ ლიმონს ყვითელი ქერქი. ერთს ქვის ქვაბი იყოს, თუ მინისა ბადია იყოს, ან ქაშანურისა ბადია იყოს, რა ერთიც გინდოდეს, ჩაყარე. ზედ, რა ერთიც წყალი გინდოდეს, დაასხი. თავს დახურე. 7-8 დღეს დადგი. მერმე საარაყეს ქვაბში ჩაასხი, არაყსავითა გამოხადე. რა დენა გაათაოს, რაც გამოვიდეს, ნახე. ზეთი არაყის პირზე იქნება და მოხადე. ერთს რაშიმე ჩაასხი ზეთი, მაგრამ ქერქი ასე უნდა გასთალო, სითეთრე არა ჰქონდეს, ქალღლდსავით იყოს.

მოიტანე რომლისაც იმათგანის ქერქი გინდოდეს. თეთრი გარდასთაღე, წერილად დასჭერ. პირველისებრ ერთს რაშიმე ჩაყარე, წყალი დაასხი, მაგრამ ცოტა. 8 დღე ს უკან ყელმრუდს მინაში ჩაასხი. მოიტანე ერთი ქვაბი, ეს მინა, შემოუტალახავი, იმაში ჩადგი. მინა პირს მიეც. იმ ქვაბს ცეცხლი მიეც. ნელად ადუღე. რახან ქვაბს წყალი დააკლდებოდეს, სხვას, მოუდუღარს წყალს

დაუმატებდე. თუ ცივი დაასხი, გახეთქს. რა არაყი და ზეთი გამოვა, ზეთი მოხადე. ნარინჯისა, თუ თურინჯისა, თუ ლიმონისა ასე გამოიხდება ზეთი.



134. დარიჩინისა და სანდლის ზეთი ასე არის

მოიტანე რომელიც ამისგან გინდოდეს ასი მისხალი, ან ჭოპოსნით დაქლიბე და, ან დანით დაფხიკე. მოიტანე თექვსმეტი მისხალი ნუშის ზეთი, დაასხი და ხელით ასერიმე, რომ კარგად დასველდეს. ერთს მინაში ჩაასხი. პირი ჯერ ძროხის ბუშტით მოაკარ, პირს მერმე ტალახით დაუჭირე და ერთს, ან აბანოში დადგი, ან ასეთს ადგილს, რომ აბანოს მგზავსი იყოს, ერთს კვირას. მერმე ეს ყელმრუდს, მინა იყოს, თუ ამბუხი, ჩაყარე, ზედ ორჯელ წვიმის წყალი, არაყად გამოხდილი, ის დაასხი, რომ შუშა ნახევრად იყოს. არაყი გამოხადე, მაგრამ, რაშიაც არაყი გამიდიოდეს, იმ მინაში წყალი ჩაასხი. რა გამოვიდეს, ზეთი მოხადე. თუ დარიჩინი გინდა, დარიჩინის ზეთითა, თუ სანდლისა გიქნია, სანდლისა იქნება.



135. მიხაკისა ზეთი, ჯავზისა და ყოვლის თესლეულისა

მოიტანე 400 მისხალი მიხაკი, დაამსხვრივე წმინდათ, ნუ დანაყ. 7 მისხალი წყაროს წყალი ერთს რაშიმე ჩაასხი და შიგ მიხაკი ჩაყარე, არივე. 6-7 დღეს ეს მინა აბანოში ჩადგი, ან ცხელს წყალში. მერმე მოიტანე, საარაყეს ქვაბში ჩაასხი, რომ მოკალული იყოს, ან წმინდა. 16 მისხალი დართული დანაყე და შიგ ჩაყარე. გამოხადე სხვაბსავით. ამისგან მოხადე 48

მისხალი ზეთი, მოხადე და შეინახე. ამგვარედვე გამოიხდება ჯავზის ყვავილის ზეთი, ანისულისა, კამისა, ქინძისა, პილპილისა, ყოვლის თესლისა ზეთი ამგვარად გამოიხდება.

ჯავზისა ასეც იქნება. ჯავზის ზეთი კვერცხსავითაც გამოიხდება. დასწვი, მერმე ჭახრაკი მოუჭირე. სანთელსავით ზეთი გამოვა, მაგრამ ჯავზი კარგი უნდა იყოს.



139. გაკეთება ამბრის პოროშოკისა თუ მტერისა

მოიტანე კარგი ამბარი 4 შკრუპულა, რომელ არს 1 შკრუპულა – 1 მისხალი და მისხლის 1/8, ნახევარი შკრუპულა კაი მუშკი, ერთი შკრუპულა კარგი შაქარი. მარმარილოს ჰვეანში დანაყე სამივ და კარგად გალესე და ცოტ-ცოტას ვარდის წყალს ზედ დაასხემდე. მანამდი ლესე, სანამდინ ფქვილსავით შეიქნას. რამდონსაც ლესავ, უკეთესს ხასიათს გამოიჩინს და კაცს უფრო არგებს. მერმე თავს დახურე როდინს, რა შეშრეს, მერმე კიდევ ვარდისწყალი დაასხი და ლესე. კიდევ დააცალე შეშრეს. მერმე, ან ვერცხლის კოლოფში, ან მინაში შეინახე, რომ პირსა მაგრა მოკრული იყოს. ეს არგებს კაცის აგებულებას, ძალს მისცემს, კაცს გაამხიარულებს. ამისი ჭამა: ერთი თეთრის მუხუდოს ოდენ უნდა ჩაყლაპო, ზედ რენწკა, თუ ცოტა ღვინო დალიო.



140. გაკეთება ვარდის ზეთისა

ვარდის ფურცელი ნედლი აიღე ბევრი, დანაყე ავანში. მერე ის მინაში ჩაყარე, ზედ ცოტა მოთბო წყალი დაასხი და ერთი მუჭი მარილი და ერთი მუჭი

გვარჯილა ჩაყარე. ერთი კვირა ისე იდგეს, მერმე ცოტა ფივის თხლე მიეც. ზედ ამდენი წყალი დაასხი, რომ ვარდის ფურცელი შიგ იარებოდეს. მანამდინ დააცალე, სანამდინ ზეთი ბრკესავით გააბემდეს. მერმე ის გაბმული დახეთქას დაიწყებს. მერმე ამბუხი დადგი და გამოხადე. ამისგან გამოვა ასეთი არაყი, როგორც მართალს არაყს ცეცხლი მოეკიდება, ისე ამას. მერმე ის წმინდას ამბუხში ჩაასხი, გამოხადე, ვარდის ზეთი იქნება.



141. გაკეთება ამბროს სულისა

მოიტანე კარგი ამბარი ნახევარ უნცი (1 უნცი 7 მისხალია), ერთი ღრაქმა კაი მუშკი (ღრაქმა მისხლის 1/8 ნაკლებია), და კარგად გალესე, მინაში ჩაყარე და ზედ 4 უნცი ვარდის ზეთი დაასხი და თავს მოჰკარ ასე რომ სული არ გამოვიდეს. თბილს ადგილს დადგი 3 დღეს და ღამეს, მერმე იქიღამ სხვას მინაში ჩამოწურე და იქნების ამბროს სული.

ამისი ხასიათი ეს არის. კაცს თავისტკივილს გარდაუგდებს, გაამხიარულებს, აგუბულებას ძალს მისცემს. ან 10 წვეთი, ან 12. 1 ფიალას ოტკაში ჩააწვეთე და დალევდე, გინა ყავაში, გინა ჩაიში.



142. თართარის ზეთი

აილევ თეთრი და კარგი თართარი, რამდონიც გინდა. წმინდად დანაყე. მას უკან გასცერ და ერთს შუშაში ჩაყარე. მერმე ძველი და ძალიანი ღვინო ამდონი ჩაასხი, 4 თითი თართარზედ ზედ იდგეს. მერმე 4 დღე გაუშვი და მერმე ერთს, ცოტად მიღმრუდს მინაში გამოხადე. მერმე პირი მოუგლისე და ცეცხლი ცოტად, თანდათან

მოუმატე. უწინ წყალი გამოვა, მერმე ზეთი. რახან რომ ნახო ზეთი გამოდიოდეს, გამოსული წყალი გარდაასხი. მერმე ისევ ჭურჭელს შეუდგი. ისევ დაუცვე, თიხით შემოგლისე, სული არ გამოვიდეს. მას უკან ცეცხლი მოუმატე, სანამდინ ზეთი გამოდიოდეს და ეს ზეთი სიცხისათვის თუ ზაფრისათვის კარგი არის. ხუთი წვეთი დარიჩინის წყალში გაურიოს და დალიოს სილისათვის. და ყოვლის რიგის შარბათში 2 წვეთი გაურიოს და დალიოს და ავის მუწუკისათვის კარგი არის.



145. გოგირდის ზეთი

ერთი წილი დანაყილი გოგირდი, ნახევარ წილი გაუნელებელი კირი, მესამედი წილი ვერცხლისწყლის მარილი – სამივე ერთათ გაურიე ესები. მინაში გამოხადე ეს ზეთი. მუწუკისათვის და დაკოდლისათვის უკეთესი არ იქნება.



151. ტანის გასათეთრებელი წყალი

აიღე ნახევარ მინა წვიმის წყალი, მერმე ისრიმის წყლით შეავსე და მერმე მოადუდე, მანამდინ ნახევარი დაიშროს. მერმე ცივი ლიმონის წყლით შეავსე. რახან მოდულდეს, მერმე ცეცხლიდამ გარდმოიდე, რომ გაცივდეს. 2 კვერცხის ცილა გათქვიფე, შიგ გაურივე და დაჭირებაში მოიხმარე.



152. კეისრის ზეთი, წვერისა და ტანის სული

აიღე 3 მისხალი ყომრალი ქარვა, რომ სუნი

უდიოდეს. წმინდად დაკეპე. 8 ნაჭერი კნდრუკი, რომ სომხურად ჰქვიან, ესეც წმინდად დაკეფე. მერმე ეს ორივე ერთს შუშაში ჩაყარე. ხუთი სტილი ვარდის წყლისა, კიდევ 2 ლიტრა ვარდის კუკურის ზეთი იმავე მინაში გაურიე და 8 მიხაკი მსხვილად დანაყილი, და 1 მისხალი კარგი ღარიჩინი გაურიე. რა რომ ესენი შუშაში ჩაპყარო, მერმე კარგა სანთლით დაუცევე. მას უკან ერთი მჩვარი შემოახვივე. მერმე ჩონჩორიკს ქვეშ ჩაღე, რომ თბილად იყოს. 8 ღღეს შიგ გაუშვი, მერმე ამოიღე და ერთს ქაშანურის ქვაბში ჩაასხი. მერმე ცოტათ თანდათან მოადლე. ორი საათი იდულოს, მერმე გარდმოიღე და გააცივე. მერმე ერთის ვერცხლის კოვზით, ან მინის ნატეხით ზეთი მოხადე და ერთს მინაში ჩაასხი და მას უკან მუშკი ძიბეთი, რამთონიც გინდოდეს, გაურიე მერმე თბილს მზეში დაღვი, რამდენიც ხანი გინდოდეს. მერმე პირი კარგად დაუცევე სანთლით და ქაღალდით, რომ არ გაქრეს. ამ ზეთის ხასიათი ეს არის, რომელიც სულს მისცემს თუ ტანისამოსს, თუ სახლს, თუ ქვეშაგებს, თუ ქალს, თუ პირს, თუ ხელს, თუ ტვინისათვის, თუ ჭკუისათვის, თუ ჟამისათვის. მერმე იმისი ნაძირალი ერთს ვაშლსავით გააკეთე და ის ვაშლი ხელში დაიჭირე. უკეთესი არ იქნება. ამისი სახელი იმპერატორის ზეთი ჰქვიან, იმპერატორის საკადრისი არის.



153. სურნელი წყალი

12 ლიტრა დამასხის ვარდის კუკურის წყალი, რომ პატრების საყდარში არის; ყიზილბაშში არის ლევანდის წყალი, მიხაკ-ღარიჩინი თითო ღრამი, თხელი კანრუკი, სომხურ ჰქვიან, რომელს საკმელში გაურევენ, ილი,

მუშკი, ქარვა ნახევარ მისხალი, 1 ხმელი ნარინჯის ქერქი, სანდალი, რომ სული უდიოდეს ორი დრამი, ბენჯვინი მისხალი ერთი, მერმე ერთს შუშაში ჩაასხი და 15 დღე გაუშვი პირს კარგად დაუცვე. მერმე ერთს მინაში გამოხადე, არა თუ ცეცხლით, ერთი ქვაბი წყლით შეავსე, მერმე გამოსახდელი მინა შიგ ჩადე, თან წყალი იდულოს და თან წყალი გამოვა და რახან კარგად გამოიხადოს, მერმე პირი კარგა დაუცვე და 15 დღეს კიდევ მზეში დადგი. გათავდება, სურნელსავით შეინახვენ.

კვერცხის ყვითლის ზეთი აიღე, რამთონიც შენ გინდოდეს, მაგრად შოხარშული. მერმე ერთს აქანდაზხედ ცეცხლზე ხანდახან აურიოს. თანდათან ცეცხლი მოუმატე, მანამდის გაშავდეს და რახან გაშავდება, ქაფს მოიგდებს. მერმე ზეთი გამოვა, მაგრამ მანამდინ ზეთი გამოვიდეს, მუდამ ურიე. ამ ზეთის ხასიათი — ქარისათვის უკეთესი არ იქნება.



154. ლადანის ზეთი

აიღე რამდონიც გინდოდეს წმინდა ლადანა, დასჭერ და ერთს სველს ქვაბში ჩაყარე, თუ თიხისა არის, უკეთესია. მერმე 1 ლიტრა ვარდის წყალი გაურიე, ფრანგული ლიტრა, და სტილნახევარი ნუშის ზეთი. მერმე ზარფუში კარგად დაბურე, სუნი არ გამოვიდეს და შემოუგლისე. რა შემოგლესილი გახმეს, ცოტა ცეცხლზე შემოდგი 3 საათამდის. მას უკან ცეცხლიდამ გარდმოიღე. რომ გაცივდეს, პირს მოხადე. მერმე წმინდა მინაში ჩაასხი და ცოტა დამწვარი საბი გაურიე, რომ უკეთ შეინახოს.



155. მიხაკის ზეთი, მუშკის, დარიჩინისა, გუნდრუკისა, ქარვისა და ჯავზისა.

აიღე მიხაკი, რამდენიც გინდოდეს, დანაყილი და მერმე ვარდის წყალში დაალბევ. მერმე ნუში დანით გაფცქვენ, წმინდად დასჭერ, იმ ვარდის წყალში ჩაყარე. რომ ნახო, ნუში შიგ დალბეს, ამოიღე და მზეში გააშრევ. მერმე ისევ შიგ ჩაყარე, 4-ჯერ ასე ჰქენ, ან 5-ჯერ. მერმე გასწურე, მანამდის ზეთი გამოვიდეს. მერმე ერთს მინაში პირდაცობილი შეინახე. ამგვარად, თუ გინდა, მუშკისას, დარიჩინისას და გუნდრუკისა ზეთი ამგვარად გააკეთებ და, თუ გინდა ქარვის ზეთი და ჯავზისაც ამგვარად გააკეთებ.

156. ჯალასიმის ზეთი

აიღე წმინდად დანაყილი ნუში, ჯალასიმის ყვავილი, რამდონიც გინდოდეს, აურიე. ერთს ნამიან ადგილში შეინახე 10 დღეს. მერმე გაწურე საქაჯავში, ამგვარად ყოველის რიგის ყვავილის ზეთი გამოვა.

157. თარქოს ზეთი

ერთი ლიტრა წმინდა თარქო აიღე და წმინდად დასჭერ. მერმე ერთს ქვაბში, რომ სქელი და დაუმწვარი იყოს, ჩაყარე. ქვაბი შეივსოს. მერმე ზარფუში დაბურე, ისიც თიხისა იყოს. მერმე მავთულით კარგა შეჰკარ. მერმე თიხით პირი შემოუგლისე, რომ არ გასქდეს. მაგრამ თუ გინდა, სულ მთლათ ქვაბი თიხაში ჩაჰფალ, რომ არ გასქდეს. და რა გაშრეს, მერმე ქურაში შესდევ, პირზედ დასდევ, ალი ეცეს. მერმე გამოიღე, თარქო

ამოიღე და მარმარილოს ქვაზედ დაფქვი. მალე უნდე, ჰავა არ ეცეს. მერმე ერთს ჩანთაში ჩაყარე, კუნკულსავით რომ იყოს. მერმე ერთს ქაშანურის ჭურჭელი ქვეშ შეუღევით, ზეთი შიგ იწვეთოს, მაგრამ ჭურჭელი ჩანთაზე შექარ და მერმე ორმოში ჩაჰკიდე, რომ ერთს ადღს წყალსზეთ იყოს და კედელს ახლო იყოს, მეგრამ კედელს არ ეცეს. 25 დღეს უკან ამოიღე, მერმე ნახე, თუ ზეთი გამოდიოდეს, მაშინ ერთს ნამიან ადგილს ჩამოჰკიდე. ერთს კუთხეში, რომ ჰავა არ ეცეს და არც ქარი. მანამდინ ზეთი გამოდიოდეს, გაუშვი, მერმე პარკში დარჩომილი აიღე, მინაში გამოხადე. უწინ ცოტა ცეცხლით, მერმე მოუმატე, ზეთი გამოვიდეს და უწინდელს ზეთს და ამ გამოხდილს ზეთს ერთად ნუ გაურევ და ერთს მინაში კარგად პირდაცობილი შეინახე. ეს ზეთი ტანისა და კბილების გასათეთრებლად და რა კაცს დაღმეჭილი პირი ჰქონდეს ამისთვის კარგია, ვაჟკაცის პირსავით გაუხდის და ამ ზეთისაგან სამი წვეთი წვენით დალიოს, ან ღვინით. პირიღამ კარგი სუნი ამოედინება და იშტაზე მოიყვანს წამხდარს სტომაქს გაამთელებს და ვერცხლისწყალს დააყენებს.

†

165. ნარინჯის ყვავილის ზეთი

აიღე რამდენიც გინდა ნარინჯის ყვავილი. მერმე ერთს თიხის ჭურჭელში რომ ცეცხლი გასძლოს, ჩადე. მერმე 1 ლიტრა ნუშის ზეთი და ცოტა შაბიცა და 3 ხორბლის წონა ქარვა, 6 ხორბლის მარცვლის წონა მუშკი. 6 წონა ქაფური. უწინ მუშკი ხელით კარვა დასჭყლიტე. მერმე ქაფური 1 მარცვლის ბაკლის ოდენს შარში დაფშვენ. მერმე ესენი ცოტა ვარდის წყლით აურიე. მერმე 20 დღეს მზეზე დადგი. მერმე გასწურე

კარგათ. მერმე ხელახლა მზეში დადევ. მერმე
გათავდება. თუ მინაში ჩაასხამ უკეთესი არის. ამისთანა
სურნელი ზეთი არ იქნება. სახელმწიფო ზეთი არის.

†

209. მალამო წყლულისა

ერთი წილი სელის ზეთი, ერთი წილი თეთრი
სანთელი, 1 წილი თხის კარგი კარაქი ერთად წმინდას
ქვაბში მოადუღე, გააცივე, შეინახე. რასაც დაჭრილს, თუ
მუწუკთაგან წყლულს რომ დაადვა, კარგაც გასწმენდს
და გაამთელებს.

†

210. კბილისა და ღრძილის წამალი

ძმარი ცხარი ღვინისა, რაც გინდოდეს, საკმელი
მისხალი 3, მკვარი მისხალი 5, ნიორი კბილი 2,
ქოთანში ჩაყარე, პირი მოუგლისე, ცოტა ხანს ადუღე.
მესამედამდი დაიდულოს, გააციე. პირში ჩაიყარე.
იღარღარე კარგა ხანს. კბილებს გაამაგრებს. ღრძილს
გასწმენდს, ნუზლას გამოიღებს, კბილს გაათეთრებს.

†

211. შავად თმის საღებავი

გუნდა მისხალი (თუ რა ერთიც გინდა წილი) 5,
სპილენძის ფერფლი (კვერისცემაში რომ გასცვივდება)
მისხალი 2 1/2, მიხაკი მეთელი ჩაყარე როდინში. ცოტა
შაბი მიეცი. დანაყე და ასე ლესე, ფქვილსავით შეიქნეს.
რასაც ბევრს ლესავ, ის სჯობს. მერმე ინასავით
დაალბევ. მწვეე გააშავებს თეთრს ბალანს.

248. კბილისა და ღრძილის წამალი

3 მისხალი გოგირდისსული, 8 ყირათი დაუმწვარი შაბი, 32 მისხალი ყულყანდი გოგირდის სულში ასე გალესე, შაბი რომ გაწყალდეს. მერმე ყულყანდი ცოტ-ცოტა იმაში გალესე და შეინახე. კბილი გეძროდეს, თუ გაშავდეს, მოიტანე ამისი 1 მისხალი. კარგა კბილსა და ღრძილებზედ წაისვი. მერმე შაბის წყალი გამდნარი გაათბე, იმითი გამოირეცხე, მერმე წყალი გამოივლე ერთს კვირას ასე ჰქენ, დიად არგებს.



252. პოლეტიკს ბალსამის შემზადება, რომელ არს ფრანგული ლადდანის მგზავსი სურნელება

ჯავზის ზეთი მისხალი 2, თეთრი წმინდა სანთელი $\frac{1}{8}$, ან მისხლის ნაკლები – ეს ცეცხლზედ გააღწევ – ქალაღის ნახშირი დანაყილი და გაცრილი ჩაყარე და აურიე, ფერი რომ მისცეს და ცოტად გაამაგროს. მერმე ეს ქვემოწერილი ზეთები აურიე: პიტნის ზეთი 3 წვეთი, ცერეცოს ზეთის წვეთი 3, ქარვის ზეთი წვეთი 3, ლევენდივის ზეთი წვეთი 5, როზმარინის ზეთი წვეთი 5, ვარდის ზეთი წვეთი 20, მიხაკის ზეთი წვეთი 15, დარიჩინის ზეთი წვეთი 30, მუშკი კარგი წმინდად დანაყილი მისხალი 1 – ესენი კარგად აურიე, დაზილე და სურნელება იქნება, ყუათიანი და კარგი სურნელი. ავატყოფაში რომ შევიდეს, წაისვას, არ შეეყრება. მუცელი სიგრილით სტკიოდეს, ჭიპზედ მოისვას, არგებს.



269. ლახოსტაკი

სპილენძის ფერფლი, კვერისაგან ნაცემობით ჩამოცვივებული, მოკრიფე, მოიტანე, რაშიაც გაურევე, ლახოსტაკობას იქს.



179. ქაჩალის წამალი

პირველად, რაც ქაჩალს თავზედ ბალანი ან თმა ესხას, სულ კარგად წმინდად დაგლიჯე, რომ აღარ დარჩეს რა. მერმე მოიტანე ხმელი შინდის კერკი და კარგად წმინდად დაფქვი. მერმე ფქვილსა და ძმარში ამოუკიდე ცომსავითა და ზედ ქაჩალზე წასცხე. 24 უამს ზედ ჰქონდეს. მერმე ის აიღე და მეორე წასცხე, მერმე — მესამედაც. ეშველება და მოარჩენს.

შეძენის

ბბათულხუზარა — ბუტმის ნაყოფი (იხ. ბუტმა)

აბიყუყა — თავისა და ყურის ტკივილისა, შაკიკის, თვალის სისუსტის, ცხვირის სისველის, თავში სიხმელის წინააღდეგი საშუალება. ყოყიას აბის შედგენილობა:

საბრი უსყუთი

მუყლი აზრაცი

აბსანთინი

მასტაქი

საყამონია

შაჰმი ჰანტალი

იარაი ფეყრა

თურბუთი

ვარდი 1 დანგი

—1,5 დანგი

დანაყეთ, გაცართ, ნიახურის წვენით

დაარგვალეთ. /წ.ს./

აბულასი — მოცხარი — *Ribes rubrum et nigrum* /უ.კ./

მოცხარი — *Ribes* / ა.მ. /

მოცხარი — ხუნწი — *Ribes rubrum* L.

შავი მოცხარი — *Ribes nigrum* L.,

Sexifragaceae -ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ

ქართულ სამედიცინო წყაროებში ეს მცენარე

გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: რიბეზი,

აბულასი, აბალისი, აბალასი /ნ.წ./

Таранушка — *Ribes diacantha* — მოცხარა/ი.ბ./

აბულღარა || აბულღარი || აბალღარი — „დაფნისა

თესლი“, ნაყოფი ან აბი.

Laurus nobilis L. -ისა. დაფნა. იგივე

ჰაბალღარი

შდრ. ღარი — დაფნა, აბალ-მარცვალი /ზ.ფ./

აქშნანი მრცხელთა — 1) *Salsola* (ფრ. *soude*) ყარღანი

(სოდის შემცველი მცენარეა, მისი დაწვით მიღებული ნაცარი ძირითადად სოდაა: Na_2CO_3) / ზ.ფ. /

2) ავშანი – *Artemisia maritima* L. / ი. დ. /

ავშანი – *Artemisia phyllostachys* (Boiss) G. Wer (= *A. tragiensis* Willd. p.p. *A. han-seniana* et. *A. meyeriana* Grossh) / ა.მ. /

კალია – *Salsola crassa* M.B.

Chenopodiaceae-ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება ავშანი, რომელიც „სამკურნალო

წიგნისათვის“ დართულ ლექსიკონში

განმარტებულია: ავშანი მრცხელთა –

ყორლანი (სოდის შემცველი მცენარეა), მისი

დაწვით მიღებული ნაცარი ძირითადად

სოდაა – Na_2CO_3 , მაშასადამე, ავშანიც

Salsola -ს გვარის უნდა იყოს, მაგრამ ავშანი

Artemisia-ა. /ნ.წ./

Dirmana Turki – *Artemisia maritima* Linn –

Compositae. /იუნ./

აზად დრახთი – ირან. აზად დირეხტ. საკ.

თავისუფალი ხე. ნატიფი, ლამაზი ხე,

სუნბული. თეთრი მძივი. *Angelica moschata*.

/წ. ს./

Азад дарахт – *Melia azedarach* L. /ბერ./

აკარკარა || აკირკარა || აკარკარჰა || აყირყარა ||

აყარყარა – „ქარქვეტას ძირი“

Hippomarathrum crispum, ქარქვეტა.

„გაბაონის ძირია“ /ზ.ფ./

იხ. აყარყარა /უ.კ./

აკაცია – *Acacia*. არაბული აკაცია – *Acacia arabica*

/მ. ლ./

Ôakacia — ამ სახელით ძველ
 საქართველოში იხსენიებდნენ *Acacia sp.*,
 რომელიც Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის.
 ეს აფრიკული აკაციების ის ჯგუფია,
 რომელთაგან მიიღება არაბული გუმფისი, ანუ
 გუმი-არაბიკი. ეს გუმფისი ევროპაში
 შემოჰქონდათ არაბეთის გზით და ამის გამო
 მან მიიღო სახელწოდება — არაბული
 გუმფისი. ძველ საქართველოში მას
 იხსენიებენ: გომიზი არაბი, სამყი არაბი,
 კაკია. თანამედროვე მედიცინაში არაბული
 გუმფისის შემცველად იხმარება გარგარის
 გომიზი, ალუბლის წებო და უფრო ხშირად
 თეთრი აკაციის გომიზი. / წ. ლ. /
 Keekar (Mughilan) _ *Acacia arabica* Linn _
 Leguminosae.

Mughilan _ *Acacia arabica* Willd _
 Leguminosae. / იუნ. /

Акакиѳа _ *Acacia arabica* Willd / ბერ. /

ალაქი — კევი. *Resina mastix* მცენარისაგან *Pistacia*
lentiscus L.

ალაქი ნაწური — კევის ნაწური / წ. ს. /

ალვაი — სურნელოვანი ნივთიერება — მანანა. ნახ.
 შირაზიშითი / წ.ს. /

ალთაღობისი — არაბ. ალთაღობის. ატმის გომიზი (ფისი,
 წებო),

Gummi persica / წ.ს. /

ალილა — (სპ. ჰალილა) იგივე ქართ. ალილეჩა —
 სამკურნალო ბარისპირა

Betonica officinalis L. / უ.კ. /

ალილა — სამკურნალო ბარისპირა —

Betonica officinalis L / ა.მ. /

ალილა – ძვ. ქართულ სამედიცინო წყაროებში გვხვდება: ალილა, ჰალილეი, დელი ალილა, ყირმიზი ალილა, ალილა ქუაბული, ალილა კვერცხის გული ან ალილა ზარდი, შავი ალილა – სარუ ჰალილა, ინდური ალილა, ალილეჩი, ხალილაგი. ძველ ხელნაწერ ლექსიკონებში გვხვდებით შემდეგნაირ განმარტებებს: „მრობალანი ბელლერიცა ალილა ალილეი

ჰალილეჩა – Myrobalani indicus

ბალილაჩა _ Myrobalani bellericus

ამალაჩა __ Myrobalani emblicus

ყვითელი ჰალილა _ Myrobalani citrinus

ჰალილა ქაბული _ Myrobalani chebulus

ბეილი, როდესაც იგი აღწერს ინდოეთის ტერმინალიებს, ამბობს, რომ ტერმინალიების ნაყოფი მრობალანის სახელით არის ცნობილი. ამიტომ შესაძლებელია ალილას ძველად ჩვენში ტერმინალიების ნაყოფს უწოდებდნენ. / ნ.წ. /

Букиш _ Phylanthus emplica _ ალილა, ჰალდა – ინდური ზეა, მოშავო. გემო აქვს მწებებელი. იხმარების სამკურნალო წამალთა შინა. სახელისა ქვეშე Мирабалан / ი.ბ. / Halela (Siyah, Zard, Kabuli)_ Terminalia chebula

Retz. _ Combretaceae /იუნ/

Халиладж _ Terminalia chebula Retz. ,
чёрные миробиланы

T. citrina Roxb _ желтые миробиланы

T. horrida stend. _ ინდური მირობილანი /ბერ/

აღიქირუმი – ელიქირუმი – მასტაქი – Resina mastix
L. / უ.კ. /

დანამასტაქი – Pistacia lentiscus L. /ა.მ/

დანამასტაქი – Pistacia lentiscus L.

Anacardiaceae L. -ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ეს მცენარე უმთავრესად გვხვდება მასტაქის ან ელიქირუმის სახელწოდებით. ზაზა

ფანასკერტელის 43-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „ელიქირუმი მასტაქსა ჰქუიან“. /ნ.წ/

Мастика – ბერძულია. მასტაქი,

დანამასტაქი, მასტაქ. / ი.ბ. /

Mastagi _ Pistacia lentiscus linn

Anacardiaceae / იუნ. /

ამარტაი – ქარვა ქაპრაბა; ზირნიხი. / წ.ს. /

ამბრა – (რუხი ამბრა). ამბრას პოულობენ სხვადასხვა ზომის ნატეხების სახით ზღვის ზედაპირზე, ტროპიკებში. აგრეთვე, კაშალოტის შიგნეულობასა და გამონაყოფში (ექსკრემენტში). იგი არის ცხიმოვანი კონსისტენციის, ცვილისებრი მასა, ადვილად იფხვნება. ხელში დიდხანს ჭერისას რბილდება და ხდება მოქნილი. ფერი ფერფლისფერი-რუხი თეთრი, წითელი და მოშავო ზოლებითა და ლაქებით. გემო არა აქვს. სუნი სუსტი, მაგრამ უძლიერდება ნახშირმჟავა კალიუმის დამატებით და ნაყენებში. თითქმის მთლიანად იხსნება სპირტში, ეთერში, ცხიმოვან და ეთეროვან

ზეთებში. / ფრიდ. /

Амбра — ემბრა, ამბრა, სამბარ. რომელიცა
საკმეველია კეთილსურნელოვანი. ლექსი ესე
წარმოებს არაბულის ლექსისაგან ემბრა,
რომელიცა არს არსება სუნოვანი, ადვილად
მწველი ანუ აღსაგზნებელი, მსუბუქი,
პოხიერი, ფერად ყომრალი, შინაგან კერძოდ
ჭრელი, თეთრად მოელვარე კნინების
წინწკლებითა. იხმარების ვითა დასაკმეველად,
აგრეთვე წამალთა შინა შინაგან კერძოდ
მისაღებელთა. ჰპოებენ ზღუათა შინა და
კიდეთა ზედა ზღვისათა ორისავე
ინდოეთისათა. / ი.ბ. /

Amber Ash _ hab _ Ambra grasea / იუნ. /

Амбра _ ამბრა — ცვილისებური ნივთიერება,
წარმოქმნილი კაშალოტის ნაწლავებში
(Physeter macrocephalus L.) წყნარი და
ინდოეთის ოკეანეების ნაპირებზე. / ბერ. /

ამილა — არ. სპ. ამილა-მრობალანი, ანუ ტერმინალია,
ზეთიანი თესლის მქონე მცენარე,
იციხის ინდოეთში, მისი თესლიანი ნაყოფი
იხმარება როგორც ნუში. / დ.ბ. / იხ. ალილა.

ამლაჯი — მუკაშარი, არაბ. მუყაშშარ — საკ.
გაფრცქვნილი, ჩენჩოშემოცლილი (ნაყოფი). აქ
კი — დაღერლილი ცერცვის, ან მუხუდოს
გული, ჩენჩოშემოცლილი ცერცვის ან
მუხუდოს ღერლილი, საზოგადოდ. / წ.ს. /

Амлаж _ Phyllanthus emblica L. / ბერ. /

ამრო — „პირველად დანაყე ამროს ძირი“ — უცნობია
/ზ.ფ./

ანაკვეთი — ჰურის ქატო — Furfur trifici ან

- ქერის ქატო – *Furfur horbeoli* / დ.ბ. /
- ანგიზონი – მხურვალე და ხმელი წამალია. ნახ.
ანჟიდონი, ანაჟიდონი – მწვანელია, ქარიანი
საჭმელი. / უ.კ. /
- ანემონი – *Ветреница* /ბ.დრ./
Ветреница пучковая _ ფრინტა – *Anemone fasciculata* L. (= *A. narcissiflora* Ldb.) / ა.მ. /
Щака ик ан - нуман _ *Anemone coronaria* L.
/ბერ. /
- ანისონი – იგივე ანისუნი, ან ანისული, (არ. ანის
ცერეცო) – *Pimpinella anisum* L. / უ.კ./
ანისული – *Anisum vulgare*, Gaertn
(= *Pimpinella anisum* L.) / ა.მ. /
ანისული – რომელსაც ცერეცოსაც უწოდებენ
– *Pimpinella anisum* Linn /6.წ./
Анис – ბერძულია. ანისი, ანისული –
Pimpinella anisum / ი.ბ. /
Anissoon _ *Pimpinella anisum* Linn _ Umbel
liferae /იუნ./
Анисун _ *Pimpinella anisum* L. /ბერ. /
- ანძრუთი – ანძრუთი – ხორცის წებო *Jelatinae* /უ.კ./
Anzaroot _ *Astragalus sarcacola* Dymock _
Leguminosae /იუნ. /
Анзарут _ *Astragalus sarcocolla* Dym. или
Penaea mucronata L. / ბერ. /
- აპოხტი – შაშხი, ღორი, ხმელი ხორცი / უ.კ. /
- არდუჯი – *Amomum zingiber* L. / დ.ბ. /
Индирь _ *Amomum zingiber* _ კოჭა,
ზანჯაფილ. / ი.ბ. / იხ. ზანჯაბილი.
- არწივის ხე – ალოეს ხე – *Aquilaria agallocha* Roxb./ა.მ./
Ood hindi (Agar) _ *Aquilaria agallocha* Roxb _

Thimeliaceae / იუნ. /

Агаллуджи _ Aquilaria agallocha Roxb / ავიც /

Агаллуджун _ Aquilaria agallocha Roxb / ბერ /

არჯასპი – (სომხ. არჯასპ.) – Ferrum sulfuricum. _

ძალა, შაბიამანი. / უ.კ /

არჯასპი – იხ. ვახტანგ VI, გვ. 221

ას არი – ასა არაი – Cyclamen europaeum L. _

კოჩივარდა / წ.ს. /

ევროპული ყოჩივარდა – Cyclamen

europaeum L / ა.მ /

კოჩივარდა, ყოჩივარდა – Cyclamen ibericum

Stew., Primulaceae -ს ოჯახს ეკუთვნის / ნ.წ /

ასლისუსი – ძირტკბილას ძირი / უ.კ. /

ძირტკბილა – Glycyrrhiza glabra L. / ა.მ. /

ძირტკბილა – Glycyrrhiza glabra L.,

Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ

ქართულ სამედიცინო წყაროებში ძირთაფლას

და მეიას სახელით არის ცნობილი. გვხვდება,

აგრეთვე, ქასნი, რომელსაც ძირტკბილას

ფესვიდან, შაქრიდან და არაბული

გუმფისიდან ამზადებდნენ. ფესვს –

ასლისური ეწოდება / ნ.წ. /

რომლისაგან გამოსწურვენ წვეენსა შავსა,

წებოანსა, ტკბილსა, ვ(ით)ა ძირი

Солодковой корень _ Glycyrrhiza glabra –

ძირტკბილა. გემო აქვს ძირსა მისსა ტკბილი,,

ეგრეთვე წვენიცა დამაბრჯგუებელ არიან

ნოტიოთა. / ი.ბ. /

Rubb-us- soos _ _ Glycyrrhiza glabra Linn _

Leguminosae / იუნ. /

ასპანახი – ისპანახი – Spinacia tetrandra Stev / უ.კ. /

ისპანახი – *Spinacia oleracea* / ა.მ. /
 ისპანახი – სპანბელი – *Spinacia oleracea* L.
 Chenopodiaceae -ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ
 ქართულ წერილობით წყაროებში ისპანახს
 ასპანახს, შატს უწოდებდნენ, ისპანახის
 თესლს კი – ჰურფას / ნ.წ. /
 Шпинат – *Spinacia oleracea* – ისპანახი/ი.ბ./

ასფიომი – ნ. ბაზრაცხუნი.

ატრეფული – ათრაფილი ან ითრიფილი – *Trifolium repens* L. /უ.კ. /

Trifolium repens L. – თეთრი სამყურა /ა.მ./
 ათრიფილი – სამყურა – *Trifolium repens* L.
 , Leguminosae _ს ოჯახს ეკუთვნის. ზოგჯერ
 გვხვდება ათრიფილი საღირი ე.ი.
 წერილფოთლიანი სამყურა – *Trifolium filifolium* L. /ნ.წ./

Дятельник ანუ дятловник – *Trifolium repens* – კურდღლის თათა. ტოვშან იონჯასი /ი.ბ./

აფთიმონი (ბალახია) – აბრეშუმა, ანუ იალსაჩი –
Cuscuta L. – მხურვალე და ხმელი
 წამალია, – *Cuscuta europea* L. / უ.კ. /
 აფთიმონი – აბრეშუმა – *Cuscuta* / ა.მ. /
 აფთიმონი – აბრეშუმა, გველის-ლობე, –
Cuscuta europaea Linn., Convolvulaceae -ს
 ეკუთვნის /ნ.წ./

Повилица – *Cuscuta europaea* – აბრეშუმა/ი.ბ./

Афитимон – *Cuscuta epithimum* Linn.,
 Convolvulaceae /იუნ./

Афитимун – *Cuscuta epithimum* Murr /ბერ./

აფიონი – ოპიუმი

აფიონის ნაგობი – ოპიუმის ნახარში /უ.კ/
ხაშხაში – Papaver somniferum L. /ა.მ/
ყაყაჩო – ხაშხაში – Papaver somniferum L.,
papaveraceae-ს ოჯახს ეკუთვნის. /6.წ/

Мак – Papaver somniferum – ლაულაფი,
ხაშხაში, ხაშხაშ. /ი.ბ/

Afyun – Papaver samniferum Linn.

– Papaveraceae /იუნ./

Афиун – Papaver somniferum L. /ბერ/

აფსანთინი (ბალახია) – აბზინდა – Artemisia absinthium L. /უ.კ/

აბზინდა – Artemisia absinthium L. /ა.მ/

აფსინთი – ავშანი – აბზინდა – Artemisia absinthium L. – Compositae /6.წ/

Полынь – Artemisia absinthium – აბზინტა
/ი.ბ/

Afsanteen – Artemisia absinthium Linn –
Compositae / იუნ. /

Афсинтин – Artemisia absinthium L. / ბერ. /

აქლილ მალიქი – ან აქლილმელიქი (არ. სპ.
აქლილმალიქ) ყვავის ჭანგა (ბალ.) საკ.
მეფის გვირგვინა, იგივე არდი. აქლილ
მალიქი „ბალახსა კავივით გამოეხმის“. (სპ.
იქლილ-ალ-მალიქ) – ყვითელი ძიძო –
Melilotus officinalis. /უ.კ/

არდი – Cichorium indivia L. /ა.მ. /

აქლილ მალუქი – ვარდკაჭაჭას თესლი.

ვარდკაჭაჭას თესლს აბალმალუქი და
აქილუმალუქი ეწოდება. ძველ ხელნაწერებში
გვხვდება, აგრეთვე, ასეთი სახელწოდებებით:
ქასინი, ჰინდბა, ქაასინი, არდი, ყვავის ჭანგა,

ელერთანი /ნ.წ./

Донник _ ანუ *Trifolium melilotus officinalis*

– არდი, ყვავის ჭანგა, უქლულმულუქ. /ი.ბ./

Iklil -ul Malik _ *Melilotus alba* DSV

Trigonella uncata Boiss Legminosae

Astragalus homosus Linn /იუნ./

Иклил ал-малик _ *Melilotus officinale* L./ბერ./

აქსირი – (არაბ. აღ-ქსირ, სპ. ქსირ) მომდინარეობს

ბერძნული ქსერეონიდან – ელექსირი /ვ. VI/

აღტორი – თუთუბო – *Rhus coriaria* – სუმალი /უ.კ./

აყარყარა – („სურნელოვანი ბალახის ძირი“) –

სურნელოვანი ბალახეულობა ან მათი ძირები.

აყირყირპა – გარეული ტარხუნი. /უ.კ./

ტარხუნა – *Artemisia dracunculus* L. /ა.მ./

ტარხუნა – *Artemisia dracunculus* L.,

Compositae -ს ოჯახს ეკუთვნის. ძველად

ტარხუნას ფესვს აყირყარა, აღირყარაპა

ეწოდებოდა. /ნ.წ./

Акиркарха _ *Anacyclus pyrethrum* DC, син.

Anthemis pyrethrum L. /ბერ./

აყაყი – *Natrum boricum* /უ.კ./

აყილი – წითელი მიწა, გილიერმანი – *Bolus*

armenica /დ.ბ./

აყირო – გოგრა – *Lagenaria vulgaris* Ser. /უ.კ./

აყირო – ყელიანი გოგრა – *Lagenaria vul-*
garis Ser. /ა.მ./

აყირო – ყელიანი გოგრა – *Lagenaria vul-*
garis Ser. Cucurbitaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

/ ნ.წ. /

Горлянка _ *Cucurbita lagenaria* _ აყირო, ყაბაყ.,

გოგრის გუარია /ი.ბ./

აყირყარჰა – აყირყირჰა – არაბ. სურნელოვანი
ბალახის ძირია, აყირყარჰა – გარეული
ტარხუნის ძირი / წ.ს. / იხ. აყარყარა.

ბაბუნაი – ბაბუნა, გვირილა – *Matricaria chamomilla*

– ბაბუნაჯი

იგივე ბაბუნა /წ.ს./

გვირილა – *Pyrethrum*

მინდერის გვირილა – *Leucanthemum vulgare*
(L.) /ა.მ./

გვირილა – Compositae -ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში

გვხვდება: გურილა ყუითელი –

Chamaemelum vulgare მისი სინონიმებია –

ანაგვირილა, ქამენია, მინაწარა. გვირილა

წითელი – *Pyrethrum roseum* M.B. ,

რომელსაც, აგრეთვე უწოდება საკრწყილე,

ბაბუნჯი, გვიაგოთი, ირიცუკაი, მყარალუა,

ამრიკა, ამარიტონი. „ამარიტონი ბაბუნაჯსა

ჰქუიან“ ჩინაგი. გვირილა თეთრი –

Matricaria chamomilla L. , ამრიკონი თეთრი,

ბაბთია აბზინდა, მისაი, მამულა. გვირილას

ყვავილსაც ბაბუნაჯს უწოდებდნენ.

Matricaria chamomilla-ს ახლა სამკურნალო

მატრიკარიას უწოდებენ. /ნ.წ./

Ромашка – *Matricaria chamomilla* –

გვირილა /ი.ბ./

Babuna – *Matricaria chamomilla* Linn –

Compositae /იუნ./

Бабунадж – *Matricaria chamomilla* L. /ბერ./

ბადრანგი – *Citrus medico* Risso – ბადრანჯი ||

ბადრინჯი /ზ.ფ./

ბადრანგი, ციტრონი – Citrus medica L. /ა.მ/

Бадрынка – Citri species – ბადრანგი,

ცუდფერი, ალაჯყოფი, ლიმონის გუარია/ი.ბ/

ბავრუკი – Borax, chrysocolle – ბორასა ჰქვიან –

ბორაქსი /ზ.ფ/

Бура – არაბულია Borax tincal – ბორა,

ბავრუკი, ბურა. (მარილია) /ი.ბ/

Bura Armani (Gil-e-Armani) – Aluminium

silicate, Silicate of Alumina, Magnesia

nd Iron oxide /იუნ/

ბაზრაცატუნი – სპ. ბაზრ. „თესლი და აქათან „სელი“,

აქედან ბაზრა ქათან“, სელის თესლი,

მრავალძარღვას თესლი.

Semina Lini – მცენარისაგან – Linum

usitatissimum L. /უ.კ/

ჩვეულებრივი სელი – Linum usitatissimum

L. /ა.მ/

სელი – Linum sp., Linaceae-ს ოჯახს

ეკუთვნის. სელის კულტურულ ფორმად L.

usitatissimum L. ითვლება. ძველ ქართულ

სამედიცინო წყაროებში სელი გვხვდება

შემდეგი სახელწოდებებით: ქათანი, გუმდანი.

ზოლო სელის თესლისათვის ხმარებულია

შემდეგი სახელწოდებები: ასპიუმი,

თოხშიქათანი, ბაზრაცატუნი. გარდა ამისა,

ყარნი არუხი – ასპიუმის წყალს, ანუ სელის

თესლის წყალს ეწოდებოდა. /ნ.წ/

Лен – Linum usitatissimum L. – სელი –

ბეზირ

ოთი. /ი.ბ/

Katan – Linum usitatissimum Linn. –

Linaceae /იუნ/

ბაკლა _ არაბ. ბაყლა — ხანდური, თოხმაქანა. *Portulaca oleracea* L. /წ.ს./

Портулак _ *Portulaca oleraceae* _ დანდური
/ი.ბ./

Боб _ *Vicia faba* _ ხანდური, ცერცვი, ბაყლა
/ი.ბ./

Baqla _ *Vicia faba* Linn _ Leguminosae /იუნ/

Бакилла _ *Vicia faba* L. /ბერ/

ბალადური — იხ. ბალაზური

ბალაზური — ბალადური — წყაროს სუმბული, —
Angelica moschata L.

Semecarpus anacardium L. _ анакардиум
аптечный / უ.კ. /

Anacardium occidentale L. _ აკაეუ —

Индийские орешки / ა.მ. /

ბალადური — იხ. სუმბული / ნ.წ. /

Боб китайский _ *Strychnos ignatii* _ ჩინ.

ლობიო, ბელატონი, ბელადური /ი.ბ./

Балазур _ *Semecarpus anacardium* L. /ბერ/

ბალასნის მარცვალი — ირან. ბალასნის (ბალზამის)

ხე. *Balsamodendron Myrra*

Neos V. E. /წ.ს./

Баласан _ *Commiphora opobalsamum* Eng.,

сун. *Amyris gileadensis* L. u *Balsamodendron*

gileadense Kunth /ბერ/

ბალბა — ნახ. ხატმი, მოლოქი.

Мулукийа _ *Corchorus olitorius* L./ბერ/

ბანგის თესლი — (სპ. ბანგ „ლენცოფა“) ლენცოფას

თესლი *Semina hyosocyami* /უ.კ./

ლენცოფა — *Hyoscyamys niger* L. / ა.მ. /

ლენცოფა – *Hyoscyamus niger* L., Solanaceae -ს ოჯახს ეკუთვნის / ნ.წ. /

Красавица – *Belladonna* – ბალახია. იხ.

вишня бешенная – ბალცოფა, ლენცოფა, ევსურავანდა, ბელატონი, ბიზელპანჯ. –

Atropa belladonna / ი.ბ. /

Luffah – *Atropa belladonna* Linn – Solanaceae

Atropa acuminata Royle – Solanaceae / იუნ.

/

ბანი – „ბალახი არის, რომე მისრეთს იშოვების“ –

უცნობია / ზ.ფ. /

* ბარცუნუკი – ბარცუნაკი. *Achillea millefolium*,

ფარსმანდუკი, ყვავისკულა, მელიკულა,

კრაუიკულა / ზ.ფ. /

ფარსმანდუკი – *Achillea millefolium* L./ა.მ./

ფარსმანდუკი – ყვავის კულა, *Achillea*

millefolium L., *A. micrantha* M.B.

Compositae -ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ ქართულ

სამედიცინო

ძეგლებში მოხსენიებულია, აგრეთვე: მელის

კული, ბრძენიკი, ბეგიაური, ბუიმადარონი,

ყაისუმი. / ნ.წ. /

Baranjasif – III- *Achillea millifolium* Linn. –

Compositae / იუნ. /

ბასბასა – *Flores Macidis* – ხისაგან – *Myristica*

aromatici Lam. იხ. ჯაეზი / უ.კ. /

ჯაეზი – *Myristica moschata* Thnb. სბ. ხეზო

/ ა.მ. /

* მ. ჯანელიძის მონაცემებით ბარცუნუკი არის მამულა, *Artemisia vulgaris* L. – Asteraceae.

ჯავზი - ხეზო — *Myristica moschata* Thnb.

Myristicaceae -ს ოჯახს ეკუთვნის. ვხვდებით განმარტებას: „მაცის ბასპასა ჯავზის ყვავილი“. გარდა ამისა, ჯავზი — ბუა ან ჯავაზი — ბავას სახელით, როგორც ჩანს, ჯავაზის ყვავილს აღნიშნავენ. ჯავაზის ქერქი, ზოგჯერ მოხსენიებულია ბასბასის სახელწოდებით. / ნ.წ. /

Мушкат — *Nux moschata* — ჯავზი, ხეზო.
/ ი.ბ. /

Bisbasa (Javetri) — *Myristica fragrans* Houtt —
Myristicaceae / იუნ. /

Басбас — *Myristica fragrans* Houtt / ბერ. /

ბასკაიჯი — *Polypodium vulgare* — კილაშურა. / უ.კ. /

Басбанидж — *Polypodium vulgare* L. / ბერ. /

ბაყლი — ჭუჭყი, ჩირქი

ბენჯივინი — ბენზინი; ადვილად აალებადი მსუბუქი სითხე, რომელიც ნაეთობის გამოხდით მიიღება. / ვახ. VI /

ბერძული — ბერძნული

ბეჰე — ბია, კომში — *Cydonia vulgaris* Pers. / წ.ს. /

ბია — *Cydonia oblonga* Mill. (= c. *Vulgaris* Pers). / ა.მ. /

კომში, ბია — *Cydonia vulgaris* Pers. Rosaceae -ს ოჯახს ეკუთვნის. კომშს ვხვდებით, აგრეთვე შემდეგი სახელწოდებებით: ბე, ბეჰე, საფარჯალი. / ნ.წ. /

Ауа — *Pyrus cydonia* — კომში. აჰივა. / ი.ბ. /

Behidana (Behi) — *Cydonia oblonga* Mill — Ro
saceae. / იუნ. /

ბია — კომში. *Cydonia vulgaris* Pers. *Cydonia oblonga*

Mill / უ.კ. /

ბია – *Cydonia oblonga* Mill. (=c. *vulgaris*

Pers.) _ ბია, კომში. / ა.მ. /

კომში – ბია, *Cydonia vulgaris* Pers. Rosaceae-

ს ოჯახს მიეკუთვნება. / ნ.წ. /

Айва _ *Pyrus sydonia* კომში. აპივა / ი.ბ. /

ბირიანი – შემწვარი, მწვადი /წ.ს. /

ბოი – ულბოს თესლი. იხ. ულბო

ბოლოკი – *Raphanus sativus* L. / დ.ბ. /

ბორა – „ბორა რომე ოქრომჭედელნი ხმარობენ“ /უ.კ./

ბორაკი – $\text{Na}_2\text{B}_4\text{O}_7 \cdot 10 \text{H}_2\text{O}$ ნატრიუმის

მარილია.

„ბორი – ქართულად ბორაკი ჰქვიან“.

ოქრომჭედლის ბორა თეთრი იქნების

ვარჯილასავით. / ვახ. VI / იხ. ბავრუკი

ბროწეული – *Punica granatum* L.

